ყველა წმინდანი, რომელთა შესახებაც უნდა იცოდე

საქართველოს იმედი

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

წიგნი 43

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(ნაწილი I)



გელათი

დავითგარეჯი



მდინარე ბახვისწყალი

ფილიმონ ქორიძე

იაკობ გოგებაშვილი

წმ. გაბრიელ ქიქოძე

F 106.992
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა
მღვდელმთავარი
გაბრიელ ქიქოძე

წიგნი პირველი

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2014

UDC (უაკ) 271.22-726.1+27-36
წ-714

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროექტის
რედაქტორი თამარ მამაცაშვილი

შემდგენელი სოფიო თავაძე

სტილისტი სალომე ნიკოლეიშვილი

კორექტორი ნატო ტოროშელიძე

გარეკანის დიზაინი ეთერ გზირიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა ლევან ლაცაბიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014
მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
www.palitral.ge
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

ISSN 2298-0547
ISBN 978-9941-21-576-6

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

2011 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოდან წმინდა სამების ტაძარში გადასვენეს ახალშექმნილი „საქართველოს იმედის" ხატი. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ იმ დღეს ასე მიმართა მრევლს:

„დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი – „საქართველოს იმედი". ის ღვთის მადლითა და ძალით იქნება სასწაულთმოქმედი და ყოველ ადამიანს, რომელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარულით მიეახლება, აღესრულდება თხოვა და ლოცვა. ამ ხატის მადლით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით ღმერთმა დააბრუნოს ქართველი ხალხი უცხოეთიდან საქართველოში. ამ ხატის მადლით ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს იმედის“ ხატს ამშვენებს კიდევ ერთი წმინდა მღვდელმთავარი, რომელიც ზეციურ საქართველოშიც ღვთის წინაშე სამშობლოსთვის მლოცველი და მეოხია. ეს მღვდელმთავარი იმერეთის ეპისკოპოსი ღირსი გაბრიელ ქიქოძეა.

წმინდა გაბრიელის ბავშვობა, ყრმობა და ოჯახური ტრაგედია

გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე (გაბრიელი) დაიბადა 1825 წ. 15 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვში. მამა — მაქსიმე გიორგის ძე სოფ. ბახვის მღვდელი და გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის კარის მოძღვარი ყოფილა. დედა — დგებუაძის ქალი — ისე ადრე გარდაცვლილა, რომ გაბრიელს არც ახსოვდა. დაობლებული ხუთი შვილის აღზრდა მხოლოდ მამას დაკისრებია. მამა მაქსიმე არა მხოლოდ შვილებზე, არამედ სოფლის ბავშვებზეც ზრუნავდა და მათ წერა-კითხვას, სასულიერო ლიტერატურასა და საეკლესიო გალობას უსასიდლოდ ასწავლიდა. ასე რომ, მოყვასის უანგარო სიყვარულის მაგალითი პატარა გერასიმეს მამის სახით ბავშვობიდანვე ჰქონია. სწავლასთან ერთად გაბრიელს დიდად იზიდავდა ღვთისმსახურებაზე დასწრება. მამა მაქსიმეს საყდარში შვილები თან მიჰყავდა. პატარა გერასიმეც, როგორც შეეძლო, ისე ეხმარებოდა მამას: ხან სანთლებს ანთებდა, ხან საცეცხლურს უბერავდა, ხან პატარა ზარებს რეკდა, ხან მამას შესამოსელს აწვდიდა.

თურმე ეკლესიაში ძილიც ერეოდა. „ხშირად მოხდებოდა ხოლმე, — წერს ეპისკოპოსი გაბრიელი მოგონებებში, — რომ ხანგრძლივი მწუხრის ლოცვის დროს, ვიწრო, ჩამობნელებულ ეკლესიაში, რომელიც საკმაოდ შეფერილ ცველებით, მივწვებოდი სადმე კუთხეში ეკლესიის კედელთან ნოტიო, ცივს მიწაზე, მკვდარივით მივიძინებდი და მთელს მწუხრს ასე მძინარე გავატარებდი. მამაჩემმა იცოდა ეს ჩემი სისუსტე და ყოველი მწუხრის გათავების შემდეგ მომაკითხავდა, დაკეტილ ეკლესიაში არ დარჩესო“. წარმოუდგენელია, რომ ასეთ ცხოვრებას უსუსური ბავშვის სულიერ არსებაში ღრმა და წარუშლელი კვალი არ დაეტოვებინა. სწორად აღნიშნავს წმინდანის ცხოვრების პირველი აღმწერი და მკვლევარი მელიტონ კელენჯერიძე: „ვერავითარი სკოლა, რომელი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი — და რა გინდ იდეალური მასწავლებლები და აღმზრდელები მუშაობდნენ შიგ, ვერ შეძლებს იმ გრძნობის დამყარებას ბავშვის სულში, რა გრძნობითაც იყო გაბრიელი შემკული და შეპყრობილი. ეს ღრმა რელიგიური რწმენა, ეს მუყაითობა და მოუნყინარობა რელიგიურ ვალდებულებათა შესრულებაში, ეს სულიერი სიფრთხილე, ეს მდუღარე ცრემლი, ხატის წინ მყუდრო, ბნელ ოთახში ნაფრქვევი, ეს მუხლზე დგომა საათობით, ეს ღვთისადმი აპყრობილი ხელები, ყველა ის, რითაც განსვენებულს მღვდელმთავარს განცვიფრებაში ჰყავდა მოსამსახურე და მესაიდუმლე პირები, ჩნდება, ვითარდება, მუშავდება, მტკიცდება მხოლოდ იმ სკოლაში, რომელსაც ეწოდება ოჯახი“.

სულიერ ზრდასთან ერთად ფიზიკური ვარჯიშიც არ აკლდა პატარა გერასიმეს. ჯერ ჟამნი, მერე თამაში, ჯერ დავითნი, მერე თოხი, ჯერ ლოცვა, მერე ჭამა და ბურთი, ჭამა — სადა და ზომიერი, თამაში — ბუნებრივი, ბუნების წიაღში... „ბავშვობისას საშინელი ცელქი ვიყავ,

— იგონებს ეპისკოპოსი, — ბურთაობა, ჭიდაობა და სხვადასხვა თამაში ჩემს ტოლ-ამხანაგებში გატაცებით მიყვარდა... მახსოვს, ამ დროს (სემინარიაში შეგირდობის დროს რომ იყო) ერთი ჩემი ხნის ძალიან ჯანსაღი, მარჯვე მეზობელი გლეხი მოვიდა ჩემს სანახავად. [illegible] მოიგონა ჩვენი ბავშვობა, ჩვენი ამხანაგობა, თამაშობა და გამიწვია საჭიდაოდ. მე გავყევი და ძალიან ვაცინე მამაჩემი, როდესაც ჩემს მოპირდაპირეს ვძლიე და მიწაზე გავშოტე. დამარცხებული რომ წამოდგა, თავის მართლება დაიწყო: „რასაკვირველია, დამცემდი: მე მჭადს და ლობიოს ვჭამ ყოველდღე და შენ — პურს და ხორცსა! აბა, შენ ჩემს ადგილას იყვე და მე — შენ ადგილას, მაშინ ვნახავდით, ვინ ვისა სძლევდაო“.

გერასიმე არ ყოფილა ნაზად გაზრდილი, ნაფუფუნები, ბამბაში და ვარდებში გახვეული ძიძის გაზრდილი, ფარეშებით გარშემორტყმული, თავგასული ქართველი ბატონიშვილი. ის იყო სოფლის უბრალო, ღარიბი მღვდლის შვილი, მჭადით და ღომით გაზრდილი მამის კერასთან, კვამლიან ქოხში, უბრალო დიაკვნებთან ერთად.

ქართული წერა-კითხვა პატარამ დიაკვნებთან ერთად მამის ოჯახში ისწავლა. ასევე გაეცნო ღვთისმსახურების წესსა და საეკლესიო წიგნებს, ხუცური ისე კარგად შეისწავლა, რომ ეკლესიაშიც ეხმარებოდა მამას სხვა დიაკვნებთან ერთად. პატარა გერასიმემ მალე სლავური ანბანიც ისწავლა. ამას ხელი ორმა გარემოებამ შეუწყო: პირველი ის იყო, რომ მამა მაქსიმე, როგორც თავადი გურიელის კარის მოძღვარი, ხშირად დადიოდა ოზურგეთში ბატონთან, ასრულებდა ადგილობრივ ეკლესიაში წირვა-ლოცვას და თან პატარა „დიაკვანიც“ — გერასიმე დაჰყავდა. მაშინ ოზურგეთში რუსის ჯარი იდგა და მათ დაუახლოვდა პატარა გერასიმე. რუსულის პირველად გაგონებამ მალე აღუძრა სურვილი მისი

შესწვლისა. „მე და ბევრ სხვა ჩემს ტოლ ოზურგეთელ ბავშვს, — წერს წმინდა მამა, — დიდად შეგვყვარებოდა რუსის ჯარისკაცები, ისინი ალერსიანად გვექცეოდნენ, გვეფერებოდნენ, ხშირად თავიანთ შავ პურს გვაძლევდნენ. თვით იმათი ცხოვრება, ტანისამოსი, მათი დარაზმული, მწყობრი სიარული, მათ მიერ სამხედრო წესთა სწავლა, დაფ-დაფის ხმა გვილვივებდა საშინელ ცნობისმოყვარეობას, მაგრამ ერთმა, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, რამდენიმე შემთხვევამ დაგვაფრთხო ბავშვები და აგვაყრევინა მათზე გული: ერთხელ მათი ბინის ახლოს გამოიყვანეს ერთი ჯარისკაცი, რომელსაც გარს ეხვია რამდენიმე მისი ამხანაგი და იქვე იყო ერთი ოფიცერიც: შუაში მდგომმა ჯარისკაცმა გაიხადა ზედა ტანისამოსი, შიშველს მიუახლოვდა ერთი ამხანაგი, აიღო გრძელი მსხვილი სახრე და დაუწყო აუჩქარებლივ უმოწყალოდ ცემა. ის კი იდგა ერთ ადგილას და თუმცა თვალებიდან ერთი ცრემლი არ ჩამოუგდია, ტანი მაინც საშინლად უცახცახებდა, სახე და ტუჩები იმეორებდა: „მომიტევეთ, თქვენო კეთილშობილებავ!“ როცა ცემა გაათავეს, იმ საცოდავმა ჩაიცვა ტანისამოსი და წავიდა თავის ბინაზედ. ასეთი უმოწყალო სასჯელის მიზეზი ჩვენ არ ვიცოდით და ამიტომ საშინლად გვტკიოდა გული და ასე ცემა კაცისა მეტად ცუდ გუნებაზედ გვაყენებდა“. მიუხედავად ასეთი შთაბეჭდილებისა, გერასიმე უცბად დაუახლოვდა ერთ რუს ფელდფებელს, რომელიც ძალიან განათლებული გახლდათ. მამა მაქსიმე რუს ჯარისკაცებსაც უწირავდა ხოლმე ოზურგეთში, რასაკვირველია, ქართულად რუსულის უცოდინარობის გამო, ის ფელდფებელი კი სლავურად ჟამნობდა და გალობდა. რადგან გერასიმე ხშირად მამასთან იყო, მალე მიეჩვია ფელდფებელისგან სლავურ კითხვას და სლავური სამოციქულოს კითხვაც კი დაიწყო ეკლესიაში. მამა მაქსიმემ

მიანდო შვილი ფელდფებელს და დაავალა რუსული წერა-კითხვის სწავლება. „მამიჩემის თხოვნით და მისივე ხელმძღვანელობით, — მოგვითხრობს გაბრიელი, — ფელდფებელმა დამიწყო სლავიანური ანბანის ცვების და წერა-კითხვის სწავლება, მაგრამ [illegible] მაინც ძალას არ მატანდა სწავლის დროს. მახსოვს მხოლოდ, ჩემი მასწავლებელი მიმაბამდა ძაფით მაგიდაზე და მიბრძანებდა, „სანამ გაკვეთილი არ დაისწავლო, არ გაბედო აქედან ფეხის მოცვლაო“, მაგრამ ამ ძაფს მალე ვწყვეტდი ხოლმე და გავიქცეოდი სათამაშოდ. მალე პატარა გერასიმემ ისე კარგად ისწავლა რუსული წერა-კითხვა, რომ ღვთისმსახურებაზე სამოციქულოს კარგი წაკითხვისთვის ჯილდოც კი მიიღო რუსი ოფიცრისგან. „წირვის შემდეგ, — ამბობს გაბრიელი, — დამიძახა უფროსმა ოფიცერმა, რომელიც იყო ალბათ პოლკოვნიკი, ან მაიორი, მომეალერსა და ორი აბაზიც მაჩუქა. ჩემი მასწავლებელი და მამაჩემი კი ჩემსავით ალტაცებაში იყვნენ ჩემი ასეთი წარმატებითა“.

გაბრიელ ეპისკოპოსის ძმები და მათი შთამომავლობა

იოანე — სოფელ ბახვის ეკლესიის მღვდელი. მისი ვაჟი გრიგოლი ქუთაისის გიმნაზიის მზრუნველად მუშაობდა. მეუღლე ნინო ნიკოლაიშვილი პედაგოგი იყო. მათი რვა შვილიდან მხოლოდ ქეთევანს დარჩა შვილი, ალექსანდრე ნიჟარაძე — ცნობილი პიანისტი.

ათანასე — ბახვის ეკლესიის მღვდელი. მისი შვილები: მოსე — ცნობილი ადვოკატი, იოსები — მეტყევე ინჟინერი და ნინო — ცნობილი პედაგოგის, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ სოფელ ბახვის სკოლის მასწავლებლად მოწვეული გიგო შარვაშიძის მეუღლე. ათანასე 1892 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.

ბესარიონი (ერისკაცობაში ვასილი) — სამი ათეული წელი მოღვაწეობდა ათონის მთის მონასტრებში, 1893 წელს გარდაიცვალა.

სიმონი — დეკანოზი, დაამთავრა ტფილისის სემინარია. იყო ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, ექვთიმე ღვთისკაცის მასწავლებელი, რომელსაც წმინდანი სიყვარულით იხსენებს თავის მოგონებებში. 1878 წელს იგი გადაიყვანეს ბათუმში, სადაც გარდაიცვალა 1891 წლის 8 დეკემბერს. მის დაკრძალვას წმინდა ეპისკოპოსიც ესწრებოდა.

სიმონის მეუღლე სოფიო გრიგოლაშვილი გახლდათ. მათ 9 შვილი ჰყავდათ: მარიამი, პლატონი, გრიგოლი, ნიკოლოზი, გერასიმე, ვლადიმერი, ლეონიდე, ტიტე და ოლღა.

ლეონიდე სიმონის ძე ქიქოძე საქართველოს საბჭოს ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. განათლებული და მრავალმხრივ მოღვაწე პიროვნება, მეუღლესთან — ნინო წულუკიძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ტიტე სიმონის ძე ქიქოძე ცნობილი ექიმი იყო; პირველი ქართველი მედიკოსი, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სიმონის შვილიშვილებიდან პლატონის ასული, ნინო, ვანო სარაჯიშვილის მეუღლე გახლდათ.

გერასიმე თბილისისა და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში

1837 წელს მამამ გერასიმე თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. პატარა გერასიმესთან ერთად სწავლობდნენ მისი უფროსი ძმებიც. რადგან ქიქოძეების ოჯახში დიასახლისი არ იყო, უფროსმა ვაჟმა ივანემ მალე ცოლი შეირთო. მაგრამ ცოლშვილიანმა ივანემ

სწავლას მაინც არ მიანება თავი. ძმები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ არ ეხსენებინათ ივანეს ცოლიანობა.

1838 წლიდან გერასიმე უკვე თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე გახდა; იმ დროს სემინარიაში სიტყვიერებას ასწავლიდა პროფესორი. გ. კანევსკი. პროფესორმა შვილივით შეიყვარა გერასიმე და რაკი მამას მისი თბილისში სწავლის გაგრძელებისათვის მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდა, 1841 წელს, როცა კანევსკი სამუშაოდ ფსკოვში გადაიყვანეს, გერასიმეც თან წაიყვანა.

1843 წელს, როგორც ჩანს, ისევ კეთილ ადამიანთა ხელშეწყობითა და მზრუნველობით, გერასიმე ფსკოვის სემინარიიდან პეტერბურგის სემინარიაში გადავიდა, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში განაგრძო, რომელიც 1849 წელს დაასრულა.

პეტერბურგის კლიმატს გერასიმეს ჯანმრთელობაზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია. ასე იყო თუ ისე, იგი ბედს არ ემდუროდა და თავს კარგადაც გრძნობდა. „აქ ჩემს თავს დიდად ბედნიერად ვგრძნობდი, — იგონებს ეპისკოპოსი, — ერთი იმიტომ, რომ შემეძლო გამეგრძო სწავლა და მეორეც იმიტომ, რომ შემეძლო გამეგრძო სულიერი კავშირი და ჭეშმარიტი მეგობრობა ამხანაგებთან, რომელთა შორის ბევრი ეხლაც დღეგრძელ არიან და იღწვიან თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისათვის... ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა სასულიერო სემინარიის სტუდენტთა ამხანაგობა ერთად მოგროვდებოდა და ნამდვილი ყმაწვილური გატაცებით დაიწყებდნენ იმ ოცნებას, თუ რა ყმაწვილურის თავგანწირვით შეეებრძოლებით ქვეყნის ყოველ ჭირსა და ვარამსო. ზოგნი სასწავლებლის დასრულებამდეც კი ფიქრობდნენ წასულიყვნენ მისიონერებად, თორემ

აკადემიის დასრულების შემდეგ ხომ გადაწყვეტილი ჰქონდათ გაფანტულიყვნენ თვალუწვდენელ ჩინეთის იმპერიაში და ქადაგებით დაეხსნათ მისი ოთხასი მილიონი მცხოვრები საშინელის უმეცრებისგან. [illegible] ჰქონდათ, მოესპოთ იქ მოწამვლა [illegible], რომელიც ბლომად მიჰქონდათ იქ სხვადასხვა განათლებულ ზღვით-მოგზაურ გაიძვერა ვაჭრებს და ავრცელებდნენ მცხოვრებლებში, რათა გაებრუებინათ ჩინელნი და უკეთ ესარგებლათ იმათის სიმდიდრით".

სატახტო ქალაქში გერასიმე დაუახლოვდა მიხეილ ბატონიშვილს (გიორგი XII-ის შვილი), რომელიც ფრიად განათლებული და ღვთისმოშიში ადამიანი გახლდათ. „ის იყო კაცი დიდად განვითარებული, გონიერი და განათლებული, — ამბობს გაბრიელი მიხეილ ბატონიშვილზე, — და ამასთანავე მეტად უბრალო, თავმდაბალი, ყველასათვის ადვილად გასაცნობი. თუმცა ქონება-შეძლებით სრულიად უზრუნველი იყო, მაინც თავისი თავისათვის ძლიერ ცოტას ხარჯავდა, რადგანაც ხედავდა ბევრ გაჭირვებულს და ყველას შემწეობას აძლევდა. ძლიერ ბევრს კითხულობდა და ამას გარდა უყვარდა საფილოსოფიო სჯა და ბაასი. ამ მეცნიერი ბატონიშვილის ნათელმა მსჯელობამ მეც უფრო ნათლად და გარკვევით შემაგნებინა ეს საგანი და წამახალისა შემესწავლა რიგიანად და შეგნებით და არა ისე უაზროდ, უსულოდ და მშრალად, როგორც გვასწავლიდა ჩვენი აკადემიის მაშინდელი პროფესორი ნემეცი..."

დაოჯახება და მღვდლად კურთხევა

1849 წელს გერასიმე ქიქოძემ წარმატებით დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. იმავე წლის 4 ნოემბერს დაქორწინდა იმპერატორის მთავარი შტაბის ეკლესიის წინამძღვრის

ნიკოლოზ ვლადიკინის ქალიშვილზე — მარიაზე. 18 ნოემბერს კი უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ნ. პროტასოვმა საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (1844-1858 წ.წ.) ახალგაზრდა ქართველი მაგისტრის თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დანიშვნის შესახებ აცნობა. 1850 წლის თებერვალში გერასიმე ქიქოძე მეუღლესთან ერთად თბილისში დაბრუნდა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ხუთწლიანი ინსპექტორობის პერიოდში მან თავისი განათლებით, ჰუმანიზმით, კეთილშობილებით, პედაგოგიური და ორგანიზატორული ნიჭით დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სემინარიაში და სასულიერო მთავრობის ყურადღებაც დაიმსახურა.

გერასიმე ქიქოძის ცხოვრება ბედნიერებით იყო სავსე. ცხოვრობდა თავის სამშობლოში, ჰქონდა სასურველი სამსახური, ჯილდოს ჯილდოზე იღებდა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მის ბედნიერებას კი აგვირგვინებდა შესანიშნავი მეუღლე და ხუთი შვილი. გარდა იმისა, რომ ინსპექტორი იყო, სემინარიაში გერასიმე ასწავლიდა მათემატიკასა და ფიზიკას, 1854 წლიდან მან უარი თქვა ინსპექტორობაზე და მხოლოდ ამ ორი საგნის მასწავლებლობა შეინარჩუნა. მალე ის „თბილისის კეთილშობილთა ქალების ინსტიტუტში" რელიგიის მასწავლებლად დანიშნეს.

მაგრამ გერასიმეს სურვილი მღვდლობა იყო.

1854 წლის 7 გიორგობისთვეს სიონის ტაძარში გერასიმე დიაკვნად აკურთხეს, 8 გიორგობისთვეს კი მღვდლად.

გერასიმე ქიქოძე, განთავისუფლდა რა ადმინისტრაციული ფუნქციებისაგან, მთლიანად დაკავდა პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობით. ამ პერიოდში დაიწყო მან მუშაობა ცნობილ ნაშრომზე „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები".

წმინდა მღვდელმთავრის ოჯახური ტრაგედია

სულ მალე დატრიალდა საშინელი ტრაგედია, რამაც დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა პედაგოგისა და მეცნიერის შემდგომ ცხოვრება-მოღვაწეობაზე. 1856 წელს, 32 წლის ასაკში მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. ბუნებრივია, ძლიერ განიცადა გერასიმემ ოჯახის დაკარგვა. „ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი იყო მწუხარება, რომელმაც დაასამარა თავისი ოჯახური ბედნიერება ახალგაზრდობის წლებში, — იგონებს იაკობ გოგებაშვილი, — შეუძლებელია დავიწყება იმ უსიტყვო და ღრმა მწუხარების განსახიერებისა, როგორსაც წარმოადგენდა მღვდელი ქიქოძე, როცა იგი, სასომიხდილი და მკვდარი, იდგა სემინარიის ეკლესიაში ახალგაზრდა მეუღლის კუბოსთან. შეუძლებელია ასეთი სურათის დავიწყება: მისმა უფროსმა შვილმა, ხუთი წლის პეტიამ, დედის, ძმისა და დის სიკვდილის შემდეგ მთელი თავისი სიყვარული მასზე გადაიტანა და მისთვის სწუხდა. როცა მამა გაკვეთილებზე იყო, პეტია მალულად მიდიოდა სახლიდან, მიირბენდა სემინარიაში, წყნარად შედიოდა კლასში, გაკვეთილის დამთავრებამდე ჩუმად იჯდა კარების ახლოს და თვალს არ აშორებდა მამას. მაგრამ მამამ ეს უკანასკნელი თავისი იმედიც დამარხა და საბოლოოდ დაობლდა“.

დავითგარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონი დიდიმი (მიქიაშვილი) იგონებს: „განსვენებულის ცოლი იყო რუსის ქალი, ტანად პატარა, მაგრამ მშვენიერი, გაზრდილი და ნასწავლი, ასე რომ, იგი იმ დროს თბილისში იყო, როგორც კარგი ყოფა-ქცევით გამოჩენილი, ისე სწავლით და ხელოვნებითა. ცხოვრობდა შეუბღალავად და სიყვარულით თავის ქმარ გერასიმე მაქსიმიჩთან. მათ ეძლეოდათ შვილები, მაგრამ არ რჩებოდათ, კვდებოდნენ. დედის სიკვდილის დროს, რომელიც მოხდა

შობის დღეებში (1856 წ), ყავდათ ერთი ვაჟი სამი წლისა და მეორე ვაჟი იმ დღეებში დაიბადა, მაგრამ ეს ბოლო გახდა განსვენებულის (დედის) სიკვდილის მიზეზი და აი, როგორ. იმ ქალს (გაბრიელის ცოლს) ჰყავდა ძმა ვლადიკინი (კოსტია), წამოყვანილი პეტერბურგიდან. ის სწავლობდა სემინარიაში მეშვიდე კლასში, მერე დაანება თავი და შევიდა სამხედრო სამსახურში და იყო პოლკში ბელიკლიუჩში. შობის დღესასწაულზე ის მოვიდა დროს გასატარებლად თავის დასთან და სიძესთან. გამოშვებული იყო ვადით პოლკიდან. ამ დროს მოხდა დალოგინება მისი დისა, მშვიდობით გადარჩენა და მხიარულება იყო ოჯახში დიდი ამის გამო. გაიგეს თუ არა მისი მორჩენა, მოდიოდნენ ყველა მეგობარნი და ნაცნობნი და ულოცავდნენ. მოვიდნენ ქალების სასწავლებლიდანაც (ინსტიტუტიდან) უფროსები და კლასის დამები. ერთი ამათაგანი სახითაც და პასუხითაც იყო მეტად მშვენიერი. ის ძლიერ მოეწონა იუნკერს ვლადიკინს და მოიწადინა მასთან დაახლოება. ეს გაუმჟღავნა ახალ მელოგინე დას და სთხოვა, რომ იმ ქალისთვის და მისთვის (ძმისთვის) მოენათვლინებინა ახლად დაბადებული ბავშვი და ამით მოეწყო მათი დაახლოება. ეს ორივე ცოლ-ქმარს გაუხარდათ და მისწერეს იმ დამასაც. ქალი მოხარული დარჩა მით, რომ ამ ნათლიობით დაუახლოვდებოდა ისეთს პატივცემულს და საყვარელს სჯულის მასწავლებელს. გაბრიელს ჰქონდა ბინა სოლოლაკში. შობის მესამე დღეს მოუწოდეს მღვდელს და დაიწყეს ნათვლა. ძმა ძლიერ უყვარდა დას. რომ შეხედა, როგორ იდგნენ ძმა და დამა ემბაზთან სანთლებით ხელში, ახალი მელოგინე ადგა, ჩაიცვა მსუბუქად, მოადგა ზალის კარებს და დაუწყო ცქერა. იმ დროს თბილისში დიდი სიცივეები იყო, სახლშიდაც ცივოდა, რადგან იგინი შეძლების კაცები არ იყვნენ. გაცივდა ამ დროს მელოგი-

ნე და დაერთო მას ასე წოდებული „ბელაია გარიაჩკა“. თუმცა ნამესტნიკის დოქტორიდან დაწყებული ვიდრე სამხედრო დოქტორამდე ყველა მოინვიეს, მაინც ვერა რაი უშველეს და მესამე დღეს გარდაიცვალა [illegible] ხეთ ვერის სასაფლაოზედ (სხვა მონახსენები [illegible] თქმით, გაბრიელის ცოლი ლოგინობაზე სისხლის დენით მოკვდა).

ამ უბედურებამ გაბრიელზე დიდი გავლენა იქონია. ასე რომ, სულ ცოტა დააკლდა, რომ კინაღამ ჭკუაზე შეცდა. სულ დადიოდა, თუ მიდიოდა, თუ მოდიოდა, ხან თუ კლასში შედიოდა და უწინდელი გამჭრიახობა და გაკვეთილის ახსნა აღარ ეხერხებოდა. გზაზე, ქუჩებში რომ მიდიოდა, მღვდლის საბიჯგ ჯოხს ბურთივით ათამაშებდა. ამ მდგომარეობაში დაჰყო მან არდადეგებამდი და გათავდა თუ არა ეკზამენები, უფროსი შვილი კოლია მიაბარა სემინარიის ცოლ-შვილიან მასწავლებელს უ. კორლევსკის, პატარა კი ძიძას, ნემეცის ქალს ნემეცების კალონიაში. თვითონ წავიდა პიატიგორსკში დარდის და მწუხარების გადასაყრელად. მაგრამ იქაც არ მოასვენა უბედურებამ. ერთი თვის განმავლობაში პირველი შვილი მოუკვდა და მეორე თვეში მეორე — ძიძასთან მყოფი. ეს ყოველივე ამცნო მას უ. კოროლევსკიმ. ჩამოვიდა და დარჩა ყოველივე ბედნიერებით და სიხარულით მოკლებული და მოინდომა მღვდლობის განტევება“...

წმინდა მღვდელმთავარს ორმოცი წლის შემდეგაც კი ახსოვდა ცოლ-შვილის სიყვარული. როდესაც სიკვდილის სარეცელზე ერთი კვირის უსმელ-უჭმელი, თვალგაუხელელი, ცნობადაკარგული და მოქვითინე ჭირისუფლებისგან გარშემორტყმული, ამ ტირილზე უეცრად თვალებს ახელს, თავისსავე გაზრდილ მამიდაშვილს გიორგი ახვლედიანს ეკითხება:

— ვინ ხარ შენ?!..

— შენი გაზრდილი გიორგი, ჩემო დიდო ბატონო! — პასუხობს შეშინებული ყმაწვილი.

— ჩემი ცოლ-შვილი სად არის, არ იცი?!

ხალხში ქვითინია, შეშინდა ყველა.

— სამოთხეში, ბატონო!

— სამოთხეში?!... ჰმ. კარგი, კარგი! რა კეთილი კაცი ყოფილხარ შენ!..

ამ სიტყვებზე წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა ისევ დახუჭა თვალები, ამჯერად საუკუნოდ... ვერც ტირილმა ბერობაში, ვერც მღვდელმთავრობამ, ვერც უმანკო ცხოვრებამ, ვერც წიგნის კითხვამ, ვერც უზომო შრომამ ვერ ამოძირკვა მისი გულიდან ცოლ-შვილის სიყვარული და მაშინაც კი იგონებს მათ, როცა ყველაფერი დავიწყებული აქვს...

თბილისის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის ფასადზე ნახავთ ასეთ წარწერას: „ეკლესიის ქვედა ყურესთან აღმოსავლეთით განისვენებენ მეუღლე და შვილები გაბრიელ (ქიქოძე) იმერეთის ეპისკოპოსისა, რომელთა საფლავზე იდო ალგეთის ლურჯი, სადათ გათლილი ქვის ლოდი წარწერით: „შეინწყალე ღმერთო სული მონისა შენისა მარიამ ქიქოძისა. გარდაიცვალა 1856 წ. 26 თებერვალს 25 წლისა, მის გვერდით დაკრძალული არიან შვილები: ოლღა — 11 თვის, ნინო — 2 წლის, ნიკოლოზი — 2 წლის“.

ქართველმა საზოგადოებამ კარგა ხანს არ იცოდა ამ საფლავების ადგილმდებარეობა, რადგან ჟამთა სიავემ საბურველი გადააფარა როგორც დიდ ერისკაცთა, ისე მათთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანების ხსოვნას.

ბერად აღკვეცა გაბრიელის სახელით და ეპისკოპოსად კურთხევა

სასოწარკვეთილებამდე მისული გერასიმე, რომელსაც მღვდლობის დატოვებაც კი ჰქონდა განზრახული, ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი) შეგონებით 1856 წლის 29 სექტემბერს სიონის ტაძარში ბერად აღიკვეცა გაბრიელის სახელით. 1858 წლის 5 იანვარს მღვდელმონაზონი გაბრიელი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და მეორე დღესვე დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს, სადაც დაახლოებით ერთი წელი იმსახურა.

არქიმანდრიტი გაბრიელი 1858 წლის 6 დეკემბერს, იმპერატორის ბრძანებით, დაინიშნა, ხოლო 1859 წლის 13 თებერვალს ხელდასხმულ იქნა გორის ეპისკოპოსად, საქართველოს ეპარქიის ვიკარად, საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის წევრად და შუამთის მონასტრის წინამძღვრად. 1860 წლის 2 ივლისს წმინდა გაბრიელი იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო. ამ დროს იმერეთის ეპარქია აერთიანებდა მთელ დასავლეთ საქართველოს. მეუფე გაბრიელი შეუდგა ნაყოფიერ სასულიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

ეპისკოპოსი

ყოველმა კაცმა, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის, თავისი ტვირთი უნდა იტვირთოს. თუ რა

ტვირთია ეპისკოპოსობა, ამასაც იგივე მოციქული განგვიმარტავს: ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილი, წმინდა, შემკულ, სტუმართმოყვარე, სწავლულ. სხვაგან პავლე მოციქული მისგან ხელდასხმულ ეპისკოპოს ტიტეს სწერს: ჯერ-არს ეპისკოპოსსა უბინო ყოფად, ვითარცა ღმრთის მონისა; ნუ თავხედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მელვინე, ნუ მოლაღე, ნუ საძაგელისა შემძინელ, არამედ სტუმართმოყვარე, კეთილისა მოყვარე, წმინდა, მართალ, ღირს, მოთმინე (ტიტ. 1,7). ამდენად, პირველი და აუცილებელი სათნოება, რომელსაც პავლე მოციქული ეპისკოპოსისაგან მოითხოვს, არის უბრალოება ანუ უბინოება. ამის მიზეზი ისაა, რომ ეპისკოპოსი, რომელიც სხვებს ასწავლის სიწმინდეს და მათგან უბრალო და უბინო ცხოვრებას მოითხოვს, პირველ რიგში თვითონ უნდა იძლეოდეს ამის მაგალითს. ამ მცნების ასრულება კი ძალიან ძნელია, რადგან ვის დაუცავს თავი უბინოდ, ვინც თუნდაც ერთი დღე გაატარა ადამიანთა შორის. მხოლოდ ღმერთს შეუძლია თავისი მადლით დაიცვას ეპისკოპოსი უბრალოდ და უბინოდ. მეორე თვისება, რომელიც, პავლე მოციქულის სიტყვით, ეპისკოპოსს მოეთხოვება, სიფხიზლეა. მან წამითაც კი არ უნდა დაკარგოს სიფხიზლე და მუდამ უნდა მღვიძარებდეს, რათა არცერთი ცხოვარი იმ ფარისა, რომელიც ღმერთმა მიანდო, მისი მიზეზით არ წარწყმდეს. ვაი იმ მღვდელმთავარსა და მღვდელს, რომელიც ღმერთს იმ სულებს დაუკარგავს, უფალმა რომ თავისი სისხლით გამოისყიდა. ნეტარია მღვდელმთავარი, რომელსაც სამწყსოს დაცვის საქმეში კეთილნი და ღირსნი სამღვდელონი ეხმარებიან, მის შრომას, ჭირსა და განსაცდელს იზიარებენ და ამით მსახურებას უმსუბუქებენ. მესამე, რასაც პავლე მოციქული მღვდელმთავრისაგან მოითხოვს, არის ის, რომ იგი შემკულ, ანუ ყოველი

სათნოების მატარებელი უნდა იყოს, ეპისკოპოსის მსახურებას ისიც ართულებს, რომ მორწმუნეები ზუდამ მას შეჰყურებენ, მისგან ელიან სულიერ სწავლასა და დამოძღვრას. ამიტომაც მისი რომელიმე ფიზიკური თუ მოქმედების დაფარვა შეუძლებელია. ასევე მისი ცხოვრება კეთილია, მაღალ ადგილზე შემოდგმულ ანთებულ სანთელს ჰგავს, მაშინ, როცა ცხოვრება ულირსი მღვდელმთავრისა საკვამლეს მოგვაგონებს, რომლისაგან გამოსული კვამლი ჰაერს აბნელებს და შორიდანვე ჩანს. ეპისკოპოსი მარტო ვერც ცხონდება და ვერც წარწყმდება: კეთილი ეპისკოპოსი აცხონებს მრავალთა, ხოლო ულირსი ასევე მრავალს წარწყმედს. უფალი კი განსაკუთრებით მკაცრია მათ მიმართ, რომელნიც ადამიანებს ცხონების გზაზე აბრკოლებენ და აცდუნებენ (მათე 18,6). ცუდ ადამიანებს უხარიათ, როცა ხედავენ, რომ ეპისკოპოსი შეუფერებელ ცხოვრებას ეწევა, რადგან მის შემხედვარეთ, თავიანთი საქციელის გამართლება ეადვილებათ. მწყემსმთავარს და სამწყსოს ერთმანეთთან სიყვარული უნდა აკავშირებდეს. ეპისკოპოსიც ადამიანია და ამდენად არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არაა, მაგრამ მისი ნაკლი ამ დროს სამწყსოს სიყვარულმა უნდა შეავსოს. ნეტარია ის ეპისკოპოსი, რომელიც საშინელ სამსჯავროზე ქრისტეს წინაშე წარდგება და ეტყვის: აჰა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან (ისაია 8, 18).

გაბრიელ ეპისკოპოსის ჩასვლა იმერეთში

მაშინ კავკასიაში რკინიგზა არ იყო, თბილისსა და ქუთაისს შორის სურამის უღელტეხილზე საფოსტო შარაგზა გადიოდა. ეპისკოპოსი გაბრიელი ამ გზით ჩავიდა ქუთაისში და ეწვია არქიელის სასახლეს. წმინდა მამის თანამგზავრებმა ქუთაისში ჩასვლამდე,

სიმონეთიდან აფრინეს მოამბე ქუთაისში, ახალი მღვდელმთავარი მოგვყავს და ეკლესიაში დაგვხვდითო. შეიქნა ქალაქში ფაცაფუცი. ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მალე გაივსო ხალხით. არქივოს ეზოში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მღვდელი ხელაძე შეხვდა ეპისკოპოსს ჩამწკრივებული შეგირდებით. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მაშინდელი მოწაფე გიორგი იოსელიანი იგონებს: „ჩამობრძანდა ახალი მღვდელმთავარი... ჩვენ ყველა შეგირდები მღვდელმთავრის ეზოში დაგვაყენეს ორ წყებად და ჩვენი სკოლის უფროსი მასწავლებელი მღვდელი გ. ხელაძე და მასწავლებლები გვიდგენ. შეიქნა ერთბაშად ქალაქში ზარების რეკვა. მობრძანდა ეპისკოპოსი და ჩვენ ყველანი ხელზე ვემთხვიეთ“... ახალმა მღვდელმთავარმა მრევლს მოახსენა, რომ მეორე დღეს ღვთისმშობლობა იყო და ეპისკოპოსს გელათში უნდა ეწირა.

გათენდა 21 სექტემბერი, ღვთისმშობლობა დღე. წირვის წინ ეპისკოპოსმა დაიბარა იქაური სასულიერო პირები და გამოჰკითხა, რა ჩვეულებები ჰქონდათ სამღვდელმთავრო წირვისას. მოახსენეს, რომ წირვის დაწყებამდე მღვდელმთავარს ეკლესიიდან ბინაზე მივეგებებით და იქიდან გალობით მოგვყავსო. ეს გაბრიელს არ მოეწონა და თქვა, სანამ თვითონ არ შემოვალ ეკლესიაში, გარეთ გამოგებება არ გაბედოთო.

სამეუფეო წირვის შემდეგ ახალმა ეპისკოპოსმა სიტყვით მიმართა მრევლს. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. კვირა დღეს, ქუთაისის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში, წირვის შემდეგ, კვლავ იქადაგა ეპისკოპოსმა იმერეთის ეპარქიის მრევლისთვის. ქადაგება გაბრიელმა ტალანტზე მაცხოვრის იგავით დაიწყო.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება გულათმი ღვთისმშობლობის დღესასწაულზე

„ვცან რა ნება ღვთისა და განჩინება უმაღლესისა მთავრობისა, რათა ვიყო მე მწყემსად ძველისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა, ვიწყე გულის-ზრახვად დიდთა მათ და მძიმეთა ვალთათვის, რომელთა ამიერითგან თანამდებ ვარ ტვირთვად წინაშე წმიდისა ამის ეკკლესიისა. მაშინ მოვიხსენე სიტყვანი პავლე მოციქულისანი: კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს. ხოლო რა ტვირთი არს ეპისკოპოსობა, ამასაც ახსნის იგივე მოციქული: ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმინდა, შემკულ, სტუმართმოყვარე სწავლულ (ა. ტიმ გ, ბ.); მოვიხსენე აგრეთვე სიტყვანი, რომელნი იმავე მოციქულმან მისწერა ტიტეს, მისგან ეპისკოპოსად ხელ-დასხმულსა: ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფად, ვითარცა ღვთისა მონისა; ნუ თავხედ, ნუ გულმწყრალ, ნუ მეღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელისა შემძინელ, არამედ სტუმართ მოყვარე, კეთილისა მოყვარე, წმინდა, მართალ, ღირს, მომთმინე (ტი. ა, ზ.). მახსოვან კვალადცა სხვანი მრავალნი სწავლანი, მცნებანი, მხილებანი და დარიგებანი, რომელითა მაცხოვარი ჩვენი მოძღვრებდა თვისთა მოციქულთა, ხოლო შემდეგ მოციქულნი განაღვიძებდენ თვისთა მოადგილეთა — ეპისკოპოსთა. არა ვარ, კვალადვე, უმეცარ ყოვლისათვის, რასაცა ქრისტიანენი ეძიებენ და მოითხოვენ თვისთა მწყემს-მთავართაგან; და ოდეს მე წარმოვიდგენ ყოველთა მათ არა მცირეთა სათნოებათა, რომელნი უნდა შეამკობდენ მარადის ეპისკოპოსსა, და მრავალთა მათ შრომათა, ჭირთა, მოთმინებათა და წინაალმდგომთა გარემოებათა, რომელნი ყოველთვის შეემთხვევიან მას, უკეთუ ბეჯითად და ერთგულად შეუდგება იგი თვისსა მსახურებასა, შევკრთები სულითა და ვიტყვი: ვითარ

შევსძლო მე ულირსმან და უძლურმან ტვირთვა ესოდენისა მძიმისა ტვირთისა!

ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, არა მსუბუქარს ტვირთი მღვდელ-მთავრობისა, არა მცირეთა სათნოებათა ითხოვს მისგან საღმრთო წერილი: პირველი და თვით მიუცილებელი სათნოება, რომელსა მოითხოვს მისგან პავლე მოციქული, არს უბრალოება ანუ უბიწოება: ჯერ-არს ეპისკოპოსისა, იტყვის იგი, რათა უბრალო იყოს; ანუ სხვაგან: ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო-ყოფად, ვითარცა ღვთისა მონისა. ცხად არს მიზეზი ამისა, ვინაითგან ეპისკოპოსი, რომელი სხვათა ასწავებს სიწმიდესა და მოითხოვს, რათა ყოველნი უბრალოდ და უბიწოდ ატარებდენ თვისს ცხოვრებასა, თვით პირველი უნდა აძლევდეს მათ სახესა კეთილად ცხოვრებისასა, არა თუ მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითაცა და ყოვლითა ცხოვრებითა თვისითა. გარნა ადვილ არსა აღსრულება ესე ვითარისა მცნებისა? ვინ არს იგი რომელი სცხოვრებს სოფლად კაცთა შორის და არა სცოდავს? ვინ იპოება ქვეყანასა ზედა, რომელმან დაიცვა თავი თვისი უბიწოდ, თუმცაღა ერთი მხოლო დღე იქცეოდა იგი კაცთა შორის? უმეტეს ამისა, ვითარ შესძლოს ეპისკოპოსმან დამარხვა უბიწოებისა. დამძიმებულმან მრავალთა საქმეთა და ზრუნვათა მიერ, გარემოცულმან მრავალთა პირთაგან, რომელნიცა ეძიებენ მხოლოდ თავისა თვისისა სარგებლობასა? მხოლოდ ერთსა ღმერთსა მადლითა თვისითა ძალ-უძს დაიცვას ეპისკოპოსი უბრალოდ და უბიწოდ.

მეორედ, ეპისკოპოსსა, სიტყვისამებრ პავლე მოციქულისა, მართებს, რათა იყოს ფრთხილ. ყოველი სხვა კაცი უფრთხილდება მხოლოდ ერთსა თავსა თვისსა, გარნა ეპისკოპოსი ათასსა და ბევრეულსა. მიანდო რა მას ღმერთმა სიტყვიერი სამწყსო, მოითხოვს მისგან,

რათა ყოველსა წამსა ფრთხილ და მღვიძარე იყოს, რათა არცა ერთი ცხოვარი, მისდამი მინდობილი, არა წარწყემდეს მისითა ბრალითა. ვინაითგან ღმერთი ეძიებს კითხავს მისგან სულსა თვითოეულისა წარწყმენდილისა ცხოვარისასა. ვაი იმ მღვდელ-მთავარსა და მღვდელსაცა, რომელმა დაუდევნელობითა თვისითა დაუკარგა ღმერთსა რაოდენიმე სული, გამოსყიდული სისხლითა უფლისათა! რა პასუხს მისცემს იგი წინაშე საშინელისა ქრისტეს სამსჯავროისა? გარნა უკეთუ თვითეულსა კაცსა უმძიმს ფრთხილ-ყოფა და განმტკიცება თავისა მხოლოდ თვისისა კეთილსა კვალსა ზედა, რაოდენ უძნელეს არს ეპისკოპოსისათვის, რათა გაუფრთხილდეს თავსაცა თვისსა და მრთელსა სამწყსოსა თვისსა, და თუმცაღა მრავალი ეცადოს, თუმცა არც ღამე მოისვენოს და არცა დღე. და ყოველი თვისი სწავლა და ღონე მოახმაროს თვისსა სამწყსოსა, — შეუძლია, ბოლოს გულ-მოსვენებით სთქვას, რომელ ყოველივე კარგად განაგო და კეთილად აღასრულა ვალი თვისი? ნეტარ არს მღვდელ-მთავარი იგი, რომელსა ძალ-უძს ჰპოვოს რაოდენიმე ღირსნი თანა-მწირველნი და შემწენი, რომელნიცა მოინდომებენ გულს-მოდგინედ აღასრულონ ვალი თვისი და მით შეუმსუბუქონ მას უღელი! ადვილად აღასრულებს თვისსა მოვალეობასა ეპისკოპოსი, გარემოცული კეთილთა და ღირსთა სამღვდელოთა მიერ, რომელნი ყოველთვის თანაზიარ-ექმნებიან შრომათა, ჭირთა და განსაცდელთა მისთა; ხოლო რავდენ შესაბრალებელ იქმნება მღვდელ-მთავარი იგი, რომელიცა შემწეობისა წილ ნახავს თვისთა შორის სამღვდელოთა უმეტესს ჭირსა და განსაცდელსა!

გევედრები, შორს ჰყავ ჩემგან, მაცხოვარო, მწარე ესე განსაცდელი. გთხოვ თქვენცა, საყვარელნო ძმანო, თანამწირველნო ჩემნო, არ დამიმძიმოთ, არამედ აღმიმ-

სუბუქოთ მსახურება ჩემი; ფრთხილ იყოს თვითეული თქვენ შორის სამწყსოსა ზედა თვისსა, რათა არცა ერთი ყვედრება გქონდესთ მორწმუნეთა შორის, არამედ იქმნებოდეთ მათთვის სახედ სიტყვითა და საქმითა.

ბიბლიოთეკა

მესამედ, წმინდა მოციქული პავლე მოითხოვს მღვდელმთავრისაგან, რათა იყოს არა თუ მხოლოდ უბრალო, არამედ შემკულ, ესე იგი, მქონებელი ყოველთა სათნოებათა.

მსახურება ეპისკოპოსისა მით უმეტეს ძნელ არს, რომელ ყოველნი მორწმუნენი მარადის მას უმზერენ, მისგან ელიან მოძღვრებასა და სულიერსა სწავლასა. არა ძალ-უძს მას დაჰფაროს რომელიმე თვისი თვისება, ანუ მოქმედება. ვითარცა სანთელი, აღნთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა, ჰნათობს გარემო თვისსა და სჩანს შორიდგანვე, ეგრეთვე არს ცხოვრება კეთილისა ეპისკოპოსისა; ხოლო ცხოვრება და ყოფაქცევა უღირსისა მღვდელ-მთავრისა ემსგავსება საკვამლესა, სახლის სართულსა ზედა ატანილსა, რომლითგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჰაერსა და სჩანს შორიდგანვე. ამისათვის ეპისკოპოსი მარტო ვერც სცხონდება და ვერც წარწყმდება: კეთილი ეპისკოპოსი აცხოვნებს მრავალთა, ხოლო უღირსი წარსწყმდეს უმრავლესთა. გარნა რასა იტყვის უფალი იესო ქრისტე ცუდთა და მაცთუნებელთა კაცთათვის? რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა (მათ. 18, 6); და თუ ისრეთ არს თქმული ყოველთა უბრალოთა დამაბრკოლებელთა კაცთაზედა, რაიღა უნდა ვსთქვათ ეპისკოპოსსაზედა, რომელი დამწყსისა წილ დააბრკოლებს მორწმუნეთა! საშინელ არს ამისი წარმოდგენა! ამისათვის, ძმანო. ვითარი კრძალულება

და მეცადინეობა მართებს მღვედელ-მთავარს, რაოდენითა სათნოებითა ჯერ არს შემკული იყოს იგი, ვინაითგან თანამდებ არს მისცემდეს მაგალითსა დიდთა და მცირეთაცა. მდიდართა და ღარიბთა, ერთა და მღვდელთა. ცუდი სოფელი ესე იხარებს-ცა, ოდეს ხედავს ეპისკოპოსსა არა ჯეროვნად მცხოვრებსა, ვინაიდგან ცუდად მცხოვრებნი პირნი თავსა თვისსა ამართლებენ მიმხედველნი ცუდისა ყოფაქცევისა მისისა, და უკეთუ კეთილნიცა და ღირსნი ეპისკოპოსნი ზოგჯერ ვერ განერინებიან გესლიანსა ენასა ბოროტთა კაცთასა, ვითარ უკვე განერინების სუსტი და უღირსი?

არა უმიზეზოდ ვიტყვი, ძმანო, ამას ყოველსა; არა უმიზეზოდ ვცდილობ გამოვხატო თქვენ წინაშე სიმძიმე მომავალისა მსახურებისა ჩემისა. განზრახვა ჩემი მას შინა მდგომარეობს, რათა აღვადგინო გულსა შინა თქვენსა მონაწილეობა და თანამგრძნობელობა ჩემისა მსახურებისა, რათა იყოთ თქვენცა ყოველნი შემწედ და აღმასუბუქებელ ტვირთისა ჩემისა. საგანი ანუ ჰაზრი მსახურებისა ჩემისა არს სულიერი წარმატება თქვენი, და უკეთუ თქვენ ყოველნი აღმოჩნდებით მეცადინედ და მოშურნედ კეთილსა ქრისტიანულსა მოქალაქობასა შინა, მაშინ ფრიად ადვილ და სანუგეშო იქმნება ჩემთვის მსახურება ესე ჩემი.

დარწმუნებულ ვარ, რომელ თქვენ ყოველთა გსურთ მიიღებდეთ ჩემგან რომელსამე სარგებლობასა სულიერსა, ხოლო მეც უმეტეს ყოვლისა ვნატრობ. რათა მქონდეს თქვენ შორის რომელიმე სულიერი ნაყოფი; გარნა ამას შინა ერთი მხოლოდ არს ღონე — ქრისტეანული სიყვარული; სადაცა არა სუფევს სიყვარული, მუნ არცა ერთი სულიერი ნაყოფი გამოჩნდება. ამისათვის, ძმანო ჩემნო ყოვლად საყვარელნო, შევიძინოთ სიყვარული ურთიერთობრივი და შეუდგეთ ამიერითგან

ნრფელსა გზასა უფლისასა. ნაკლულევანებათა ჩემთა აღავსებდეს სიყვარული თქვენი, ვინაიდგან კაცი ვარ და ყოველი კაცობრივი არა შორს არს ჩემგან. დარიგებათა და მოძღვრებათა ჩემთა მიიღებდეთ გულ-მოდგინებით და სცდილობდეთ აღასრულოთ იგინი. მხილებანი ჩემნი, უკეთუ ჭეშმარიტ იქმნებიან, თუმცაღა ფიცხელ იყვნენ, ნუ გულისწყრომასა აღადგინებენ თქვენ შორის, არამედ სინანულსა და აღსარებასა.

დასასრულ, აღვავლინოთ მხურვალე ვედრება ზეცად, რათა მოწყალემან ღმერთმან არა უქმად და უნაყოფოდ გამოაჩინოს მომავალი მსახურება ჩემი თქვენ შორის, არამედ რომელმან მყო მე მწყემს-მთავრად სიტყვიერისა თვისისა სამწყსოისა, მანვე, სახიერმან, მომცეს ძალი და გონება, რათამცა კეთილად აღვასრულო ნება მისი და არცა ერთი სული ჩემისა სამწყსოისა წარუწყმიდო უფალსა ჩემსა, არამედ ძალ-მედვას კადნიერებით წარვსთქვა უკანასკნელსა და საშინელსა სამსჯავროსა შინა ქრისტესსა: აჰა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან (ისაია 8;18). ამინ.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

ტალანტი

„კაცი, რომელმაც იესო ქრისტს მიერ მოწაფეებისათვის მოთხრობილ იგავში თავის მონათაგან ერთს ხუთი, მეორეს ორი, ხოლო მესამეს ერთი ტალანტი დაურიგა და მათი გამრავლება უბრძანა, თავად ღმერთია, მონები კი ჩვენ, ადამიანები, ვართ. ტალანტი აქ ყოველგვარ ნიჭს — გონებას, სწავლას, სიმდიდრეს, კეთილშობილებას, თანამდებობას, ანუ პატივს, ე. ი. ყოველივე იმას ნიშნავს, რასაც ღმერთი ადამიანს აძლევს. პირველი ორი მონა, რომელთაც მიცემული ვერცხლი გაამრავლეს

და ბატონისაგან ქება დაიმსახურეს, ის ქრისტიანებია, რომელნიც ღმრთისგან მიმადლებულ ნიჭს კეთილსა და სასარგებლო საქმეებს ახმარენ, ხოლო მონა, რომელმაც თავისი ვერცხლი დამარხა, ის კაცია, ვინც სიზარმაცით, უზრუნველობით და ცუდი ყოფაქცევით თავის ნიჭს ღუპავს. მაგალითად, ეპისკოპოსობა დიდი ტალანტია, რომელსაც მღვლდელმთავარი მაშინ ასარგებლებს და გაამრავლებს, თუ სამწყსოში სათნოებათა სულიერ ნაყოფებს გამოარჩევს და განამტკიცებს; ანუ თუ მისი მრევლი სათნოდ და კეთილად ცხოვრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტალანტი ამაოდ არ დაუკარგავს. ვისაც ღმრთისგან სამოქალაქო სამსახურში ყოფნა ებოძა, მის გასამრავლებლად სიმართლეს, პეტიოსნებას, მართალთა გამართლებასა და დამნაშავეთა დასჯას უნდა ემსახუროს. ვაჭრობაც დიდი ტალანტია, რამდენადაც ფრიად საჭიროა ქვეყნისათვის. უკეთუ ვაჭარი პატიოსნებას დაიცავს, სიცრუესა და სიხარბეს დათმობს, მონაგების გარკვეულ ნაწილს გლახაკებს დაურიგებს და ეკლესიებს შესწირავს, ღმრთისგან მიცემულ ტალანტს ისიც გაამრავლებს და მომავალ მარადიულ ცხოვრებაში შეუფასებელ სიმდიდრეს მოიხვეჭს. იმათ, რომელნიც სოციალურად დაბალ ფენებს მიეკუთვნებიან და საარსებო პურს ოფლით შოულობენ, არ უნდა იფიქრონ, რომ სხვებთან შედარებით ღმრთისაგან მცირე ტალანტი ერგოთ და იმ მონის მსგავსად, რომელსაც ბატონისგან მიცემული ერთი ტალანტი ეცოტავა, საყვედური არ უნდა გამოხატონ. ღრმად თუ დაუფიქრდებით, მიხვდებით, რომ სხვებზე ნაკლები არც მათ ებოძათ, რადგან ქრისტიანისათვის უპირველესი ტალანტი კეთილი სარწმუნოება, კეთილმსახურება, კეთილი ყოფაქცევა ანუ, ერთი სიტყვით, სათნოებაა, ხოლო გზა სათნოებისაკენ ყველასთვისაა გახსნილი. პირიქით, ისიც კი

შეიძლება ითქვას, რომ მდაბალნი და ღარიბნი უფრო ახლოს არიან სათნოებასთან, ვიდრე მდიდარნი და პატივით აღმატებულნი, რადგან სიმდიდრე და დიდი პატივი სათნოების გზაზე მათ სიარულს აბრკოლებს. ღმერთმა ჩვენს ქვეყანას არც ერთი ტალანტი არ დააკლო, იქნება ეს მშვენიერი მდებარეობა, სამოთხისებური სილამაზე თუ ნაყოფიერება. მან თვით ჩვენი ერიც მრავალფეროვანი ტალანტებით უხვად დააჯილდოვა, მათგან ისეთი შეუფასებელი ტალანტით, როგორიც ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა. სამწუხაროდ, ღმრთისგან მიღებულ საუნჯეს ხშირად ჩვენი ხალხი მიწაში მარხავდა და ამით სახარებისეული იგავის მესამე მონას ემსგავსებოდა. უკეთუ მისი გამრავლება გვინდა, უპირველეს ყოვლისა, ყოფაქცევა უნდა გამოვიცვალოთ და ღმრთის შიში უნდა შევიძინოთ, რადგან ყოველი წარმატების დასაწყისი კეთილი ქრისტიანული ყოფაქცევაა. თუ ჩვენი ყოფაქცევა კეთილი იქნება, მაშინ ჩვენი სჯულიც გამართლდება, სახელი ქრისტესი ქებით განდიდდება და ეკლესიაც ამაღლდება. ცუდი ყოფაქცევით კი, პირიქით, სხვა რელიგიების აღმსარებელთა თვალში, მაცხოვრის სახელსაც დავამცრობთ და ეკლესიასაც, ქრისტემ ძენი ღმრთისანი გვიწოდა და თავისი სახელი მოგვცა, ამიტომ ჩვენი მხრიდან მისი სახელის გმობა განსაკუთრებით საშინელი ცოდვა იქნება.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან
გამოკრებილნი სწავლანი.
შემდგენლები: გვანცა კოპლატაძე და
გრიგოლ რუხაძე. თბ., 2002წ.

* * *

იმერეთის ახალი მღვდელმთავარი მოვალეობის სრული შეგნებით შეუდგა ეპარქიის მართვა-გამგეობას.

უპირველესად, წინამორბედთაგან დანერგილი „ძველი წესები განაგდო, საღმრთო წერილის გასავრცელებლად დააყენა მეტიპიკონე, მეისტორიე, ქართული წერა-კითხვის მასწავლებლები, გაამწესა ნასწავლი მედავითნენი... შთააგონა ხალხი და შეუდგნენ ეკლესიების შენებას და თვითონაც ხელს უწყობდა ყოველგვარად", — წერს ეპისკოპოსის პირველი ბიოგრაფი მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე.

უმეცარი და ანგარებით შეპყრობილი სამღვდელოების გამო იმერეთის ეპარქიაში ხალხს სარწმუნოებაზე გული ისე გაუცივდა, ბოროტება და ავკაცობა ისე აღზევდა, რომ გაბედეს და ხახულის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც გელათში ბრძანდებოდა, ხელი არა შესამკობად და გასამშვენებლად, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ, არამედ გასაძარცვად შეახეს. აი, ასეთ პირობებში შეუდგა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი მღვდელმთავრის უმძიმესი მოვალეობის შესრულებას და ზნეობრივი სისპეტაკით, პატიოსნების გამოსარჩლებით, სამართლიანობის დაცვისათვის თავდადებული მოღვაწეობით და დაუღალავი ქველმოქმედებით ხალხს არა მხოლოდ ეკლესიის მსახურთა მიმართ დაკარგული ნდობა აღუდგინა, არამედ მიბაძვის სურვილიც აღუძრა. წმინდა გაბრიელის ზრუნვის შედეგი იყო ისიც, რომ ამ პერიოდში იმერეთის ეპარქიაში მრავალი ახალი ეკლესია აიგო, ბევრი განახლდა...

დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მღვდელმთავრის გარეგნობაც, რომელშიც მისი სულიერი ბიოგრაფია იკითხებოდა: „ძნელი წარმოსადგენია უფრო მთლიანის და ამასთან ისეთის თავისებურის ბუნების ადამიანი, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო. მადლიანი და მადლით სავსე იყოო, — რაღაც გემომოკლებული დახასიათება იქნებოდა. სათნოება და მადლი მას უთუოდ არ აკლდა,

ოლონდ მისის სახის ღრმა და რთული გამომეტყველება, რომელშიც სიყვარული და სიკეთე სიმკაცრის რაღაც მსგავსს ეცილებოდა და ყველა ამას მწუხარე სევდიანი იერი ახლდა, რჩეულთა შორისაც განარჩევდა. მისი ნაღვლიანი თვალები სადღაც შორს იმზირებოდნენ, მის მსმენელთა ზემოთ, თითქოს სცდილობდნენ შორს, მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული მომავალი განეჭვრიტათ", — იგონებს ი. ზურაბიშვილი.

1864 წლის მაისში ეპისკოპოსი გაბრიელი იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა სამღვდელოების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა; მომდევნო წლის მაისში წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1866 წლის 11 აპრილს მეუფე გაბრიელი კავკასიაში მართლმადიდებლობის ალმდგენი საზოგადოების ნამდვილი წევრი ხდება; 1867 წ. 14 მაისს ღირსეულ მღვდელმთავარს წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენი ებოძა.

მართალია, გაბრიელი იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრად ითვლებოდა, მაგრამ არსებითად მის ეპარქიას მთელი დასავლეთ საქართველო შეადგენდა. წმინდა მღვდელმთავარი განსაკუთრებით სამწყსოში განათლების სენატისათვის იღვწოდა, რადგან იცოდა, რომ უვიცი და გაუთვითცნობიერებელი ხალხის მოტყუება ყველა ცხვრის ქურქში გახვეულ მგელს შეუძლია. მისი თაოსნობით და უშუალო ხელშეწყობით ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისივე ხელმძღვანელობით ქუთაისში 1890 წელს ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1894 წელს სასულიერო სემინარია დაარსდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ქალისა და ოჯახის შესახებ

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი

ქუთაისის ეპარქიული სასწავლებელი წარმოადგენდა ქართული სულიერი განათლებისა და კულტურის კერას, რომელიც თავის სითბოსა და სინათლეს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს უზიარებდა. ამ კერის შემქმნელი და ხელმძღვანელი, ძირითადი სიმძიმის მზიდველი იყო გაბრიელ ეპისკოპოსი. ახალი სასწავლებლის გახსნისას პირველი სირთულე ნებართვის მიღებით იწყებოდა. ქუთაისში მცხოვრებ ერთ-ერთ მემამულეს სტრუიცკის ბალახვანში ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთი, მშვენიერი ბაღით, ორსართულიანი შენობითა და ამავე ეზოში აგებული ულამაზესი პატარა ეკლესიით. 1888 წელს სტრუიცკიმ მთელი ეს ქონება უანდერძა სასულიერო უწყებას, საქართველოს საეპარქიო სამმართველოს. გაბრიელ ეპისკოპოსმა კარგად ისარგებლა ამ შემთხვევით და ეცადა, რომ მის ბაზაზე გაეხსნა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. ასეთი სტილის სკოლების მუშაობის გამოცდილება ამ პერიოდის საქართველოში ნამდვილად არსებობდა. ამ სასწავლებელს თავისი სტრუქტურით ჩამოჰგავდა 1866 წელს უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული და საქართველოს ეგზარქოსის, ევსევის შუამდგომლობით გახსნილი, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი.

ამ სასწავლებლის მიზანს შეადგენდა „მტკიცე მართლმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს“.

ასეთი მაგალითის არსებობა თავისთავად ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა აღძრა შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ სტრუიცკის ყოფილ სახლში გახსნილიყო იმერეთის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. 1889 წელს სინოდმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და გაბრიელ ეპისკოპოსმაც სკოლის მოწყობა-გაფართოებისა და გამშვენიერების საქმეს დიდი ენერგია შესწირა და ფულად ათი ათასი მანეთი გაიღო.

1889 წელს შეიქმნა ეპარქიული სასწავლებლის გახსნის კომიტეტი, გაბრიელ ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით. მცხეთის დედათა სასწავლებლის მსგავსად არ იყო საშუალება, თავიდანვე სრული სასწავლებელი გაეხსნათ, ამიტომ კომიტეტი შეუდგა მზადებას უფრო მცირე, სამკლასიანი სასწავლებლის გასახსნელად, ერთი მოსამზადებელი კლასით. ეს პროცესი თითქმის ორ წელიწადს (1890-1892) გაგრძელდა. საორგანიზაციო კომიტეტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლებლისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევას. ბევრ ახალგაზრდას სურდა ახალგახსნილ სასწავლებელში დაეწყო სწავლა. უპირატესობა სასულიერო წრის წარმომადგენლებს ეძლეოდათ, თუმცა რამდენიმე ადგილი საერო პირთათვისაც რჩებოდა. დასაწყისისათვის მისაღები კონტინგენტი 45-ით განისაზღვრა.

მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დაინიშნა ი. ასათიანი; კლასის ზედამხედველად და ბიბლიოთეკის გამგედ — ქ. ჩიქოვანი; სასწავლებლის ექიმად ს. ლორთქიფანიძე მოიწვიეს, გალობის მასწავლებლად კი — კ. მაღრაძე.

1892 წლის 21 იანვარს გააუქმეს სასწავლებლის გახსნის კომიტეტი და შეადგინეს სასწავლებლის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ კვლავ გ. ცაგარეიშვილი დაინიშნა. წევრები იყვნენ: ი. ჭეიშვილი და ნ. [illegible] მოგვიანებით, 1894 წელს, სასწავლებლის უფროსად დაინიშნა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული ნინო თავდგირიძე, ინსპექტორად კი — იოსებ დავითაშვილი. იმავე წელს საღვთო სჯულის მასწავლებლად მოიწვიეს ი. ჭირაქაძე, რუსული და ქართული ენების მასწავლებლად — ვ. ვარდანაშვილი.

1892-1893 სასწავლო წლისათვის უკვე მზად იყო 7 სამოსწავლო საკლასო ოთახი, საგამოცდო კომისია და ადმინისტრაცია. გამოცდების ჩატარების შემდეგ მაღალ მოსამზადებელ კლასში 13 გოგონა ჩარიცხეს, დაბალ მოსამზადებელ კლასში — 20. სულ სასწავლებელში მიიღეს 42 მოსწავლე გოგონა. მათ შორის ძირითადი ნაწილი სასულიერო უწყებიდან იყო, სულ — 38. დანარჩენი 4 მოსამსახურეთა შვილები იყვნენ.

შემდგომ წლებში უკვე პოპულარული სკოლა ამართლებს თავის არსებობას. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „იმერეთის" ფურცლებზე მოთავსებული ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის ხელმძღვანელობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 1913 წელს ხსენებული სასწავლებლის არც ერთ კლასში ვაკანტური ადგილი არ ყოფილა, გარდა მოსამზადებელი კლასებისა.

ამ სკოლას ხშირად სტუმრობდა ეპარქიის არქიეელიც, ამოწმებდა პედაგოგთა და მოსწავლეთა მომზადების დონეს, ცდილობდა, დახმარებოდა მათ საჭიროების მიხედვით. იგი, ყოველი სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, სრულ ანგარიშს წარუდგენდა ხოლმე უწმინდეს სინოდს სასწავლებლის საერთო მდგომარეობისა და მისი

ზნეობრივი მხარის შესახებ. მასწავლებლის დანიშვნა და მისი განთავისუფლებაც ეპარქიის არქიელის საქმე იყო. მისსავე ფუნქციებში შედიოდა ვინმეს დაჯილდოება თუ შუამდგომლობაც. არქიელის მეშვეობით ხდებოდა პარალელური განყოფილებების, ან კიდევ ახალი სასწავლებლების გახსნა.

ეპარქიულ სასწავლებელთან არსებობდა სამგანყოფილებიანი სასწავლებელი. სამივე განყოფილება ერთ კლასში იყო და სამივეს ერთდროულად ასწავლიდა ერთი მასწავლებელი. სწავლობდნენ ქართულს, რუსულს, არითმეტიკას, საღვთო სჯულს და სხვა საგნებს.

დასაწყისისათვის საღვთო სჯულს ტარასი სოხაძე ასწავლიდა, დანარჩენ საგნებს მხოლოდ ერთი მასწავლებელი — ნადია სანიკიძე. ქართულ ენაზე მხოლოდ ქართული და საღვთო სჯული ისწავლებოდა, დანარჩენი ყველაფერი — რუსულ ენაზე. ბავშვებს ძალიან უჭირდათ რუსული ენის გაგება, ზოგჯერ დამახინჯებულადაც კი სწავლობდნენ. საოცრად თბილი დამოკიდებულება ყოფილა ეპარქიულ სასწავლებელში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.

ეპარქიულმა სასწავლებელმა 1892 წლიდან 1920 წლამდე იარსება. სასულიერო პირთა ქალიშვილების აღზრდას როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში სწორედ ასეთი ეპარქიული სკოლები ემსახურებოდნენ. თავისი არსებობის მანძილზე აქ 1860-მდე გოგონა აღიზარდა. მათგან სრული კურსი მხოლოდ 728 მოსწავლემ დაასრულა.

სასწავლო გეგმის მიხედვით, აქ ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა (რომელსაც მხოლოდ ორი საათი ჰქონდა დათმობილი კვირაში), არითმეტიკა მეთოდიკით, გეოგრაფია, ფრანგული ენა, დიდაქტიკა, ფიზიკა, გეომეტრია, სლა-

ვური და ქართული გალობა, ფსიქოლოგია, ალგებრა, ისტორია, რუსული ენის მეთოდიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, ხელსაქმე, უცხოეთის ლიტერატურა და პედაგოგიკის ისტორია.

1890 წელს სამკლასიანი სასწავლებელი ექვსკლასიანად გადაკეთდა. სასწავლებელთან გაიხსნა საბაზო დაწყებითი სკოლა (გამგე — ლაზარე ხმალაძე), 24 მოსწავლე გოგონათი. ამ სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ სასწავლებლის I კლასის მოსწავლეები. ისინი აკვირდებოდნენ საბაზო სკოლის ცხოვრებას, მორიგეობდნენ სანიმუშო სკოლაში. თითოეული მათგანი თითო გაკვეთილს გადასცემდა პარასკეობით. საცდელ გაკვეთილებს ესწრებოდნენ სასწავლებლის უფროსი, ინსპექტორი, დიდაქტიკის მასწავლებელი და სხვ. გადაცემული გაკვეთილების გარჩევა ხდებოდა კვირაში ერთ დღეს.

ქალთა სასწავლებლების მიზანი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო არა მარტო სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების შესწავლა, არამედ მათი აღზრდა ისეთ ქალებად, რომლებიც კარგი მეოჯახენი, საუკეთესო დედები და მაღალი ზნეობის მეუღლეები იქნებოდნენ. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი ამ მისიას ძირითადად ბრწყინვალედ ასრულებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გაბრიელის სახელობის იმერეთის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელს გაბრიელის სახელობის გიმნაზია ეწოდა, მაგრამ სასწავლებლის შინაარსი ამით არ შეცვლილა. დარჩა იგივე პროგრამა, იგივე მასწავლებლები, იგივე ატმოსფერო.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე (1892-1921) ქალთა ეპარქიული სასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. სასწავლო-აღმზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელობითმა მუშაობამ, ბრწყინვალე პედაგოგიურმა კადრებმა, საგნების ქართულ ენაზე სწავლებისადმი ახალი დამოკიდებულების დამკვიდრებამ და შინაგამოყენებამ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების პროცესში, აგრეთვე მოსწავლეთა წარმატებებმა აამაღლა სკოლის ღირსება და ავტორიტეტი ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს საზოგადოებაში.

ასე რომ, შრომას, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე დაიხარჯა, გარჯასა და მცდელობას პედაგოგებისა, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ, უსარგებლოდ არ ჩაუვლია. სკოლამ თავისი როლი პირნათლად შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

მოვალეობა ქალისა

დროთა განმავლობაში სახე იცვალა აღზრდამ, მდგომარეობამ და ყოფაქცევამ ქალისა. ადრე უმეტესწილად აღზრდა ქალისა შინაური იყო, შინ ხდებოდა, დედ-მამის ზედამხედველობის ქვეშ. იგი სწავლობდა საღმრთო წერილს, დავითნსა და ჟამნს, საეკლესიო გალობას, შინაურ საქმეებს. ასე რომ, მათ მომავალი ცხოვრებისათვის კეთილგონივრულად ამზადებდნენ. ე.ი. წინასწარ აჩვევდნენ იმას, რაც მომავალ ცხოვრებაში ელოდებოდათ. ქალის ბუნება მამაკაცისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ იგი უმეტესად გულითა და გრძნობით ცხოვრობს, ხოლო მამაკაცი — გონებით. ქალი მაშინაა კამყოფილი და ბედნიერი, როცა ქმრის, ძმისა და თუ სხვა მახლობლების მიმართ უხვად იღებს სიყვარულს, ანუ როცა სხვას აბედნიერებს. ღმრეთმა

მას მამაკაცისაგან განსხვავებული თვისებანი იმიტომ მისცა, რომ მოვალეობაც განსხვავებული აქვს. ძველებური აღზრდა ქალს სწორედ თავისი მოვალეობის, დანიშნულების აღსრულებისათვის ამზადებდა. პირველ რიგში, გასაოცარი იყო სიყვარული და ერთგულება ქალისა ქმრისადმი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქმარი ულირსი იყო. დღეს შინიდან გამოსული და განათლებული ქალი ხშირად შეურაცხყოფს მეუღლეს, თუ იგი ქცევითა და ღირსებით მასზე ნაკლებია. მეორე — ასევე გასაოცარი და საკვირველი იყო ძველ წესზე აღზრდილი ქალების თავშეწირული სიყვარული შვილებისადმი, მათი მესამე ღირსება სიმდაბლე და სიმშვიდე იყო ზოგიერთები იმდენად თავმდაბალნი იყვნენ, რომ თუმცა მთელ სიცოცხლეს მახლობელ და საყვარელ ადამიანებს სწირავდნენ, ამაში ვერაფერს განსაკუთრებულსა და უჩვეულოს ვერ ხედავდნენ. ამას ემატებოდა მათი დაუცხრომელი შრომა და დაუძინებელი ზრუნვა ოჯახისათვის, მსგავსად დაუღალავი ფუტკრისა.

არმოსაწონებელი არც ახალ დროში შემოსულ ქალთა სწავლა-განათლებაა, მაგრამ სასურველი და სანატრელი ისაა, რომ სწავლა-განათლებასთან ერთად ქალებმა ეს საქები თვისებებიც არ დაკარგონ. ადვილი წარმოსადგენია, რა დაუფასებელი საუნჯე იქნება საზოგადოებისათვის ის ქალი, რომელშიც ძველებური აღზრდის ეს საყვარელი თვისებანი სწავლა-განათლებასთან იქნება შერწყმული. ხოლო თუ ქალებმა, ნაცვლად ზემოჩამოთვლილი თვისებებისა, დაფანტული ცხოვრება, განცხრომა, თავის მოწონება და გარეგნულად შემკობა შეიყვარეს, ეს ფრიად სამწუხარო და ჩვენი ერის მომავლისათვის ფრიად მავნებელი აღმოჩნდება.

დანიშნულება ქალისა ქრისტიანობაში ძალიან დიდია. ყოველი ადამიანი პირველ აზრებს, მიდრეკი-

ლებებს, პირველ ლოცვას დედისგან სწავლობს, ე.ი. ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოველი ადამიანისა თითქმის ქალზე — დედაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი იკითხავს: რა საჭიროა ცალკე სწავლა და დარიგება ქალებისათვის? განა სარწმუნოება და სჯულის სწავლება ერთნაირი არაა ორივე სქესისათვის? მართალია, სარწმუნოება და სჯული ორივე სქესს ერთი გვაქვს, მაგრამ ზნეობრივი სწავლა-დარიგებანი ქალებისათვის განსხვავებულია იმდენად, რამდენადაც სხვაა მათი მოვალეობა და დანიშნულება. ამ შეხედულებას ისიც გვისაბუთებს, რომ ორივე აღთქმის წიგნები ქალებს ხშირად განსხვავებულ დარიგებებს აძლევენ. სოლომონ ბრძენი გვასწავლის: დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსასყიდლისა. რას ნიშნავს მხნე დედაკაცი? სოლომონის თქმით, დედაკაცი მხნე სახლს ისე მართავს, რომ გული მისი მეუღლისა სრულად მოსვენებულია. ასეთი ქალისათვის შრომისმოყვარეობა ნუგეშად და სიხარულადაა ქცეული. მხნე დედაკაცი კეთილი და ქველმოქმედიცაა. მისი ქველმოქმედება წინაშე ღმრთისა მით უმეტეს ძვირფასია, რომ იგი გლახაკებს თავის ნაშრომს აძლევს. ამგვარი ქალის ქმარი საზოგადოებაში, მისი მეუღლის გონიერებისა და სიკეთის გამო, ქებული და დიდებულია.

ზოგიერთმა ქალმა შეიძლება იფიქროს, ნუთუ დედაკაცს გარდა დაუძინებელი შრომისმოყვარეობისა, ქსოვისა და კერვისა, რომელთაც სოლომონ მეფე აქებს, სხვა თვისებები არ უნდა ჰქონდეს? რა თქმა უნდა, ქალს სხვა საქმეთა აღსულებაც შეუძლია, მაგრამ უპირველესი დაუცხრომელი შრომა და ოჯახის მართვა უნდა იყოს. ამით იგი ცხადად გვიმტკიცებს, რომ თავისი თავი უარყო და სარგებლობას არა საკუთარი თავისთვის, არამედ მახლობლებისათვის ეძიებს. მეორეც, შრომისმოყვარე

ქალს დრო აღარ რჩება ჭორისა და ბოროტსიტყვაობისათვის, განცხრომისა და სხვა შეუფერებელი საქმეებისათვის და მესამე: იგი კეთილ მაგალითს აძლევს შვილებსა და გარშემო მყოფთ. ასეთი ქალი, მსგავსად სანთლისა, თავის გარშემო მყოფთ სიწმინდით, ბედნიერებითა და ქრისტიანული ზნეობით აცისკროვნებს. ერთის სიტყვით, იგი მხნეა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ დაუძინებელი შრომა მხოლოდ ღარიბ ქალებს მოეთხოვებათ, — არამც და არამც! ღმერთმა შრომა და მუშაობა ყოველი ადამიანისათვის დააწესა. გავიხსენოთ, რომ მხნე დედაკაცის აღწერა ბრძენმა სოლომონმა დედისაგან მოისმინა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ღარიბი ყოფილიყო. უმჯობეს და უსაყვარლეს მაგალითად კი იმას მოვიყვანთ, რაც სარწმუნო კაცისაგან მომისმენია. ერთ უძველეს ეკლესიაში კედელზე ყოფილა ფრესკა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა, რომელსაც წინ მატყლი უდევს, ხელში თითისტარი უჭირავს და ქსოვს. კარგი იქნებოდა მენახა ეს ხატი. მაშინ ყოვლადწმიდა დედის საღმრთო ბუნების მეორე მხარესაც გავიცნობდი. საჭიროა, ყოველ ქალს მუდმივად თვალწინ ჰქონდეს ისეთი ხატი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა, რომელზეც მას ხელში მატყლი და თითისტარი ექნება. მის ერთ მხარეს მისი ღმრთეებრივი ყრმა იქნება, რომელიც დედას სიყვარულით აღსავსე ღიმილით უცქერის. თვითონ ღმრთისმშობლის სახეზე სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული დიდი ხელოვნებით იქნება გამოყვანილი, ხოლო მის თვალებში იმ გონიერებისა და კრძალულების უფსკრული იბრწყინებს, რომელნიც ადამიანის გულს წარიტაცებენ. ასეთი ხატი ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო იქნებოდა ყოველი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა.

ქალს განსაკუთრებით სჭირდება გონიერება და მხნეობა, შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე მამაკაცს, როგორც ვიცით, ქალი აგებულებით მამაკაცზე ბევრად უფრო სუსტია, ამიტომ ეს სისუსტე, რათა მამაკაცს ძალიან არ ჩამორჩეს, მან გონიერებითა და ხასიათის სიმტკიცით უნდა შეავსოს. მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში არ გახდება ის მამაკაცის ხელში სათამაშო. ქრისტიანობა ქალისგან გონიერებასა და მხნეობას მოითხოვს, იგი ვერ მოითმენს, რომ მას მამაკაცთან მონური დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორც ეს გაუნათლებელსა და უსჯულო ქვეყნებში ხდება, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცის პირუტყვულ ვნებათა მსახურად ითვლება. ქრისტიანულ საზოგადოებაში ქალს დიდი პატივი და დანიშნულება აქვს, რადგან ღმერთმა იგი მრავალი განსხვავებული თვისებითა და ნიჭით შეამკო. სამწუხაროდ, გონიერებისა და მხნეობის გამოყენება ბოროტი საქმეებისთვისაც შეიძლება, ქალი კი თავის დანიშნულებას მაშინ შეასრულებს, თუ ამ თვისებებთან ერთად სიმშვიდითა და სიმდაბლითაც იქნება შემკული და თავის ჭკუას და სულიერ სიმტკიცეს ოჯახსა და მახლობლებს მოახმარს.

როცა ღმერთმა ჩვენი წინაპარი ადამი შექმნა, ბრძანა: არა კეთილ არს ყოფად კაცი მარტო, ვქმნეთ მისა შემწე მისებრ და შექმნა ევა მსგავსად და ხატად კაცისა და შემწედ მისა, — ეს არის საფუძველი ქალთა დანიშნულებისა და მოვალეობისა. ქალი შემწე და მეგობარი უნდა იყოს კაცისა, მისი საქმის, მთელი მისი ცხოვრების მოზიარე. მან უნდა შეუმსუბუქოს და გაუადვილოს კაცს ცხოვრება, უნდა იყოს მისი ნუგეში, განმამხნევებელი, განმაღვიძებელი, ერთი სიტყვით, უნდა გაამართლოს სახელი „მეუღლე“, ანუ უნდა შეეწიოს ქმარს უღლის ზიდვაში. ზოგიერთ ქალს ჰგონია, რომ ოჯახის რჩენა მხოლოდ მამაკაცის მოვალეობას წარმოადგენს. ეს შე-

ხედულება უმართებულოა. დიდად საქები და მადლიანია ის ქალი, რომელიც თავისი შრომით შეეწევა ქმარს ოჯახისა და შვილების რჩენაში. ბრძენი სოლომონის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მხნე ქალი გვირგვინია ქმრისა, ქალი, რომელიც სიზარმაცითა და უსარგებლო სამკაულების სიყვარულით გამოირჩევა, ქმრისთვის ყელზე ჩამოკიდებული ლოდია, რომელიც ახრჩობს მას, საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საზოგადოების დაბალ ფენებში უფრო მრავლად არიან ისეთი ქალები, რომელნიც შრომასა და ჯაფაში გვერდით უდგანან მეუღლეებს. დროა მაღალი წრის ქალებმაც დათმონ თავიანთი ჩვეულებანი, მრავალი უსარგებლო ხარჯი შეამოკლონ, მეუღლეებს ცხოვრება გაუადვილონ და შრომასა და მოღვაწეობას შეუდგნენ.

დედაკაცი

ბოროტ დედაკაცთან ერთად ცხოვრება დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელია. დედაკაცის სიბოროტე ყოველივე სხვას იმიტომ აღემატება, რომ ღმერთმა ქალს ჩვილი გული და ლმობიერი ხასიათი მისცა, მაგრამ თუ ქალმა ეს ბუნებითი თვისება შეიცვალა და ბოროტი შეიქნა, მასზე უფრო საძაგელი არაფერია. თუ დედაკაცი თავის ქმარზე უფროსობს, ეს დიდი სირცხვილია. ცოლი ქმარზე რაგინდ უმჯობესი და უგონიერესი იყოს, მაინც მას უნდა დაემორჩილოს; ეს ოჯახის წარმატებასა და კეთილდღეობას ხელს არ შეუშლის, ქმრის პატივისცემა და მორჩილება ოჯახურ ზრუნვასა და შრომასთან შეიძლება კეთილად შეერთდეს. ბოროტი დედაკაცის ქმარს პირი მჭმუნვარე აქვს და გული — დაწყლულებული, ხოლო კეთილი ქალის ქმარი მხიარულია და დიდხანს ცოცხლობს ქვეყანაზე. როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაშიც დედაკაცის მორ-

ცხვობა, მდუმარება, კეთილობა, მყუდროება, ოჯახის მეურნეობა და ოჯახზე მზრუნველობა ყოველთვის მოსაწონი იყო. ქრისტიანი ქალის მნიშვნელობა ის არის, რომ სიწმინდის, პატიოსნებისა და ზნეობის მცველი, განმამტკიცებელი, გამავრცელებელი და ქრისტიანული ცოლქმრობის, მამაშვილობის, ოჯახური ცხოვრების დამამყარებელი და ამღორძინებელი იყოს, ნეტარ არს ის ქვეყანა და ერი, რომელსაც წმინდა ზნეობის დედაკაცნი ჰყავს. ასეთი ქვეყანა ყოველთვის წარმატებული და ბედნიერი იქნება; წინააღმდეგ ამისა, სატირალი და უბედურია ის ერი და ქვეყანა, რომელშიც ქალებმა თავისი მნიშვნელობა დაივიწყეს და ქრისტიანული ზნეობის საწინააღმდეგოდ ცხოვრობენ; ასეთი ქვეყანა და ერი მალე წახდება და დაეცემა.

ოჯახი

ყოველი კაცი პირველ ჩვეულებებსა და შეხედულებებს ოჯახში იღებს; ოჯახში ითვისებს იგი ცუდსა და კარგ ყოფაქცევას, აქ ყალიბდება მისი ბოროტი თუ კეთილი სახიათი. ამიტომ ღმრთისმოყვარე და წმინდა ოჯახში კარგი და კეთილი ადამიანი იზრდება და პირიქით. კეთილი შინაური ცხოვრება კეთილი ქრისტიანული ზნეობის საფუძველი იმიტომაც არის, რომ ქრისტიანი ქრისტეს მცნებას ვერსად ისე ვერ აღასრულებს, როგორც საკუთარ სახლში, ოჯახში. ქრისტეს პირველი მცნება სიყვარულია; სად შეიძლება უკეთესად სიყვარულის გამომჟღავნება, ვიდრე ოჯახში? აქ გამოჩნდება, როგორი გული გაქვს და ნამდვილად შეგიძლია თუ არა მოყვასის შეყვარება. თუ დედ-მამა, და-ძმა და ნათესავ-მახლობლები ვერ შეიყვარე, ყოველთა სხვათა მოყვასთა როგორღა შეიყვარებ? დიდი სათნოებაა მოთმინება, რომელსაც ადამიანი სწორედ

ოჯახში უნდა მიეჩვიოს. აქ ყოველ დღესა და ყოველ წამს მოთმინებითა და სულგრძელად უნდა იქცეოდე. თუ ადამიანებმა ერთმანეთს ნაკლი და შეცდომები არ მოუთმინეს, ერთად ვერ გაძლებენ. დიდი და ფრიად საჭირო სათნოებაა ადამიანისათვის საკუთარი თავის უარყოფა, ე.ი. სხვისათვის თავის შეწირვა. ამ მცნების აღსრულების საუკეთესო შემთხვევაც ოჯახში გვაქვს. ასევე სიწმინდეს, სულგრძელობას, სიმშვიდესა და სხვა ქრისტიანულ სათნოებებს ვერსად ისე ვერ შეიძენს კაცი და ვერ განამტკიცებს, როგორც საკუთარ ოჯახში. და მესამეც: კაცის ხასიათი ისე კარგად არსად არ მჟღავნდება, როგორც შინ, მახლობელთა შორის. თუ გარეთ შეუძლია თავისი ნამდვილი ხასიათი დამალოს და გარშემო მყოფთ კარგ ადამიანად ეჩვენოს, ოჯახში ყოველ წამს და ყველა შემთხვევაში გამოჩნდება, სინამდვილეში ვინაა იგი – კეთილი თუ ბოროტი. შინაური ცხოვრება სარკეა, რომელშიც ადამიანის ნამდვილი ხასიათი და ბუნება გამოიხატება. ქრისტიანებისათვის სახლი, ანუ ოჯახი მეორე ეკლესიაა: როგორც ეკლესიაში, ოჯახშიც სიწმინდითა და მორიდებით უნდა იქცეოდე.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან
გამოკრებილნი სწავლანი.
შემდგენლები: გვანცა კოპლატაძე და
გრიგოლ რუხაძე. თბ., 2002წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცდისეული ფსიქოლოგია

1858 წელს პეტერბურგში გამოიცა გაბრიელ ქიქოძის ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". სამეცნიერო წრეებში ამ ნაშრომის გარშემო ატყდა დისკუსია, აზრთა სხვადასხვაობა, 1859 წელს ჟურნალ „სოვრემენნიკში" გამოქვეყნდა ნ. დობროლიუბოვის რეცენზია. XIX ს. 60-იან წლებში ეს ნაშრომი იქცა ფსიქოლოგიის თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ რუსეთის სასულიერო სემინარიებში.

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები

წინასიტყვაობა

როცა განათლებულ ადამიანთა სამსჯავროზე გამოგაქვს „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ მეთოდის გასამართლებლად, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ მათი გადმოცემისათვის.

ფსიქოლოგიას ბევრი როდი მიიჩნევს ცდისეულ მეცნიერებად და თუმცა ასობით წიგნი ატარებს ცდისეული ფსიქოლოგიის სახელწოდებას, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მათში მეტად მცირეა ცდისეული; ყოველ შემთხვევაში, ისინი ჯერ კიდევ მეტად შორს არიან ჭეშმარიტად ცდისეული, ე.ი. ბუნებისმეტყველურ

მეცნიერებათა მეთოდისაგან. საღად მსჯელობისას კი უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ ფსიქოლოგიას ნაკლებად როდი მიეყენება კვლევის ცდისეული მეთოდი, ვიდრე ამ მეცნიერებებს; ეს იმიტომ, რომ ადამიანის სული არ არის ჩვენი გონების რაღაც განყენებული წარმოდგენა, რომლის შესწავლაც მხოლოდ გონებაჭვრეტით იქნებოდა შესაძლებელი, არამედ სუბსტანციაა, რომელსაც აქვს ნამდვილი ყოფიერება და რომელიც თავს იჩენს მრავალ მოვლენაში; მაშასადამე, იგი, ყველა სხვა სუბსტანციის მსგავსად, შეიძლება და უნდა იქნეს შესწავლილი ცდებისა და დაკვირვების გზით. მართალია, სული უხილავი არსებაა და გარე საგნების მსგავსად შეუძლებელია მას გარე გრძნობების საშუალებით დავაკვირდეთ, მაგრამ სამაგიეროდ, თვითონ ეს გრძნობები არიან სულის წარმონაქმნნი. მაშასადამე, როცა მათ ვსწავლობთ, ამით თვითონ სულს ვსწავლობთ. მთელი ჩვენი ორგანიზმი იარაღია სულისა, რომელიც მუდამ თავის თავს ავლენს მის ცვლილებებსა და მდგომარეობებში; მაშასადამე, ორგანიზმის ამ მდგომარეობების შესწავლით ჩვენ შევიმეცნებთ თვითონ სულის თვისებებს. გარდა ამისა, ყოველი სულიერი მოვლენა, ყოველი შინაგანი ფაქტი, რომელიც ორგანიზმისაგან დამოუკიდებელია, ასევე შეიძლება იყოს შინაგან დაკვირვებათა საგანი, რამდენადაც ჩვენი თვითცნობიერება მუდმივი შინაგანი ცდაა. ბოლოს, ყველა სულიერ ძალას და უნარს ადვილად შეიძლება დავაკვირდეთ მაშინ, როცა ისინი დაძაბულია, როცა ისინი ვარჯიშობენ, მოქმედებენ. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საგნის შესწავლის ცდისეულ მეთოდს არსად ისეთი ფართო გამოყენება არ შეიძლება ჰქონდეს, როგორც ფსიქოლოგიაში, და მე მგონია, ფსიქოლოგია ბევრს მოიგებდა, თუ უარს იტყოდა უნაყოფო გონებაჭვრეტაზე და მიმართავდა ზუსტ

ცდას, მიუკერძოებელ დაკვირვებებს, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, ერთი სიტყვით, თუ მიმართავდა იმ შესანიშნავ მეთოდს, რომელიც ბუნებისმეტყველურ მეცნიერებებს ასე შესაშურად ზუსტს, საინტერესოს და საფუძვლიანს ხდის.

აი, ის მოსაზრებანი, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" გადმოცემისას. ჩვენ ვცდილობდით სულის შესახებ ყველა მსჯელობა ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე დაგვემყარებინა, რომლებიც ფიზიოლოგიასა და ფიზიკაში სავსებით დამტკიცებული და ახსნილია, რომ ამით თავი დაგვეღწია ყოველგვარი უნაყოფო თეორიებისა და ჰიპოთეზებისაგან.

მაგრამ თვითონ ფსიქოლოგიის გადმოცემისას, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ჩვეულების შესაბამისად, ჩვენ ზუსტად უნდა აგვეხსნა, რა არის ფსიქოლოგია, როგორ დაიყოფა იგი, რა ადგილი უკავია მას სხვა მეცნიერებათა შორის, როგორ უნდა გადმოიცეს ის და ა.შ. და ა.შ. განსაკუთრებით კი ძალა არ უნდა დაგვეშურებია იმის დასაბუთებისათვის, რომ ფსიქოლოგია ყოველმხრივ მეტად სასარგებლო მეცნიერებაა. მაგრამ დაე მოგვიტევონ, რომ მიღებულ ჩვეულებას გადავუხვიეთ, ჩვენ გვგონია, რომ მეცნიერების ასეთი შესავალი ზედმეტია, უნაყოფო და ნაწილობრივ სასაცილოც კი. ყველა ეს ჭეშმარიტება, რომელთაც შესავალში ამტკიცებენ, მეცნიერების საწყისს კი არ უნდა წარმოადგენდნენ, არამედ საბოლოო შედეგებს. წიგნის პირველ გვერდზე იმის ახსნა, რაც მთელი კვლევა-ძიების შედეგის სახით უნდა იქნეს გამოყვანილი, იგივეა, რაც სახლის შენების დაწყება სახურავით. ფსიქოლოგია რომ სულის შესახებ მეცნიერებაა, ეს, უეჭველად, წინასწარ იცის ყველამ, ვინც კი ამ წიგნს აიღებს ხელში. რა მეცნიერე-

ბებთან აქვს მას კავშირი, ამას შედეგები გვაჩვენებენ; სასარგებლოა თუ არა იგი, ეს თვითონ მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს, როცა წიგნს ბოლომდე წაიკითხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტები წმინდა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებიდან“ რელიგიური გრძნობების შესახებ

თავის შინაარსი

სულის რელიგიური მდგომარეობები ანუ რელიგიური გრძნობები თავისი როლისა და ღრმა ფსიქოლოგიური მნიშვნელობის გამო განსაკუთრებული, გულმოდგინე გამოკვლევის საგანი უნდა იყოს. მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ნათელი ხდება იქიდან, რომ ისინი მსჭვალავენ სულს — ყველა მდგომარეობაზე ღრმად და რომ არც ერთ გრძნობას არა აქვს ამგვარი ელფერი და ხარისხები, არც ერთი მათგანი არ ახდენს ესოდენ ღრმა და კეთილისმყოფელ გავლენას ადამიანის მთელს არსებაზე. ამიტომ შევეცდებით, რამდენადაც შევძლებთ, ამ თავში წარმოვადგინოთ რელიგიურ გრძნობათა მოკლე ანალიზი. საჭიროა წინასწარ შევნიშნოთ, რომ თუკი საერთოდ ყველა სულიერი გრძნობის ანალიზი ძნელია, მით უფრო ძნელია ანალიზი რელიგიური მდგომარეობისა. სწორედ აქაა ყველაზე მეტად აუცილებელი, რომ ადამიანმა, თუკი სურს გაიგოს ეს მდგომარეობები, თავად განიცადოს ისინი.

რელიგიური სიხარული

რელიგიური სიხარული სულის ის სასიამოვნო შეგრძნებაა, კმაყოფილების, სიმშვიდის და სულიერი სიწყნარის ის მდგომარეობაა, რომელიც იბადება სულში ან მთელი ცხოვრების საერთო განწყობილებიდან, ანდა სინდისის შინაგანი ხმით მოწოდებული რაიმე

ქრისტიანული საგმირო საქმის შედეგად. რელიგიური სიხარული, როგორც რომელიმე კერძო საქციელის, მაგალითად, მგზნებარე ლოცვის ან გულმოწყალეს გმირული საქმის შედეგი, მრავალი ადამიანის ცხოვრებაში გვხვდება, მაგრამ როგორც შედეგი მთელი ცხოვრების წესისა და სულის განწყობისა — ძალზე იშვიათია. ეს იმიტომ, რომ ჩვენში მთელი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე მუდმივი ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის და იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელმაც იმდენად შეძლო დაემარცხებინა თავისი ლტოლვები, რომ სინდისი აღარ არღვევს მის სულიერ სიმშვიდეს. მაგრამ თუ ვინმემ სიკეთის გზაზე მიაღწია ისეთ სრულყოფას და სიმტკიცეს, რომ მასში სულიერ სიმშვიდეს არ არღვევს სინდისის საყვედურები და სულში არ არის დაპირისპირებულ გრძნობათა ბრძოლა, მაშინ მისი სიხარული, მისი სულიერი სიწყნარე მუდმივი და გაბატონებული გრძნობაა — ისაა, რასაც საღვთო წიგნში ეწოდება სიხარული სულიწმიდაზე. ძალზე დიდი და საკვირველია ამ სიხარულის განსხვავება იმ სიხარულისაგან, რომელიც ჩვენ წინა თავში აღვწერეთ. როგორი წმინდაც უნდა იყოს ამქვეყნიური სიხარულის წარმოდგენის ანდა რაიმე ამქვეყნიური უპირატესობის ფლობის საფუძველზე წარმოქმნილი სიხარული, მასში მაინც არის რაღაც ისეთი, რაც სრულ კმაყოფილებას არ გვანიჭებს. ის ხანგრძლივად არ ამშვიდებს სულს. პირიქით, აღელვებს და არ აკმაყოფილებს მის სურვილებს, ისე რომ, რაც უფრო დიდი და ძლიერია ეს სიხარული, მით უფრო ძლიერია რეაქცია, რადგან ყველამ იცის: ძლიერი სიხარულის შემდეგ ადამიანს სევდა ეუფლება. ასეთი როდია რელიგიური სიხარული! ის შეიცავს თავის თავში იმას, რაც კმაყოფილებას გვრის სულს, კლავს მის წყურვილს.

რელიგიური მწუხარება

ბიბლიოთეკა

რელიგიური მწუხარება შეიძლება განვიხილოთ: 1. როგორც სინდისის ქენჯნა; 2. როგორც მონანიება; 3. როგორც ლმობიერება.

1. რელიგიური მწუხარება იწყება სინდისის ქენჯნით. სინდისის ქენჯნა — ესაა უსიამოვნო, მძიმე შეგრძნება, ანდა მოუსვენრობა, რომელიც წარმოიქმნება იმის წარმოდგენისას, რომ ჩვენ ცუდად მოვიქეცით. ხშირად საკმაოდ ძნელია ის გამოვყოთ და განვასხვავოთ მისი მსგავსი გრძნობისაგან — სირცხვილისაგან. ორთავეს ზოგჯერ ერთი და იგივე მიზეზი წარმოშობს, მაგრამ სირცხვილი შედარებით ანგარიშმიუცემელი გრძნობაა, ქენჯნა კი შეიცავს თავის თავში დანაშაულის ნათელ ცნობიერებას. ზოგჯერ სირცხვილი შემადგენელი ნაწილია სინდისის ქენჯნისა. ეს უკანასკნელი კი სულის წამებაა, სულის კაეშანია, ჭმუნვაა თავისი თავის მიმართ გამოტანილი მკაცრი მსჯავრის გამო. ამიტომ, უმეტესად, სინდისის ქენჯნა შერეული გრძნობაა, მაგალითად, როცა მკვლელი წარმოიდგენს თავის საქციელს, როცა წარმოსახვა უხატავს მას დანაშაულის სცენას, მსხვერპლის სახეს, მის ვედრებას, ის ძრწუნდება, მას იპყრობს სინანულის გრძნობა, შიში შურისგების წინაშე; ყოველი ნაკვთის გახსენებას, ყოველ ახალ წარმოდგენას სიგიჟემდე მიჰყავს ის. მაგრამ ასეთ მდგომარეობას ჯერ კიდევ არ შეიძლება ვუწოდოთ რელიგიური. რელიგიური ქენჯნისას სევდას წარმოშობს წარმოდგენა იმისა, რომ ჩვენ ღმერთის მცნება დავარღვიეთ, სული წუხს, რომ შეურაცხყო თავისი შემოქმედი, მას რცხვენია, აწვალებს იმის შეგრძნება, რომ ღმერთის წინაშე ულირსი აღმოჩნდა. სინდისის ქენჯნას წარმოშობს საქციელის შინაგანი ანალიზი, დამნაშავეობისა და ცოდვილობის შეგრძნება. ეს თითქოს ანალიზია ცოდვის წარმოდგენისა.

2. მონანიებას ახლო კავშირი აქვს ზემოგანხილულ გრძნობასთან, მაგრამ მისი იგივეობრივი არ არის. მონანიება უმეტეს წილად შედეგია ქენჯნისა და [illegible] განმასხვავებელი ნიშნების მქონეა. ის მწუხარებასაც შეიცავს, მაგრამ მისი გაბატონებული ელემენტია გადაწყვეტილება გამოსწორებისა, უკეთ გახდომისა. მონანიებისას ადამიანი, რომელმაც მთლიანად შეიგნო ცოდვის ბრალეულობა და ულირსობა, ცდილობს ცოდვა თავის მიმართ უცხო გახადოს, ცდილობს აზრით განერიდოს მას.

ძალზე ბუნებრივია, რომ სინდისის ქენჯნა გამოიტანს სააშკარაოზე ცოდვას, ჩვენ ვიწყებთ მისგან განრიდებას. სანამ ვნება აბრმავებს სულს, ჩვენ ბედნიერებას მის დაკმაყოფილებაში ვხედავთ და ეს დაკმაყოფილება აუცილებლად გვეჩვენება, მაგრამ ვნება გაივლის და ჩვენ ვგრძნობთ ჩადენილი საქციელის მთელ სიმდაბლეს. ეს საქციელი წარმოგვიდგება თავისი ნამდვილი სახით, ჩვენ მშვიდად ვარჩევთ საკუთარ საქციელს, ვხედავთ მის ყველა ცუდ მხარეს და განვერიდებით მას. ეს განრიდება ცოდვისაგან და მტკიცე გადაწყვეტილება — მომავალში გავექცეთ მას, არის სწორედ მონანიების არსება.

ზოგჯერ მონანიებას სულ სხვა გრძნობებთან ურევენ. ძალზე ხშირად მონანიებად თვლიან დანანებას საკუთარი თავის მიმართ, ჟინის ჩაცხრომას, შიშს იმ შურისგების წინაშე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დანაშაულს, მაგრამ ვიმეორებთ, მონანიებაში ჭარბობს მშვიდი გადაწყვეტილება გამოსწორებისა. თუმცა მონანიება რთული გრძნობაა და ამავე დროს ყოველთვის ერთი და იმავე შეგრძნებისაგან არ შედგება, მისი კეთილი გავლენა ადამიანზე მუდამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი წარმოდგენა ჭარბობს მასში. თუ ადამიანს

მხოლოდ ეშინია თავისი ცოდვის შედეგებისა, თუ მას მხოლოდ რცხვენია ადამიანთა აზრისა, — ჭეშმარიტი მონანიება ჯერ კიდევ არ არსებობს. ჭეშმარიტ ქრისტიანულ მონანიებაში ჭარბობს წუხილი იმის გამო, რომ ჩვენ დავარღვიეთ ღმერთის მცნება. ეს არის გრძნობა შვილისა, რომელიც ცრემლებს ღვრის იმის შეგრძნების გამო, რომ მან გული ატკინა მოსიყვარულე მამას.

3. ამ ბოლო სახით მონანიება გადაიქცევა ლმობიერებად. ლმობიერებისას სული გრძნობს არა შიშს თავისი საქციელის შედეგების გამო, არა დანანებას, რომელიც თავმოყვარეობის დამცირებიდან გამომდინარეობს, არა სირცხვილს ადამიანთა შეხედულების გამო, რომ მან შეურაცხყო მამა თვისი — ღმერთი, რომ დააბნელა ღვთის სახე საკუთარ თავში, დაკარგა ღვთის სიყვარული და კეთილგანწყობილება. ამ სევდაში არ არის — როგორც ეს ქენჯნისას და მონანიებისას ხდება — ღელვა და საპირისპირო წარმოდგენების ბრძოლა. აქ იგრძნობა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდი ლმობიერება, საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის განცდის ერთ-ერთი სახე. მასში ცოდვის შეგრძნება უფრო ღრმაა, მაგრამ ეს შეგნება სულში არ წარმოშობს მტანჯველ სირცხილს, პირიქით, ამ შეგნებას თან ახლავს იმის წარმოდგენა, რომ ცოდვა სულისათვის უცხო გახდა. ამ გრძნობას უკეთესად მაგალითი აგვიხსნის. ლმობიერების ყველაზე კარგი მაგალითია სახარებაში მოთხრობილი ამბავი ცოდვილი ქალისა, რომელიც სიმონის სახლში ცრემლებით უსველებდა მაცხოვარს ფეხებს და თავისი თმებით უხოცავდა. ის, უეჭველია, ქენჯნისა და მონანიების გზით უკვე მივიდა ლმობიერებასთან. მხოლოდ ამ ბოლო მდგომარეობაში შეეძლო მას მოეშორებინა სირცხვილი, ფეხებში ჩავარდნოდა მაცხოვარს და გაებედა შეხებოდა მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გაბედავდა შესუ-

ლიყო იმ ამაყ ადამიანთა საკრებულოში, რომლებიც მის შეხებასაც კი ნაბილწვად მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, მასში გაჩენილმა ლმობიერებამ რაღაც იმედი გაუჩინა და შეახედა ძველ ცხოვრებას, როგორც მისი სულისთვის უცხოს. ამრიგად, ლმობიერების გრძნობა გადააქცევს ადამიანს უკეთესად და უფრო წმინდად, რადგან ამ გრძნობაში აღარაფერია ეგოისტური და უწმინდური.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლოცვის გრძნობის შესახებ

ლოცვის გრძნობა ანუ ლოცვისეული ლმობიერება ახლო კავშირშია სულის წინამავალ მდგომარეობასთან, რადგან ის ხშირად არის ხოლმე მომნანიებლის ლმობიერების შედეგი. მაგრამ ის, ამ გრძნობისაგან დამოუკიდებლადაც, იმავე ნიშნების მქონეა. ლოცვა საერთოდ არის ღმერთის წინაშე სხვადასხვა გრძნობის გადმოღვრა სიტყვებით, ან ოდნავ შესამჩნევი შინაგანი შეგრძნებებით. ამიტომ ის ყოველთვის ფსიქოლოგიური მოვლენაა. მისი საშუალებით ჩვენ შეიძლება გამოვხატოთ გულისწუხილიც, სიხარულიც, ცოდვის მონანიებაც, ღვთისადმი მადლობაც, მაგრამ ლოცვის გრძნობის უმაღლესი დაძაბულობისას ძნელია გააანალიზო სულის მდგომარეობა. აქ, გრძნობათა სისავსის გამო, სული ვერ გრძნობს ვერაფერს ისეთს, რაც შეიძლებოდა სიტყვებით გამოხატულიყო. თუმცა ლოცვისეული ლმობიერება ყველაში ერთნაირად როდი ვლინდება. ზოგი საკუთარ თავში გრძნობს მთლიან და სრულ, ასე ვთქვათ, თვითდამცირებას. ასეთი ჰქონდა სულის მდგომარეობა იმ მებაჟეს, რომელიც ვერ ბედავდა თვალნი ზე აღეპყრა, მკერდში ხელს იცემდა და ამბობდა: „ღმერთო! მილხინე ცოდვილსა ამას“. ზოგი თავის თავში გრძნობს სიყვარულს, ღმერთისკენ სწრაფვის სიჭარბეს, ზოგს სული აღევსება მხოლოდ აღტაცებით. მაგრამ ყველა ამ შემ-

თხვევაში ლოცვისეულ ლმობიერებას ერთი საერთო ნიშანი უცვლელად ახლავს თან. ესაა ყოველივე ცუდის, ყველა უწმინდური აზრის და ბინიერი ლტოლვის გაქრობა გულიდან, ყოველ შემთხვევაში იმ დროის ძახძილზე, სანამ ლმობიერება გრძელდება. ამ დროს ადამიანი თავს გრძნობს გაკეთილშობილებულად და მზადაა ხოლმე გადაეხვიოს უბოროტეს მტერს, დაივიწყოს ყოველი წყენა. ლოცვის გრძნობა, როგორც ყოველი ძლიერი გრძნობა, ზოგჯერ უტყვია, ზოგჯერ კი გადმოიღვრება უამრავი სიტყვით. ტყუილად ფიქრობენ, რომ ძლიერ გრძნობებს არ უყვართ გრძელი სიტყვები. არა! ზოგჯერ გრძნობა ძალზე მრავალსიტყვაა იმის გამო, რომ მას არ ძალუძს თავისი თავის სრულად გამოხატვა, იმის გამო, რომ მას თითქოსდა შეუძლია განმტკიცება საკუთარი თავის გადმოღვრით და სურს უფრო სრულყოფილად იქნეს გამოხატული, არ აკმაყოფილებს ეს სიტყვები და გამოთქმები და ამიტომ ეძებს სხვა უფრო ძლიერ სიტყვებსა და გამოთქმებს, რადგან ღრმა გრძნობისათვის სწორედ ისაა ნიშანდობლივი, რომ სიტყვებით მისი გამოხატვა ძნელია.

გულმოწყალეობა

გულმოწყალეობა, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, როგორც სულის მდგომარეობა, სიამოვნებაა, რომელსაც ადამიანი გულმოწყალეობის საქმის შესრულებაში პოულობს. ვინც ზნეობრივი სრულყოფილების ისეთ საფეხურამდე მივიდა, რომ მოყვასის დახმარებას საკუთარი თავისთვის სასიამოვნო საქმედ თვლის; ვისაც არ ძალუძს, გულგრილად უყუროს სხვათა ტანჯვას, ვინც, მეორე მხრივ, სიამოვნებით შესცქერის მოყვასთა ბედნიერებასა და კმაყოფილებას, იმას უეჭველად აქვს გულმოწყალეობის გრძნობა. აქედან ცხადი ხდება, რომ ყოველგვარ ქველმოქმედებას როდი შეიძლება ვუწოდოთ

გულმოწყალეობა. თუ ჭარბი ქონების მქონე ქველმოქ-
მედების საქმეს თავისი სიმდიდრის ნაწილს უწილადებს,
მაგრამ გასცემს მას ყოველგვარი გულითადი თანგრძნ-
ობის გარეშე, მას ჯერ კიდევ არ შეიძლება ეწოდოს გულ-
მოწყალე. გულმოწყალეობა, როგორც გულის გრძნობა,
შედგება თანაზიარების, თანალმობის, სიყვარულისაგან
და წარმოადგენს იმის ჩვევას, რომ ჰპოვოს სიამოვნება
ზემოხსენებულ საქციელში. ხშირად ხდება, რომ გა-
ღიზიანებული ნერვების მქონე რომელიმე პიროვნება
აღელვების გარეშე ვერ უყურებს სილარიბეს და ტანჯვას.
მაგრამ ესეც არ არის გულმოწყალეობა. ქველმოქმედება
უნდა სრულდებოდეს გულის მისწრაფების გამო, ის ჩვენ
სხვა საქმეზე მეტად უნდა მოგვწონდეს. ამ უკანასკნელი
სახით ის სავსებით საპირისპიროა ეგოიზმისა, რომელიც
წინა თავში აღწერილი ყველა სულიერი მდგომარეობის
წყაროა. აი, რატომ დგას ესოდენ მაღლა გულმოწყალეო-
ბის გრძნობა ქრისტიანულ ზნეობაში.

მაგრამ ეგოიზმისადმი კიდევ უფრო საპირისპირო
გრძნობაა თავგანწირვა. ის ნაწილობრივ გულმოწ-
ყალეობაა, რადგან ვინც სხვის ბედნიერებაში პოულ-
ობს სიამოვნებას, ის, მაშასადამე, ნაკლებად ფიქრობს
საკუთარ თავზე. მაგრამ ჭეშმარიტი რელიგიური თა-
ვგანწირვა არის ჩვევა იმისა, რომ იპოვო სიამოვნება
არა საკუთარი მიწიერი გრძნობებისა და ვნებების
დაკმაყოფილებაში, არამედ რელიგიური გრძნობების
დაკმაყოფილებაში. ის არის მისწრაფება იმისაკენ, რათა
გიყვარდეს საკუთარ თავში არა ზადი, არამედ სათნოე-
ბა, არა სხეული, არამედ სული.

რელიგიური სიყვარული

რელიგიური სიყვარული შეიძლება განვიხილოთ ან
როგორც სულის ზოგადი რელიგიური განწყობილება,

ანდა თავის კერძო გამოვლინებებში, როგორც სიყვარული, სიყვარული ღმერთისა, მოყვასისა და საკუთარი თავისა, როგორც ზოგადი რელიგიური განწყობილება, როგორც რწმენის გრძნობა, არის სიამოვნება, რომელსაც ვგრძნობთ, როცა წარმოვიდგენთ ამ რწმენას, როცა წარმოვიდგენთ, რომ ვფლობთ უწმინდეს და მსხნელ ჭეშმარიტებებს, როცა ვიაზრებთ და ვსწავლობთ ჭეშმარიტებებს. ის არის აგრეთვე მისწრაფება იმ ცხოვრებისაკენ, რომელიც ამ რწმენის შესატყვისია. იმაში, რომ ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებები, სულთან შეხებისას, აღძრავენ მასში სიყვარულს და სიამოვნებას, დაეჭვება შეუძლებელია. ადამიანის სული საერთოდ ყოველი ჭეშმარიტების შემეცნების დროს გრძნობს სიამოვნებას, მაგრამ რელიგიური ჭეშმარიტებების შესწავლა და აღიარება მასში ყველაზე წმინდა სიამოვნებას აღძრავს. ჩვენი ღვთიური რწმენა გვთავაზობს მრავალმხრივ ჭეშმარიტებებს, რომელთაც ძალუძთ მოიცვან და დააკმაყოფილონ სულის ყველა მხარე. მაგრამ იმან, ვინც შეიყვარა ეს ჭეშმარიტებები და პოულობს მათში სიამოვნებას, ჯერ კიდევ ყველაფერი როდი გააკეთა. ის უნდა ეცადოს ამ ჭეშმარიტებების გამოყენებას ცხოვრებაში. ამიტომ ვინც მიაჩვია საკუთარი თავი შვების პოვნას სათნოებაში, მოყვასთა მიმართ თანაგრძნობაში, ლოცვაში, გულმოწყალეობაში, მას აქვს რელიგიური სიყვარული. ეს ზოგადი განწყობილება, შემადგენელი ნაწილების სახით, თავის თავში იქონიებს ყველა რელიგიურ მდგომარეობას. უპირატესად ასეთნი იყვნენ წმინდანნი, რომელნიც მთელი ცხოვრების მანძილზე და ცხოვრების ყოველ წუთში გრძნობდნენ რწმენის მგზნებარე სიყვარულს. სხვა ღვთისმოსავ ადამიანებში კი ეს რელიგიური სიყვარული ვლინდება მთელი ძალით მხოლოდ დრო და დრო, თუმცა მათი ზოგადი გრძნობა ახლოსაა ამ განწყობილებასთან.

ღმერთის სიყვარული ყველა სხვა სიყვარულზე უფრო მაღალი და უფრო წმინდაა. ეს არის გრძნობა ენით უთქმელი აღტაცებისა, რომელსაც განიცდის ღვთისმოსავი სული ღმერთზე მხოლოდ გაფიქრებისასაც კი. ალბათ უცნაურია და გაუგებარი, როგორ უნდა გიყვარდეს ღმერთი — უხილავი არსება, რადგან, თუკი გვიყვარს რომელიმე საგანი, ჩვენ ამ დროს წარმოვიდგენთ ხოლმე სიამოვნებებს, რომელსაც გვანიჭებს ის. მაგრამ როგორ უნდა შევათავსოთ სიყვარულის ამგვარი გაგება ღმერთის წარმოდგენასთან?

როცა ღმერთი გვიყვარს, ჩვენ აღტაცებას უნდა ვგრძნობდეთ მასზე ფიქრისას. სხვაგვარად სიყვარული შეუძლებელია. ეს აღტაცება კი უნდა წარმოშვას ფიქრმა ღმერთზე, როგორც ყველაზე სრულყოფილ არსებაზე, ჩვენს მამასა და მწყალობელზე. აი, რატომაა ღმერთის სიყვარული ყველაზე წმინდა, უანგარო, დიადი გრძნობა. როცა გვიყვარს ღმერთი, ჩვენ თითქოსდა გვიყვარს სრულყოფილება, გვიყვარს თავად მოწყალება, თავად სიბრძნე, თავად გულმოწყალეობა, თავად, ასე ვთქვათ, სიყვარული. მაგრამ, რათა გვიყვარდეს ეს მაღალი თვისებები, რათა შეგვეძლოს გვქონდეს უნარი იმისა, რომ სიამოვნება მოგვანიჭოს მოწყალების, სიბრძნის, სიდიადის წარმოდგენებმა, აუცილებელია უკვე მიღწეული გვქონდეს სიწმინდის და სრულყოფილების გარკვეული დონე. ბიწიანი სული ვერასოდეს შეძლებს იგრძნოს ღმერთის ჭეშმარიტი სიყვარული. აი, რატომ წმენდს ადამიანს, ამაღლებს მის სულს ღმერთის სიყვარული. აი, რატომ უნდა ეწოდოს უანგარო მხოლოდ ამ სიყვარულს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვტკბებით ჩვენ თავად სიკეთით, თავად სრულყოფილებით.

რწმენისაგან წარმოშობილი სიყვარული მოყვასისა არის ყოველი ადამიანისადმი კეთილგანწყობილების,

თანაზიარების, შეწყნარების გრძნობა, რომელიც იბადება იმ აზრიდან, რომ ყოველი ადამიანი ღმერთის ქმნილებაა და ძმაა ჩვენი. მაშასადამე, ეს გრძნობა ღმერთის სიყვარულის შედეგია. ეს სიყვარული გვაიძულებს ვიწუხოთ უფრო მეტად მოყვასთა სულიერ უბადრუკობაზე, ე.ი. მათ მანკიერებაზე, ვიდრე სხვა სხეულებრივ გასაჭირზე. ეს სიყვარული მიისწრაფვის იმისკენ, რომ ყველა მოყვასი გახდეს ღმერთის ღირსი და ჭეშმარიტი ქრისტიანი.

საკუთარი თავისადმი სიყვარული, როგორც შედეგი ღმერთის სიყვარულისა, არის საკუთარი თავის, როგორც ღმერთის ქმნილების, ღმერთის სისხლით ხსნილის ღირსების გრძნობა. ეს გრძნობა ეგოიზმისათვის სავსებით უცხოა. ეგოიზმს უყვარს საკუთარი თავი, როგორც სხეული, მიწიერი არსება, უყვარს საკუთარ სახლში მხოლოდ ის, რაც ღირსი არ არის სიყვარულის — თავისი ვნებანი და ბიწიერება. ამის საპირისპიროდ, ქრისტიანს უყვარს თავის თავში ის, რაც მასში ღირებულია, ღვთაებრივია, უყვარს ალალ-მართალი სინდისი, მისწრაფება ღმერთისა და სიკეთისადმი, ხოლო ყოველივე ბიწიერი მისი ბრძოლის, წუხილისა და სინანულის საგანია.

ქრისტიანული ეჭვიანობა

ღმერთის სიყვარული გულში ბადებს ეჭვიანობის გრძნობას. ღმერთის გამო ეჭვიანობა არის უსიამოვნების, მწუხარების გრძნობა. თუ გვესმის ღვთის სახელის ძაგება, ის არის მისწრაფება იმისკენ, რომ ღვთის დიდება გავრცელდეს ადამიანებში, ის არის სიხარული, რომელსაც განვიცდით ღვთის წინაშე ჭეშმარიტი მოწიწების ხილვისას. რელიგიურ ეჭვს არა აქვს ისეთი მძიმე ზემოქმედება სულზე, როგორიც აქვს ხორციელ ეჭვიანობას. ეს უკანასკნელი შურისა და ღვარძლის

შედეგია, პირველი კი მოყვასის კეთილდღეობისაკენ მისწრაფებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, რელიგიური ეჭვიანობა შეიძლება შეცდეს, ისევე როგორც ცდებადა მიანის ყველა სხვა გრძნობა, მხოლოდ იმ დამღუპველი შედეგით, რომ ამ გრძნობის შერყვნა ხშირად ბადებს სულში საშინელ მოვლენას — ფანატიზმს. ფანატიზმი არ შეიცავს თავის თავში არაფერს ისეთს, რაც ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობათა მსგავსია, ამიტომ ეს გრძნობები არ შეიძლება შეუთავსდნენ ფანატიზმს ერთი ადამიანის სულში. ფანატიზმმა შეიძლება იპოვოს თავშესაფარი ისეთი ადამიანის სულში, რომელსაც სურს ბოროტი ვნებები — ღვარძლი, მრისხანება და ა.შ. — რელიგიის ნიღაბქვეშ დაფაროს. ფანატიზმისაკენ მიდრეკილება ჰქონდათ მხოლოდ ყალბ რელიგიებს, რომელთაც არ შეეძლოთ მოელბოთ ადამიანთა სული, პირიქით, ამძვინვარებდნენ მას.

ბიწიერება და სათნოება ფსიქოლოგიური მოვლენებია. ყოველივე აქამდე ნათქვამიდან ნათელი ხდება, რომ ცალკეული ბიწიერება და სათნოება გულის გრძნობებია, მაშასადამე, ფსიქოლოგიური მოვლენებია. ბიწიერების, როგორც სულიერი მდგომარეობის, მთავარი ნიშნები ასეთია:

1. ბიწიერება აბნელებს გონებას. ყველას შეუძლია თავის თავზე გამოსცადოს, თუ რაოდენ ძლიერია ყოველი ვნების ზეგავლენა სულზე, თუ რაოდენ სუსტნი არიან გონების მოთხოვნები ლტოლვათა წინაშე და როგორ ემონება ნება ვნებას. განსაკუთრებით საინტერესოა დავაკვირდეთ ამ მოვლენებს უცოდველ სულებში, რომელთაც პირველად იგრძნეს რაიმე ბიწიერების შეხება. რა მძიმე მღელვარების გრძნობა ეუფლებათ მათ!

ცოდვის ჩადენის შემდეგ, პირველ წუთებში, ადამიანი გრძნობს რაღაც უცნაურ სიმშვიდეს. მკვლელი,

რომელიც ვერაფერს ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა სიძულვილის შეტევას, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, თავდაპირველად არ გრძნობს არავითარ შეშფოთებას, თითქოს მას განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად აწუხებს მას სინდისი. თანდათან იწყება ბრძოლა. სანამ ადამიანში მძვინვარებს ვნება, მას არ შეუძლია განსაჯოს რაიმე და მხოლოდ ამ გრძნობის დაკმაყოფილებისკენ ისწრაფვის. მაგრამ, როცა ადამიანი იკმაყოფილებს ვნების აღტყინებას, ვნება ცხრება და სინდისი თავის უფლებებში შედის. ეს რეაქცია მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ძლიერი იყო ვნება. ჯავრის, შეძრწუნების, საკუთარი თავის მიმართ რისხვის გრძნობა, სირცხვილი და სინდისის ქენჯნა ეუფლება სულს და ტანჯავს მას.

2. ბიწიერება თავის თავში შეიცავს რაღაც ისეთს, რაც ამცირებს სულს, რაც სულისთვის უცხო და მტრულია. ამას ნათელყოფს ის, რომ ბიწიერება მუდამ წარმოშობს ჩვენში უკმაყოფილების გრძნობას, რომ ის გვაკმაყოფილებს მხოლოდ წამით, მერე კი სიმწარის მომტანია. მართალია, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სულაც არ აწუხებთ სინდისი ყველაზე შემზარავი ავაზაკური საქციელის ჩადენისას. მაგრამ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც სულის სიღრმეში არ ჰქონდეს თუნდაც მცირე შეგნება თავისი ცოდვისა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ბიწიერების გამო სრულ კმაყოფილებას გრძნობდეს.

საწინააღმდეგოდ ამისა, სათნოება შეიცავს თავის თავში ბიწიერების საპირისპირო თვისებებს. მას, ჯერ ერთი, თან ახლავს გონებისა და ყველა სულიერ ძალთა სინათლე და სრული ფლობა. ამიტომ ყველა კეთილი საქმის შესრულებას შედეგად მოჰყვება სრული კმაყოფილება, სულის სიწყნარე და სიმშვიდე. მეორე: სათნოე-

ბა აუმჯობესებს ჩვენს სულს, აკეთილშობილებს მას, ანიჭებს იმის უნარს, რომ წვდეს ყოველივე მაღალსა და წმინდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი ბრძოლის შესახებ

ის, ვინც, თუნდაც ზედაპირულად აკვირდებოდა თავის შინაგან ცხოვრებას, ადვილად შეამჩნევდა, რომ ჩვენი სულის ცხოვრებაა, მისი შინაგანი საფუძველია ბრძოლა გრძნობათა შორის, ბრძოლა ორ საწყისს — კეთილსა და ბოროტს — შორის. აკვნიდან კუბოს კარამდე გრძელდება ეს შინაგანი ბრძოლა, ერთიანი სულის ეს გაორება. ჩვენ ყოველ წუთს ვამჩნევთ, რომ გონება ერთს ბრძანებს, ჩვენ კი, საპირისპირო მისწრაფებით გატაცებულთ, სხვა რამ გვსურს. წარმართ ფილოსოფოსთა შორისაც კი ბევრს ნაწილობრივ ესმოდა, რა არის სულის ეს გაორება. მაგრამ ეს ბრძოლა, მისი წყარო და საფუძველი სრულყოფილად ახსნა ქრისტიანულმა რწმენამ. ამიტომ არ ესმის ქრისტიანული ზნეობის სულ პირველი საფუძვლები იმათ, ვინც არ ჩასწვდომია სხვადასხვა გრძნობას შორის არსებულ შინაგან ბრძოლას, რომელსაც უნდა მტკიცედ შეხვდეს ყოველი ადამიანი თავისი სულის სიღრმეში. მთელი ჩვენი აღზრდა უნდა იყოს მიმართული ამ შინაგანი ბრძოლისაკენ. ყველა ჩვენი მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს და სინამდვილეში გამომდინარეობს კიდეც მისგან. ეს მაღალ-ფსიქოლოგიური მოვლენა არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან განსაკუთრებით იმას, ვისაც სურს ამოიცნოს ადამიანის სული, მისი მოქმედება, როგორც კერძო, ისე ისტორიული. ამ შინაგანი გაორების შეგნების გარეშე ადამიანი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად კეთილი, რადგან როცა ფიქრობს, კეთილად ვიქცევიო, მან შეიძლება ცოდვა ჩაიდინოს, საძრახის გრძნობათა

ჩაგონებით იმოქმედოს. ეს შინაგანი ბრძოლა შეიძლება შესუსტდეს მხოლოდ მაშინ, როცა უპირატესობას აღწევს ერთ-ერთი ორი საწყისიდან. პირველი ბინიერი ბინიერების ჩადენამდე ბრძოლა ძლიერია, — ამგვარი ქცევის გამეორებისას ბრძოლა უფრო სუსტია, რაც უფრო ხშირია ამგვარი ქცევა, მით უფრო სუსტდება ბრძოლა, მით უფრო ეჩვევა ადამიანი ცოდვის მშვიდად ჩადენას. ბოლოს იმას, რაც ადრე იწვევდა უდიდეს შფოთვას, ადამიანი აკეთებს გულგრილად, სიამოვნებითაც კი. ასეთია ადამიანში ყოველი ვნების განვითარების ისტორია. ბრძოლის შესუსტება ხდება მაშინაც, როცა უპირატესობას აღწევს კეთილი საწყისი. მაგრამ ეს შესუსტება ხდება გაცილებით ნელა, ბრძოლა კი ბოლომდე არასოდეს არ წყდება, თუნდაც ქრისტიანმა სრულყოფილების უმაღლეს დონეს მიაღწიოს. მაგრამ აქაც, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად განმტკიცდება ადამიანი სიკეთეში, მით უფრო უახლოვდება ღმერთს და უფრო მეტად გრძნობს მიწიერ სიამეთა ამაოებას. ბოლოს ის მზად ხდება, სავსებით მიატოვოს სამყარო, რათა არაფერმა შეუშალოს ხელი მის სწრაფვას ღმერთისკენ.

ასეთია ადამიანში სათნოების მოკლე ისტორია და ახსნა იმ საოცარი მისწრაფებისა, რომელიც ჰქონდათ პირველ ქრისტიანებს, — ისინი განმარტოებულად ცხოვრობდნენ გამოქვაბულებსა და უდაბნოში. ეს მისწრაფება დღემდე ცოცხალია ბევრ ქრისტიანულ სულში.

მაგრამ ვინც მშვიდად და მიუდგომლად გაიაზრებს სულში არსებული ბოროტი საწყისის მთელს ძალას და სიმყარეს, ვინც გაითვალისწინებს იმას, თუ რამდენ გარემოებას პოულობს ეს საწყისი თავისი განვითარებისთვის, იმას, რომ ყველა გრძნობა, ყველა გარეგანი ვითარება უწყობს ხელს მის ზრდას, და იმასაც, ამის საპირისპიროდ, რომ არსებობს მრავალი ხელისშემშლე-

ლი გარემოება მეორე საწყისის განმტკიცებისათვის, ის დაინახავს, თუ რაოდენ ძნელია ადამიანებისათვის საკუთარი ძალებით, ღმერთის მადლის შემწეობისგარეშე, საკუთარ თავში სიკეთეს ბოროტება დააძლევინოს.

ეკლესია
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ვისთვისაა საჭირო ამ ბრძოლის შესწავლა

ამ შინაგანი ბრძოლის თვისებათა გულმოდგინე შესწავლა განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლოა იმ ადამიანისათვის, რომელმაც თავისი ცხოვრება სხვა ადამიანთა ზნეობის გამოსწორებას მიუძღვნა. ის უნდა შეეცადოს მოიპოვოს ზეგავლენა ამათ აზრებსა და გრძნობებზე. მაგრამ შესაძლებელია კი ეს სულის თვისებათა შესწავლის გარეშე? მიისწრაფვის რა საზოგადოების ზნეობრივ სენთა განკურნებისაკენ, მან, მსგავსად დახელოვნებული მკურნალისა, კარგად უნდა შეისწავლოს სულიერ დაავადებათა თვისებები. აქედან ცხადი ხდება ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც განუზრახავს სასულიერო წოდების მოპოვება. ცხადია, ფსიქოლოგიის ცოდნა, როგორც საკუთარი თავის ცოდნა, ძალზე საჭიროა ყოველი ადამიანისათვის, მაგრამ ღვთისმეტყველისათვის ის ორმაგად ფასობს, თავისი კეთილი სამსახურის გამო.

ქვემოთ მოყვანილი მოსაზრება უფრო მეტად დაასაბუთებს ამ აუცილებლობას.

ბევრი ახალგაზრდა მოქადაგე, იწყებს რა ქრისტიანების დამოძღვრას ადამიანის გულის თვისებათა საკმაო შესწავლის გარეშე, ვერ ზემოქმედებს თავისი მსმენელის გულებზე ისე, როგორც ჯერ-არს. ისინი ძალზე მჭევრმეტყველურად უმტკიცებენ მსმენელებს, რომ ბიწიერება მავნეა, ხოლო სიკეთე სასარგებლოა და პატივსაცემი, მაგრამ ყოველივე ეს ძალზე ცოტაა.

მსმენელები ამაში თვითონაც დარწმუნებული არიან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მიუხედავად ამისა, გრძნობენ, რომ მათ გულში ვნებებს ეძლევიან უინტერესობა. ამიტომ, ნაცვლად სიკეთის [illegible] მტკიცებისა, მოქადაგემ მთელი ძალით უნდა დაარწმუნოს მსმენელები იმაში, რომ სიკეთეს, ბიწიერებასთან შედარებით, შეუძლია მოგვიტანოს ისეთივე, ანდა მეტი — უწმინდესი სიამოვნება და რომ საჭიროა მხოლოდ შევაჩვიოთ ჩვენი ნება სიკეთეს, რათა მასში საკუთარი ბედნიერება ვიპოვოთ. არწმუნეთ მსმენელები რამდენიც გსურთ, ცოდვა მავნეა, ვნებები დამღუპველია, სიკეთე კი მშვენიერია. ყველა დაგეთანხმებათ, მაგრამ ცხოვრებას არ შეიცვლის. საჭიროა მსმენელმა, იგრძნოს, რომ ვნებებს მოაქვთ ყალბი და დროებითი სიამოვნება, რომ ჭეშმარიტი, მყარი, საუკეთესო სიამოვნების პოვნა სულს მხოლოდ ქრისტიანულ გრძნობებში შეუძლია.

იმის შესახებ, თუ რაოდენ აუცილებელია შევაჩვიოთ თავი რელიგიურ გრძნობებს.

უეჭველი და საყოველთაო გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ადამიანს არ ძალუძს იცხოვროს სიამოვნების გარეშე. ეს — თითქმის აქსიომაა, რადგან გრძნობები სულის სიცოცხლეა, სულს არ შეუძლია არ იცოცხლოს, მაშასადამე, არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს სიამოვნებისაკენ. მისწრაფება ყოველივე სასიამოვნო შეგრძნებისაკენ და განშორება ყოველივე უსიამოვნოსაგან, მოსაწყენისაგან, აუცილებელი ფაქტია, აუცილებელი შედეგია სულის თავად არსებისა. ისევე, როგორც სულს არ შეუძლია იაზროვნოს სხვაგვარად, თუ არა მსჯელობათა და დასკვნათა ფორმით, მას არ ძალუძს იცოცხლოს თუ არა საკუთარი შინაგანი — სასიამოვნო ან უსიამოვნო — შეგრძნებების ფორმით. ეს აზრი ფსიქოლოგმა ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოს.

ამ აზრის მეშვეობით, როგორც ნაყოფიერი საწყისით, აიხსნება:

1. ის, რომ არ არსებობს დედამიწაზე ადამიანი, რომელიც სიამოვნებისკენ არ მიისწრაფვის. ... ამ მისწრაფებისას ზოგი ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს თავისი სიამოვნება, ჰქონდეს რაც შეიძლება მრავალგვარი შეგრძნებები, ასე ვთქვათ, ხარკი აიღოს ყველა გრძნობისა და ყველა საგნისაგან, ზოგი კი, ასეთები უმრავლესობაა, ჩერდება ერთ რომელიმე სიამოვნებაზე და მუდამ მისკენ ისწრაფვის: ამ გზით წარმოიშობა ცალკეული ვნება. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ კატეგორიათაგან ერთ-ერთს არ ეკუთვნოდეს. ვინც შეაჩვია თავი მუდმივად სიამოვნების მიღებას ფულის ფლობით, ის ხარბი ხდება; ვინც შეეჩვია სიამოვნების მიღებას პატივის, დიდების წარმოდგენებისაგან, ის პატივმოყვარე ხდება. მოკლედ, დედამიწაზე არ არსებობს ადამიანი, რომელიც თავის ბედნიერებას რაიმეში არ ხედავდეს. სწორედ ამიტომაა, რომ ბედნიერება ასრულებს ასეთ როლს ადამიანის ცხოვრებაში. ყველა ბედნიერებისკენ ისწრაფვის, ყველას უყვარს ლაპარაკი მასზე. ყოველი ადამიანისათვის ის რაიმე სახით მაინც არს გამოხატული.

2. სულისათვის დამახასიათებელი სიამოვნებისაკენ სწრაფვის მეოხებით აიხსნება ქრისტიანული ზნეობის უდიდესი ფაქტი, კერძოდ, მისი მოთხოვნა, ვეცადოთ შევიყვაროთ ქველმოქმედება, ვესწრაფოთ, რათა ისე სრულვყოთ თავი, რომ ქველმოქმედება იქცეს ჩვენი სულის სიამოვნებად. მართლაც, შეუძლებელია გავხდეთ ჭეშმარიტი ქრისტიანი, სანამ არ შევეჩვევით სიამოვნების პოვნას ლოცვაში, გულმოწყალეობაში, საკუთარი თავის უარყოფაში, ღმერთისა და მოყვასის სიყვარულში. რატომ ეჩვენება ბევრს მოსაწყენად ეკლესიაში დგომა? რატომაა ბევრისათვის ძნელი ქრისტიანული მოვა-

ლეობის შესრულება? იმიტომ, რომ ისინი არ ჩასწვდნენ საკუთარ სულს, არ შეაჩვიეს თავი ქველმოქმედებას, არ იგრძნეს სიკეთის სიტკბო.

ეკლესიური ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანმა ყველა თავისი ძალა იქითკენ უნდა მიმართოს, რათა ქრისტიანული სათნოებები მისთვის მოთხოვნილებად იქცეს, რათა მისი სული სიამოვნებას ნახულობდეს ამ სათნოებათა განხორციელებისას. ამქვეყნიური სიამოვნებისაკენ მისწრაფების გულიდან ამოღებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა მას რელიგიურ სიამოვნებას დავუპირისპირებთ. ბიწიერების სიძულვილი მხოლოდ მაშინ დაგვეუფლება, როცა კეთილმოქმედების სიტკბოს ვიგრძნობთ. აქ საჭიროა მხოლოდ ჩვევა. თავდაპირველად კეთილი საქციელის ჩადენა შეიძლება მოსაწყენად მოგვეჩვენოს, შემდგომ ის უფრო ადვილი გახდება, მერე და მერე მოგვეწონება, ბოლოს კი სული მისით სიამოვნებას მიიღებს. სიკეთით ეს ტკბობა არის სწორედ ნების კეთილმოქმედება, არის ქრისტიანული ზნეობის არსება.

კიდევ რა აიხსნება სიკეთესთან სულის ამ შეჩვევით

სიკეთის ან ბიწიერების ჩვევით აიხსნება ჩვენი რწმენის დიადი საიდუმლო — იმქვეყნიური ცხოვრების საიდუმლოება. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ კვდება ორი ადამიანი — ცოდვილი და უცოდველი. პირველის სული გადადის იმქვეყნიურ სამყაროში დამახინჯებული ამქვეყნიური ვნებებითა და მისწრაფებებით, სიმდიდრის სიყვარულით, ამქვეყნიური პატივისაკენ მისწრაფებით, ამქვეყნიური სიამოვნებისაკენ ლტოლვით. როგორ მოექცევა ის იმქვეყნად ამ გრძნობებს? რაში უნდა პოვოს მან იქ სიამოვნება? ამ ჩვევათა დაკმაყოფილება იქ შეუძლებელია, რადგან

იქ არ არის ფული, რომელიც უყვარდა სულს, იქ ვერ დაიკმაყოფილებს თვალში მოსვლის, მორთულობით თავმოწონების, სხვაზე ბატონობის სურვილს. ანა ასეთი ადამიანის სული იმქვეყნიურ სამყაროში საკუთარ თავში ჯოჯოხეთის მატარებელი არ იქნება? სურვილთა დაკმაყოფილების შეუძლებლობას დაუმატეთ ქენჯნა სინდისისა, რომელიც სულს ბრალს დადებს იმაში, რომ მან ფუჭად გაატარა ამქვეყნიური ცხოვრება, უმნიშვნელო საგნებს გამოეკიდა, ცხოვრების მთავარი მიზანი უყურადღებოდ დატოვა და მიხვდებით, რატომ იქნება ასე. პირიქით, როცა იმ ქვეყანაში გადასახლდება ადამიანი, რომლისთვისაც ბედნიერებაა კეთილმოქმედება, ე.ი. ღმერთისა და მოყვასის სიყვარული, იქ კიდევ უფრო მეტად და შეუფერხებლად შეძლებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. იქ მის სიამოვნებას არაფერი შეუშლის ხელს — არც დარდი, არც დაავადება, არც სხვა რამ ამქვეყნიური უკეთესობა. იქ იგი მართლაც მიიღებს იმას, რისკენაც აქ მხოლოდ გულის სურვილით მიისწრაფოდა. ამას დაუმატეთ სინდისის მოწოდებიდან წამომდგარი სიხარული და დაინახავთ, რომ უცოდველი თავად თავის სულში იქონიებს სამოთხეს.

აი, ახსნა იმისა, თუ რატომაა ქრისტიანთათვის ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიურისთვის მზადება, რატომაა მიჩნეული ის დროდ თესვისა, ხოლო მკის დროა — მომავალი ცხოვრება. აი, დაბოლოს, ფსიქოლოგიის კავშირი ღვთისმეტყველებასთან, კავშირი, რომელიც ამ მეცნიერებას ღვთისმეტყველისათვის ესოდენ აუცილებლად ხდის.

დასკვნა

ბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ სულის რელიგიური მდგომარეობები ადამიანს განასხვავებენ ყველა სხვა ქმ-

ნილებათაგან. წინა თავებში აღწერილი მდგომარეობები ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ მხოლოდ ადამიანს ძალუძს ამაღლდეს სხეულის ლტოლვათა დამარცხების უნარამდე, წმინდა, უანგარო, რელიგიურ სიყვარულამდე.

რამოდენიმე სიტყვა სულის უკვდავების შესახებ
სულის უკვდავების ძირითადი საბუთები

ჩვენი შრომის დასკვნაში რამდენიმე სიტყვას ვიტყვით სულის უკვდავებისა და მისი დანიშნულების შესახებ.

თავისთავად იგულისხმება, რომ უკდავება სულის იმ თვისებებს არ განეკუთნება, რომლებიც ცდითა და დაკვირვებით შეისწავლებიან. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ცდისეულ ფსიქოლოგიას შეუძლია მოგვაწოდოს ისეთი საბუთები, საიდანაც დასკვნის გზით შეიძლება ვირწმუნოთ სულის უკვდავების ჭეშმარიტება ისევე, როგორც მხოლოდ იგი ფლობს სულის ყველა სხვა თვისების შესასწავლად საიმედო ხერხებს. ცდისეულმა ფსიქოლოგიამ უტყუარად დაასაბუთა ორი ჭეშმარიტება, რომელიც შეიძლება და უნდა გამოდგეს კიდეც სულის უკვდავების საბუთადაც: ა) სული წარმოადგენს ორგანიზმისაგან განსხვავებულ სუბსტანციას, რომელსაც გააჩნია ცნობიერებისა და ნების სახით გამოვლენილი დამოუკიდებელი პიროვნულობა; ბ) იგი განუწყვეტლივ სრულყოფაშია.

ამ ორი ჭეშმარიტებიდან, დასკვნების მთელი ჯაჭვის გამოყენებით, გამომდინარეობს ადამიანური სულის უკვდავების დასაბუთება.

თავიდან განვიხილოთ პირველი დებულება.

თუ სული თვითმყოფადი სუბსტანციაა და არა დროებითი თვისება ან კერძო სახე სხვა სუბსტანციის ყოფიერებისა, მაშინ მისი სიკვდილი ორგვარად შეიძლე-

ბა იქნეს გაგებული: იგი შეიძლება მოკვდეს ან სხეულის-
დაგვარად. ე.ი. დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად, ან
მოისპოს რაიმე გარეშე სუბსტანციის ზემოქმედებით.
მაგრამ არც ერთი ამგვარი სიკვდილი მას არ შეიძლება
ახასიათებდეს. სული არ შეიძლება მოკვდეს სხეულის
მსგავსად, ვინაიდან იგი ნაწილებისაგან არ შედგება.
ჩვენი სხეული კვდება იმის გამო, რომ მისი სტიქიური
ელემენტები იშლებიან, მათი ურთიერთკავშირი, ძალა,
რომელიც კრავდა მათ ერთი ფორმის მთლიანობად,
სუსტდება, მისი ორგანოები, ასე ვთქვათ, ცვდება, რო-
გორც მანქანის ბორბლები და მისი ყველა შემადგენელი
ნაწილი უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას
— მიწას, ჰაერს და სხვას. მაგრამ სული მარტივი სუბს-
ტანციაა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი აღრევა.
მას არ გააჩნია არა მარტო რაიმე ნაწილი, მასში არაფე-
რია რაიმე მატერიალური. იგი მატერიალურის რაღაც
საპირისპიროა და ამდენად, არ შეიძლება დაიშალოს.

სიკვდილის მეორე სახეს კი — მოსპობას რაღაც
გარეგანი ძალის ზემოქმედებით, არ შეიძლება ჰქონდეს
ადგილი არა მარტო სულის, არამედ თვით მატერიის
მიმართ, ვინაიდან მოსპობა არც მატერიაზე ვრცელდე-
ბა. თუ ჩვენ ბუნებაში ვამჩნევთ ერთი სახის სხეულთა
გაქრობას და სხვათა აღმოცენებას, ეს სრულებითაც არ
ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივ ქრებიან სხეულთა შემა-
დგენელი ნაწილებიც. ქრება ამ სხეულის ყოფიერების
ცალკეული სახე, ცალკეული შემთხვევითი შენაერთი და
არა თვით მათი შემადგენლობა. თუ ათასობით ხე ლპება
მიწაში, ან ცეცხლში იწვის, ცხადია, ქრებიან ხეები და
არა ნახშირბადი, ჟანგბადი თუ მათი სხვა შემადგენელი
ნაწილები. ჭაობები და მდინარეებიც შრებიან, მაგრამ
მათგან წყალი ჰაერში ორთქლდება. ერთი სიტყვით,
მატერიის მასა დედამიწის ზურგზე ყოველთვის ერთი და

იგივეა, ვინაიდან ყოველი ცალკეული ატომი მუდმივად არსებობს, თუმცა სხვადასხვა სახით და სხვადასხვა შენაერთებში. თუ მოსპობა არ ვრცელდება მატერიალურ ატომზე, მით უფრო იგი არ შეეხება სულს. ვინ, ან რას შეუძლია მოსპოს იგი? სამყაროს სტიქიები მათზე გავლენას ვერ ახდენენ, ხოლო რაც შეეხება გონიერ არსებებს, აქ მხოლოდ ღმერთს შესწევს ძალა მოუსპოს მას ყოფიერება, მაგრამ ცხადია, ის ამას არ ჩაიდენს.

სული არსებაა, რომელიც განუწვეტლივ მიდის სრულყოფისაკენ.

ადამიანის სული არსებაა, რომელიც განუწყვეტლივ სრულყოფაშია და ამ მიმართებით უფრო, ვიდრე ყველა სხვა მიმართებით, დაპირისპირებულია ყოველ მატერიალურ და ხილულ არსებასთან. ყოველ მატერიალურ სუბსტანციას დაწესებული აქვს განვითარების გარკვეული ფორმა, რომლის საზღვრებს ის ვერ გასცდება. მცენარის ყოველი სახე ვითარდება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, რომლის შემდეგ იწყება უკუსვლა. ყველა ცხოველიც, ასევე, იზრდება და განიცდის გარეგნულ სრულყოფას გარკვეულ საზღვრამდე. მაგრამ სულის სრულყოფას თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით არ შეიძლება გააჩნდეს საზღვრები.

თეორიული თვალსაზრისით სულს შეუძლია და კიდეც უნდა სრულყოფოდეს უსასრულოდ, ვინაიდან ადამიანურმა აზრმა არ იცის საზღვრები, ადამიანური გონება არა მარტო არ კმაყოფილდება განვითარების გარკვეული დონით ან ცოდნათა გარკვეული ჯამით, არამედ, პირიქით, ყოველი ახალი ნაბიჯი შემეცნებაში, ასე ვთქვათ, მას უფრო „გაუმაძღარს ხდის“, ყოველი ახალი შემეცნებითი შენაძენი მისთვის იქცევა საფუძვლად და საფეხურად მეცნიერებისა და აღმოჩენების სფეროში ახალი მწვერვალების დასაპყრობად. ასეთივე

ხასიათისაა სულის ყველა სხვა უნარიც. ადამიანების წარმოსახვას ხომ არა აქვს საზღვრები; მისი მეხსიერებაც ცნობათა სიმრავლით როდი სუსტდება და ... ნება. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმას გვისაბუთებს, რომ სული ყველა თავის უნარებსა და ძალებში შეიცავს მარადიული ყოფნისა და მოღვაწეობის შესაძლებლობას და საწინდარს. სულის უნარები არ ჰგვანან მანქანის ბორბლებსა და ზამბარებს, რომლებიც ყოველწამიერად ცვდებიან და კლებულობენ. პირიქით, ეს უნარები რაც უფრო მეტს შრომობენ, მით გამძლე და ძლიერნი ხდებიან. ის მოვლენა, რომ მოხუცებულობის ჟამს ადამიანური უნარები სუსტდებიან, სრულიად არ ეწინააღმდეგება აქ ნათქვამს, ვინაიდან ცხადია, რომ უნარების ეს შესამჩნევი დასუსტება აზროვნების ორგანოთა დასუსტების შედეგია, ხოლო ამ ორგანოებზე, როგორც ადრე ითქვა, მჭიდროდაა დამოკიდებული სულის უნარები.

უფრო შესანიშნავია მუდმივი ზნეობრივი სრულყოფის უნარი ადამიანებში. ადამიანის სულს შეუძლია განუწყვეტლივ და მუდამ გახდეს ზნეობრივად მაღალი და უკეთესი. ეს ხდებოდა სიკეთის დამკვიდრებით, აზრებითა და სურვილებით შემოქმედთან მიახლოებით, იმ უსასრულო იდეალთან მიახლოებით, რომელიც ჩვენი მიახლოებისას უფრო დაშორებული გვეჩვენება. ერთიც ცხადია, საპირისპირო მდგომარეობა — ბოროტებასთან უწყვეტი და მარადიული თანყოფა ისევე შესაძლებელია სულისათვის, როგორც მისი მარადიული სრულყოფა სიკეთეში. მაგრამ როგორც ყველასათვის ცნობილია, დედამიწაზე ჩვენი სული როდი აღწევს სრულყოფას თეორიული თუ პრაქტიკული მიმართებით. რომ არაფერი ვთქვათ გაუნათლებელ ადამიანებსა და ბავშვებზე, რომლებიც ესაა იწყებენ ცხოვრებას, თვით ისინიც კი, ვინც მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს, ცხადად

განიცდიდნენ იმას, რომ მათ მხოლოდ სუსტი საკუთ-

სამყაროს შემოქმედმა და გამგებელმა უნდა გაასწოროს ამქვეყნიური ცხოვრების ზნეობრივი შეუსაბამობა მომავალი ჯეროვანი ზღვევით.

ადამიანის მნიშვნელობის შესახებ

თუ ადამიანის სული უკვდავია და თუ თავისი არსის მიხედვით მას შესწევს განუწყვეტელი სრულყოფის უნარი, აქედან ადვილად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ადამიანის დანიშნულების შესახებ. ადამიანის დანიშნულება, უეჭველად, სწორედ ისაა, რომ თვით იგი განუწყვეტლივ და უსასრულოდ განიცდიდეს სრულყოფას როგორც გონებრივი, ისე განსაკუთრებით ზნეობრივი მიმართულებით. ამ მანუგეშებელ ჭეშმარიტებას, რომელზეც ჩვენს გონებას შეუძლია მხოლოდ იმკითხაოს, საკმარისად ხსნის და უდავოდ ასაბუთებს ქრისტიანული რწმენა. ეყრდნობა რა ღვთიურ გამოცხადებას, იგი გვასწავლის, რომ ადამიანი მთელი თავისი შემადგენლობით, ე.ი. სულითა და სხეულით, შექმნილია მისი ამქვეყნიური დამსახურების შესატყვისი მარადიული ცხოვრებისათვის. იგი შთაგვაგონებს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ შემზადებაა მომავალი მარადიული ცხოვრებისათვის. ვინც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აზიარა სული სიკეთეს, იგი მომავალ ცხოვრებაშიც იპოვის უმაღლეს ჯილდოს იმავე სიკეთეში. მაგრამ ვისი სულიც ბოროტებით განიმსჭვალა, მისთვის სასჯელი იმ ქვეყნად თვითონ ბოროტება იქნება. მაგრამ ეს მაღალი აზრი, გამოცხადება რომ შთაგვაგონებს, საოცრად შეესატყვისება იმ შედეგებს, რომელსაც ფსიქოლოგი აღწევს სულის ბუნებასა და თვისებებზე დაკვირვებისა და შესწავლის გზით.

ეპისკოპოსი გაბრიელი როგორც პედაგოგი

გაბრიელ ეპისკოპოსმა მოღვაწეობა პედაგოგობით დაიწყო. თბილისის სასულიერო სემინარიაში იგი გამოჩნდა როგორც გაბედული მასწავლებელი და აღმზრდელი, რომელიც ამსხვრევდა უნაყოფო სტერეოტიპებს, ახალ გზებს ეძებდა პედაგოგიური პროცესის გაჯანსაღება-გაუმჯობესებისათვის და, არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა და საქმის ერთგულების მეოხებით, აგნებდა კიდეც მათ.

უპირველესად, აღსანიშნავია ცვლილებები, რომლებიც ახალგაზრდა ინსპექტორმა სწავლების სფეროში გაატარა. ცნობილია, რომ იმდროინდელ სკოლებში დოგმატიზმის პრინციპი ბატონობდა, რომელიც პედაგოგს არ ავალდებულებდა, დაწვრილებით და ნათლად აეხსნა მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალა, გამოეყენებინა თვალსაჩინო საშუალებები და მათ მიერ მისი მიზეზშედეგობრივი კავშირების გაცნობიერებისათვის მიეღწია. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ სწავლება უცხო, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ყოველივე ამის შედეგი იყო სახელმძღვანელოს ტექსტების უაზრო ზეპირობა, შეუგნებელი ზუთხვა, რაც აკაკი წერეთლისა და სხვა სამოციანელთა სიტყვებით, „კაჭკაჭური ზეპირობა“ იყო და არა თუნდაც მინიმალური ცოდნის დაუფლება. მასწავლებლის ცოცხალ, გასაგებ ახსნას მოკლებულ მოსწავლეებს წიგნის იმედიღა რჩებოდათ, რომელსაც ისინი, ვისაც როგორ შეეძლო, იზეპირებდ-

ნენ. მასწავლებლებს სავსებით აკმაყოფილებდათ ზეპირი („უშეცდომო“) პასუხი, და ასეთ მოპასუხეს მაღალ ნიშანსაც უწერდნენ. არ ინტერესდებოდნენ იმით, [illegible] და თუ არა მოსწავლეს გაზეპირებული ტექსტის [illegible]

ასეთი იყო სკოლაში სწავლების საერთო სურათი. იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა, გერასიმე ქიქოძის მოსწავლე ყოფილიყო, საკმაოდ დაწვრილებით აღგვიწერს მის მეთოდიკას, რომლის შემოღებას დიდი გამბედაობა და საკუთარი ძალებისა და სიმართლის ურყევი რწმენა სჭირდებოდა. მასწავლებელმა მოსწავლეებს აუკრძალა მის საგნებში წიგნების შეძენაც და მისი მონათხრობის ჩაწერაც. მათ ყურადღებით უნდა მოესმინათ ახსნა-განმარტება და ასე აეთვისებინათ გაკვეთილები. „გაკვეთილს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე გაიმეორებდა მას რამდენიმეჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა საუკეთესო მოსწავლეებს... გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ეს მოსწავლეები, თავის მხრივ, ვალდებული იყვნენ, ასევე აეხსნათ მოცემული გაკვეთილის შინაარსი დანარჩენი ამხანაგებისათვის — მის სრულ შეთვისებამდე. პირველად ცოტა ვინმე ბედავდა ხელის აწევას, მაგრამ მასალის კიდევ და კიდევ მოსმენის კვალდაკვალ მსურველთა რიცხვი იზრდებოდა“.

ამ სისტემამ, მართალია, პროგრამის სანახევროდ შეკვეცა მოითხოვა, მაგრამ ყოველივე მნიშვნელოვანს კლასი შეგნებულად ითვისებდა, რაც უცხო ხილი იყო მაშინდელი სკოლისა და მასწავლებელთა უდიდესი უმრავლესობისათვის. წმინდა მამა განმეორების სიზუსტეს არ მოითხოვდა, რაც გარკვეულ ასპარეზს უქმნიდა დამოუკიდებელ აზროვნებას, საკუთარი სიტყვებით იმავე საკითხის გადმოცემას.

საყურადღებოა ისიც, რომ ქიქოძის ძლიერ მოსწავლეებს, რომლებიც გაკვეთილის ჩარჩოებშივე ეუფლებიან სასწავლო მასალას, პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული — შედარებით სუსტი შეგირდებისთვისაც გაეცნობიერებინათ მისი არსი.

გაბრიელ ქიქოძის მეთოდიკა პროგრესული მოვლენა იყო: გაბატონებული უაზრო ზუთხვის პირობებში ბავშვებს „კაჭკაჭური ზეპირობის" ნაცვლად აზროვნება დააწყებინა და ნაფიქრ-ნააზრევის მარტივად და გასაგებად გადმოცემის ჩვევა გამოუმუშავა.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ მანამდე ფიზიკასაც კი ზუთხვით „სწავლობდნენ", არც კაბინეტი ჰქონდათ და არც რაიმე ცდების დემონსტრირებას ახდენდნენ. „ქიქოძემ დაუყოვნებლივ დაიწყო ზრუნვა ფიზიკის ისეთი სრული კაბინეტის შესაძენად, რომლის მსგავსი მაშინ თბილისში არ იყო და რომლითაც დროგამოშვებით საერო სასწავლებლებიც კი სარგებლობდნენ": შეიძინეს ზოგიერთი ასტრონომიული ხელსაწყოც, რომლებითაც საღამოობით მნათობებს აკვირდებოდნენ. „სემინარიაში დაიწყეს აგრეთვე მიღება საუკეთესო საერო ჟურნალებისა, იწერდნენ უახლეს თხზულებებს ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, რის შედეგად გონებრივი საქმიანობა მოსწავლეთა შორის ფართოდ გაჩაღდა".

მოსწავლეთა გონივრული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგთა კამათის მოსმენას მათ მიერ: „ყოველ საღამოს სემინარიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებული დავის ასპარეზს... ეს გონებრივი საქმიანობა, რომელიც ხშირად მიმდინარეობდა მოსწავლეთა თვალწინ, ძალიან კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათზე და უღვივებდა მათ ცნობისმოყვარეობას და ინტერესს გონებრივი შრომისადმი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი იყო გერასიმე ქიქოძის როლი საკუთრივ აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეშიაც. პირველი ამოცანა, რა თქმა უნდა, სკოლისათვის ნესრიგის დამყარება იყო. „შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი, უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელოვანი და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას ის მთელი მგზნებარებით მოითხოვდა“.

გერასიმე ქიქოძე, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი, უპირველესად, თავისი მაგალითით ზრდიდა სემინარიელებს. იგი გამოირჩეოდა უბრალოებითა და ჰუმანურობით, აღსაზრდელებს ეპყრობოდა როგორც ადამიანებს, და პოლიციელივით როდი უყურებდა მათ — როგორც საეჭვო პირებს. იყო წრფელი, მართალი და სამართლიანი, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს დაშორებია ერთმანეთს. ამის დადასტურებაა სემინარიის რექტორის — არქიმანდრიტ იზრაელის სიტყვები სემინარიელის მიმართ, რომელმაც მის წინაშე იცრუა; „როგორ არ გრცხვენიათ, ასე როგორ ცრუობთ, აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან, რომელშიც არავითარი სიყალბე არ არის“.

აღზრდის საშუალებათა სისტემაში გერასიმე ქიქოძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თამაშებს. „წინათ თამაშობას სემინარიაში უყურებდნენ, როგორც გარდაუვალ ბოროტებას, — იგონებს გოგებაშვილი, — და ყოფაქცევის მხრივ წინ აყენებდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც თამაშობაში სრულებით არ მონაწილეობდნენ და თავი მოჰქონდათ მშვიდ და უწყინარ არსებად... გერასიმე ქიქოძეს თამაშობას თვლიდა უცილობლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისთვისაც, და ეჭვით უყურებდა იმ

აღსაზრდელებს, რომლებიც უქმად ატარებდნენ დროს, როცა მათი ამხანაგები მხიარულად თამაშობდნენ სემინარიის ეზოში. ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში ეს ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალფეროვან, მაგრამ სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს და ჰაერში გაისმოდა მოთამაშე ბავშვთა თავისუფალი წკრიალა ხმები. ინსპექტორი ამ დროს ან შეშას აპობდა მოთამაშეთა ახლოს, ანდა აივნიდან უყურებდა ბავშვებს, აქებდა იმათ, ვინც თამაშობაში უფრო მეტ მოხერხებულობასა და ღირსებას იჩენდა".

პედაგოგი (ინსპექტორი) ქიქოძე არა მარტო საჭიროდ თვლის თამაშებს, იგი საუკეთესო მოთამაშეთა წახალისებასაც მიმართავს, რითაც სხვებსაც აქეზებს — იყვნენ უფრო მოქნილნი და მახვილგონიერნი.

სემინარიის ცხოვრებაში სიახლე იყო ისიც, რომ ინსპექტორ ქიქოძეს ადამიანის ცხოველმოქმედების ნორმად მიაჩნდა გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა. მას, როგორც შესანიშნავ ფსიქოლოგს, კარგად ესმოდა ერთფეროვანი შრომის დამთრგუნველი მოქმედება მისდამი ინტერესზე. მაგრამ შრომის სახეების მონაცვლეობას არა მარტო ინტერესის შენარჩუნების მისია ეკისრება, იგი აუცილებელია ადამიანი ჰარმონიული განვითარებისათვის — რათა თანაბრად შეეწყოს ხელი მოზარდის როგორც სულიერ (გონებრივ), ისე ფიზიკურ განვითარებასა და სიჯანსაღეს. „ამ წესს იგი თვითონ მკაცრად იცავდა. თავის ინტენსიურ გონებრივ შრომას ცვლიდა შეშის დაჭრით, რასაც ყოველდღე მიმართავდა რეგულარულად, განსაზღვრულ საათებში. მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში და ამით უმსუბუქებდნენ მსახურთ ფიზიკურ შრომას", — წერს იაკობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვარი გერასიმე ქიქოძე აღჭურვილი იყო მრავალმხრივი ღრმა ცოდნითა და იშვიათი პედაგოგიური ალღოთი, რომელსაც მისი ჰუმანური ბუნება და პროგრესული მისწრაფებები ედო საფუძვლად.

გოგებაშვილი ამბობს: „იშვიათად შეხვდებით ასეთს ჰუმანურ პირს, ასეთ კეთილშობილებას, როგორსაც იჩენს გერასიმე შეგირდებთან დამოკიდებულებაში. უმეტეს ნაწილად ასეთი ბიუროკრატიული, ასეთი პოლიციური სამსახური აფუჭებს კაცის გულს, ხდის ცივად, უგრძნობლად, აჩვევს ფორმალისტობას, გაიძვერობას, შეუბრალებლობას, ცბიერობას, თვალთმაქცობას. ვერავითარ ამის მსგავს საქციელს ვერ ვპოულობთ ჩვენ გერასიმეს მოღვაწეობაში ინსპექტორად ყოფნის დროს. ხუთ წელიწადს იყო ინსპექტორად. ამ ხნის განმავლობაში ათასმა სულმა შეგირდმა გამოიარა მის ხელში, მაგრამ არც ერთთან უსიამოვნება არ შეხვედრია, არც ერთი არ მომდურებია. პირიქით, ყველას ლმობიერად, მამობრივი სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობოდა“.

გ. ქიქოძის პედაგოგიურ მოღვაწეობას რეალური შედეგები ჰქონდა; მოსწავლეებმა დაიწყეს ცოდნის შეგნებულად შეთვისება, საგრძნობლად ამაღლდა მათი წარმატება; თამაშების წახალისებისა და ფართოდ დანერგვის, შრომის საქმიანობაში ჩაბმის შედეგად „აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი“, რომელიც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში; შემცირდა დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ. თუ ადრე ხშირი იყო კონფლიქტები პედაგოგებსა და სემინარისტებს შორის, ქიქოძის ინსპექტორობის პერიოდში რაიმე „აჯანყებას“, ან, მით უმეტეს, ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. შეგნებული სწავლება, საერო გამოცემების მისაწვდომობა და აღმზრდელთა მეცნიერული

კამათის ყურისგდება აფართოებდა სემინარიელთა ჰორიზონტს, უვითარებდა გონებრივ ძალებს. როგორც პედაგოგმა, საუკეთესო მოგონებები დატოვა ავის მოწაფეებში. ორატორის ტალანტი საშუალებას აძლევდა მეცნიერებისადმი ცხოველი ინტერესი აღეძრა მათში, და მისი ზნეობრივი თვისებებიც მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას ჩააგონებდათ.

როგორც ვიცით, დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ (1856 წ.) გერასიმე ქიქოძე ბერად აღიკვეცა. 33 წლის გაბრიელი უკვე ეპისკოპოსია (გორის), 1860 წელს კი დაინიშნა იმერეთ-სამეგრელო-გურია-სვანეთის საეპისკოპო კათედრაზე, რომელსაც მალე აფხაზეთიც შეუერთდა. კაცთათვის მსახურებას, რომელსაც იგივე ღვთის მსახურებად თვლიდა, უპირველეს ყოვლისა, სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნასა და განათლების ფართოდ გავრცელებაში ხედავდა მეცნიერი ეპისკოპოსი. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა სწავლა-განათლების მიმართ. მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სკოლა და ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისივე ხელშეწყობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს კი — სასულიერო სემინარია.

გ. იოსელიანი იგონებს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ეპისკოპოს გერმანის დროს „დიდი უწესრიგობა“ სუფევდა. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, ხშირი ავადმყოფობა უსუფთაობის გამო, ზოგ მასწავლებელს კლასში გაკვეთილზე ეძინა. „განსვენებული მღვდელმთავრის (გაბრიელის) მობრძანების შემდეგ ჩვენს სკოლას საუკეთესო ცვლილება დაეტყო: როზგით ცემა მოისპო. კლასებს უფრო სუფთად ინახავდნენ და მასწავლებლებიც ერთგულად ეკიდებოდნენ თავიანთ

მოვალეობას. თვითონ გაბრიელი ხშირად შემოდიოდა გაკვეთილებზე, ბევრ რამეს გვკითხავდა და როცა მასწავლებლის განმარტება ან შეგირდის პასუხი არ მოეწონებოდა, თვითონ ჩაერეოდა საქმეში. განსვენებული ყველას ლმობიერად ეპყრობოდა და დარიგებებს აძლევდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სასულიერო, ისე საერო სასწავლებლებში ქართველი მოსწავლეების გარიცხვას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რაც ეროვნული დისკრიმინაციით იყო განპირობებული, თუმცა ადმინისტრაცია უსამართლოდ უთითებდა ადგილობრივ აღსაზრდელთა სიზარმაცესა და უნიჭობაზე. საზოგადოების აღშფოთება ხმამაღლა გამოხატა ეპისკოპოსმა გაბრიელმა. ქუთაისის გიმნაზიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მან მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანდასწრებით იქადაგა: „ზარმაცის, გაუგონარის, ცუდი ყოფაქცევის ბავშვის თავიდან მოშორება, დათხოვნა და ხელის დაბანვა — ამაზე ადვილი რა იქნება. მაგრამ ეს არ არის აღმზრდელის დანიშნულება. მას მეტი მოთმენა სჭირია, ვიდრე, რაც გინდა, სხვა ხელობის კაცს, და მეტი კიდევ სიყვარული მათდამი, ვინც ხვალინდელ საზოგადოებას წარმოადგენს. უდიდესია მოვალეობა იმათი, ვინც მომავალი თაობის აღმზრდელობას კისრულობს, და აღმზრდელს არ აქვს უფლება, სთქვას, რაც შემეძლო, ვქენ, და მეტი აღარ შემიძლიანო. დასაჯეთ, გაუჯავრდით, დატუქსეთ ზარმაცი და გაუგონარი, და უფრო კიდევ შეეცადეთ სიყვარულით და მოთმინებით მიაგნოთ მისი ბუნების კეთილ მხარეებს და მისი ნაკლოვანებების მიზეზებს".

გაბრიელ ეპისკოპოსი ზრუნავდა ეკლესიის მსახურთა ზნეობრივ სისპეტაკესა და განათლებაზე. არქიმანდრიტი გაბრიელი სამღვდელო და სადიაკვნო ადგილების მაძიებელთა გამომცდელად დანიშნეს.

მანამდე გამოცდები არც კი იყო, არამედ იყო მხოლოდ ძღვენი. ადგილს ღებულობდა არა ის, ვინც მეტი იცოდა და უფრო ღირსი იყო, არამედ ის, ვისაც [illegible] ებას აძლევდა, მოეგო გამომცდელის გულ[illegible] ად მოქმედებდა სამღვდელოებაზე და, შესაბამისად, საზოგადოებაზედაც. გაბრიელმა შეიმუშავა მარტივი, მაგრამ ზუსტად განსაზღვრული საგამოცდო პროგრამა, და მკაცრად მოითხოვდა მის შეგნებულ ცოდნას. ვერც ერთი უღირსი ველარ ღებულობდა ადგილს, ვიდრე გამომცდელი იყო არქიმანდრიტი გაბრიელი, რომელიც გამომცდელად დარჩა საქართველოს ქორეპისკოპოსად კურთხევის შემდეგაც. ასე ამაღლებდა, აცოცხლებდა და აუმჯობესებდა ის ყველაფერს, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. აღსანიშნავია, რომ გაბრიელი სასულიერო პირთა გამწესებებისას კატეგორიულად გამორიცხავდა ყოველგვარ პროტექციას და გადამწყვეტად მომავალი მოძღვრის ღირსებებს მიიჩნევდა. უპირატესობას, რა თქმა უნდა, სემინარიადამთავრებულებს ანიჭებდა, რომელთაც შედარებით საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება ჰქონდათ.

გაბრიელის ქადაგებები, რომლებსაც მეცნიერებისა და სარწმუნოების ორგანულ შეხამებად თვლიდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მოაზროვნეები, უცხო ენებზეც (ინგლისურად, ბულგარულად, რუსულად) იყო თარგმნილი, რამაც ფართო პოპულარობა მოუპოვა ავტორს არა მარტო სასულიერო წრეებში. ივ. ზურაბიშვილი იგონებდა, რომ უნივერსიტეტში სწავლისას ერთ-ერთი ბულგარელი სტუდენტი საქართველოს მხოლოდ გაბრიელ ეპისკოპოსით იცნობდა. „გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, როგორც შეუდარებელი მქადაგებლისა და მისი ქადაგებანი ბულგარულ ენაზე ნათარგმნია და გამო-

ცემულიო“, ხოლო ჟურნალი „რუსკაია მისლი“ წერდა: „ბოლო დროს ინგლისში საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესდნენ. ქართულ ლიტერატურასთან ინგლისელების გაცნობას საფუძველი დაუდო ქუთაისელი ეპისკოპოსის გაბრიელის ქადაგებების თარგმანმა“.

წმინდა გაბრიელი სემინარიაში მუშაობისას წარმოგვიდგა როგორც პროგრესულად მოაზროვნე, მრავალი ეფექტური სიახლის დამნერგავი პედაგოგი.

ამოკრეფილია (შედგენელია თამარ მალაზონიას დისერტაციის „მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო პერიოდიკის და მხატვრულ ლიტერატურაში

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

სწავლა და ზნეობა

თუ სასწავლებელში მარტო გონებრივ მეცადინეობას შეითვისებ, მარტო მრავალ სამეცნიერო საგანს ისწავლი, მარტო გონებასა და მეხსიერებას გაიმდიდრებ, — სწავლული შეიქმნები, მაგრამ თუ გულის თვისებასა და ხასიათს არ გამოიკეთებ, სიმართლეს და წმინდა, ქრისტიანულ ზნეობას არ შეიძენ, მაშინ ქვეყნისათვის არა სარგებლის მომტანი, არამედ უბედური და ქვეყნის მავნებელი გამოხვალ. თუ ვინმე ჭკვიანი და სწავლულია, ეს მან საქმით, ზნეობით და ყოფაქცევით უნდა დაამტკიცოს. მარტო სწავლას, თვინიერ კეთილ ზნეობისა, ფასი არა აქვს. მხოლოდ ცოდნა და განათლება, თვინიერ შესაფერისი კეთილი ზნეობისა, საზოგადოებას და თვით ცოდნის შემძენსაც სარგებლობაზე მეტად ვნებას მოუტანს. ყველაზე კარგი და სასურველი ისაა, როდესაც კაცი ცოდნითაც მდიდარია

და, ამასთანავე, მტკიცე ქრისტიანული ზნეობაც გააჩნია. ცოდნა მხოლოდ გზა და საშუალებაა უმაღლესი მიზნისადმი მიმყვანებელი, და იგი იმდენად უნდა ეფასებოდეს, რამდენადაც კაცს ამ მიზნის მიღწევაში უხმარება. სამწუხაროდ, სხვადასხვა სასწავლებელთა მონაფეებს, უმეტეს შემთხვევაში სწავლის უმაღლესი მიზანი მხედველობაში არა აქვთ. ისინი ხშირად ბევჯითად სწავლობენ, სწავლების კურსის შესრულებას ყოველი ღონისძიებით ცდილობენ მხოლოდ იმისათვის, რომ რომელიმე უფლება მოიპოვონ, მაგალითად: სამსახურში შევიდნენ, ჯამაგირი და ჯილდო მიიღონ, ერთი სიტყვით, სწავლით მხოლოდ თავიანთი გარეგანი, ნივთიერი მდგომარეობის ასამაღლებლად ისარგებლონ. მართალია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განათლებით კანონიერად სარგებლობა რაიმე ცოდვა იყოს, მაგრამ მაინც სამწუხაროა, რომ სწავლულთა უმეტეს ნაწილს მდაბალი მიზანი ამოძრავებს. კაცის სულში ცოდნისადმი მისწრაფება ღმერთმა დანერგა. სწავლა და განათლება კარგია და სასარგებლო, რადგან კაცის გონებას აღამაღლებს და ამდიდრებს, მაგრამ იგი თვითმიზნად კი არ უნდა ვაქციოთ, არამედ მან კაცი უმაღლეს მიზნამდე უნდა მიიყვანოს, და ეს უმაღლესი მიზანი სხვა არაფერია, გარდა კაცის ზნეობრივი განვითარებისა და გაუმჯობესებისა. თვითსწავლა ორპიროვანი იარაღია: კაცმა იგი როგორც თავისთვის, ისე სხვათათვის, კეთილ საქმეზეც და ბოროტებაზეც, სასარგებლოდაც და საზარალოდაც შეიძლება მოიხმაროს. საქმე სიტყვაზე უმაღლესია, ცხოვრება კი სწავლაზე ძვირფასი.

ცოდნა და რწმენა

ჩვენს საზოგადოებაში ერთი ახალი გარემოება შეინიშნება — ყოველი ასაკოვანი და მოხუცებული

ქრისტიანი თავის შვილებსა და შვილიშვილებს, მეტადრე მათ, რომელთაც განათლება დიდსა თუ მცირე სასწავლებელში მიიღეს, არათუ ეჭვით უყურებენ, არამედ თითქმის არა სწამს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და სარწმუნოება ჰქონდეთ. განსაკუთრებით, თუ ვინმე მაღალი სასწავლებლიდან გამოვიდა, არავინ იჯერებს, რომ იგი მორწმუნე კაცია. სამწუხაროდ ჩვენდა და ყოველი მამულის მოყვარე კაცისა, ეს ეჭვი უსაფუძვლო არ არის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ურწმუნოება არ არის ნაყოფი სწავლისა და მეცნიერებისა, არამედ უმეტესად უსწავლელობისა, ანუ ზედაპირული და უსაფუძვლო სწავლისა. ერთი დიდი ფილოსოფოსი უსაფუძვლოდ არ ამბობს, რომ ღრმა მეცნიერება კაცს ღმრთის სარწმუნეობამდე მიიყვანს, ხოლო ზედაპირული და უსაფუძვლო ცოდნა — ურწმუნოებამდე.

სიმდაბლე და უბრალოება წმინდა გაბრიელისა

როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთში ჩავიდა, მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი, ძველი ხის სახლი დახვდა. მორთულობა სახლისა უბრალო იყო. წმინდა გაბრიელი ყურადღებას არ აქცევდა ბინის მორთვას, ამისთვის არ ეცალა და დიდ სისულელედაც მიაჩნდა ასეთ წვრილმანებზე ფიქრი და დროის კარგვა. რუსის მოხელეები რომ შედიოდნენ მის სახლში, ჯერ შეკრთებოდნენ ხოლმე, როცა სადარბაზო ოთახში ორიოდე ძველი ხის სკამისა და ერთი ჭუჭყიანი მაგიდის მეტს ვერაფერს ნახულობდნენ. მათ არ სჯეროდათ, თუ აქ ცხოვრობდა ასეთი დიდებული მღვდელმთავარი, როგორადაც გაბრიელს იცნობდნენ შორიდან. მათ გულზე ლახვარივით ესობოდათ, რომ ოთახებში არც ხავერდის და სუროს ფარდები იყო, არც ხალიჩები, არც ძვირფასი ქსოვილები. ხშირად საყვედურსაც კი ეუბნებოდნენ, რად არ აფასებთ თავს და შესაფერისად რად არ რთავთ თქვენს ბინასო, მაგრამ გაბრიელი სახის გამომეტყველებით აგრძნობინებდა სტუმრებს, რომ ისინი სისულელეზე ესაუბრებოდნენ მას. თავის ოთახში ედგა უბრალო მაგიდა, შავი გადასაფარებლით დაფარული, მაგიდაზე ედგა თუჯის ერთპირიანი საწერელი, შავად გამურული მელანში და ჭუჭყში, გვერდით სპილენძის შანდლები ეწყო საწერელს და იქვე ერთი უბრალო კალმისტარი. კედელთან იდგა კარადები და თაროები წიგნებისთვის,

ELIBRARY.GE

რაც იმას მოწმობდა, რომ ამ უბრალო ოთახში დიდად გონიერი კაცი მუშაობდა.

ეპისკოპოს გაბრიელის ხასიათის სიმარტივე ბანტანსაცმელშიც ჩანდა და სმა-ჭამაშიც. მისი შესამოსელი იყო უბრალო შავი კაბა-ანაფორა, თავზე — შინ უბრალო ხუცის გახუნებული შლაპა და შავი სკუფია. მასთან მისულ უცხო მნახველს ხშირად სირცხვილიც დამართნია, ეზოში შეუმჩნევია ბერი ძველ კაბაში და ეპისკოპოსის მსახური ჰგონებია და ასე მიუმართავს: „თუ უკაცრავად არ ვიქნებოდე, ბატონთან შემეგზავნე, მოახსენე ჩემი მოსვლა და ნახვის სურვილი“. წმინდა გაბრიელი სერიოზული სახით მოისმენდა თხოვნას, შევიდოდა ბინაში, გადაიცვამდა ანაფორას, გამოვიდოდა და სტუმარს ჰკითხავდა, — რა გნებავთ, მითხარითო. სტუმარი ოფლში იწურებოდა და შიშით მიდიოდა ხელზე სამთხვევად...

გაბრიელს უყვარდა ფიზიკური მუშაობა, თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ქათმებს აპურებდა, ხაბაზთან ან მეჯინიბესთან ერთად შეშას ხერხავდა. ერთხელ მათხოვარი შევიდა მღვდელმთავრის ეზოში მაშინ, როცა გაბრიელი და ხაბაზი შეშას ხერხავდნენ. გაბრიელი უბრალო კაბაში და სკუფიაში იყო და გლახაკს მორჩილი ეგონა.

— გამარჯობა თქვენი! — მიესალმა გლახაკი.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ბერმა.

— ბატონი შინ ბრძანდება?

— შინ არის.

— თუ ღმერთი გწამს, შემეგზავნე და წყალობა მითხოვე, საწყალი კაცი ვარ, შიმშილი მკლავს.

— მოიცა აქ და ახლავე მოვახსენებ ბატონს, — მიუგო ბერმა და ოთახში შევიდა. ხაბაზი სიცილს ძლივს იკავებდა.

გავიდა ორი-სამი წუთი, ბერმა გამოუტანა მათხოვარს ათი შაური, მისცა და უთხრა: — ჰა, შე საწყალო, წაიღე,

ბატონმა ამის მეტი არ გაიმეტა შენთვის. ბლახაკი გაშტერებული შეჰყურებდა ბერს და ფიქრობდა, ნეტავ ეს ხომ არა არის ეპისკოპოსიო. გაბრიელმა გაიღიმა და ისევ ბერს მოჰკიდა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც თვითონ იყო უბრალო, ისე ითხოვდა სხვებისგანაც. ერთხელ, ზამთარში მთიული მღვდელი ესტუმრა და ხელზე ემთხვია.

— რაზე მოსულხარ? — ჰკითხა ეპისკოპოსმა.

— მე, შენი ჭირიმე, მთებში მყავს მრევლი, დიდი ყინვები და თოვლი იცის ჩვენში.

— მერე რა გინდა?

— სნეული ვარ და ხშირად ვცივდები ხოლმე.

— მერე ბარში გინდა გადმოგიყვანო?

— არა, თქვენი ჭირიმე, ჩემს სამშობლოს როგორ დავტოვებ.

— აბა, რას მთხოვ?

— მელოტი ვარ, ბატონო, და ყინვაში ხშირად მიცივდება თავი.

— ქუდს ვერ დაიხურავ?

— ეკლესიაში და მიცვალებულების გასვენებებზე ვცივდები ხოლმე, ბატონო!

— მერე რა გიყო მე?

— შენი ჭირიმე, ჩემო დიდო ბატონო, ნუ გამიწყრებით, იქნებ სკუფიაზე წარმადგინოთ.

ეპისკოპოსი თოფნაკრავივით გატრიალდა, შევიდა საძინებელ ოთხაში, გამოიტანა ძველი შავი საბერო სკუფია, რომელსაც თვითონ ატარებდა ხოლმე, ჩამოაცვა მღვდელს თავზე და უთხრა:

— თუ გცივა თავზე, მაგის წამალი ეს არის, ძალიან თბილია, როცა გინდა, მაშინ დაიხურე, სხვა სკუფია რად გინდა.

მთიული მღვდელი საქციელწამხდარი წავიდა შინ.

ქველმოქმედი და მოწყალე

გაბრიელი, როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, საკმაოდ უბრალოდ უმასპინძლდებოდა „ზემდგომ" სტუმრებს. სამაგიეროდ, ხელგაშლილი იყო ქველმოქმედებაში, საზოგადოების სასიკეთო საქმეებში, გაჭირვებულთა დახმარებაში. იოსებ წერეთელი მოწმობს, რომ გაბრიელს უარი უთქვამს ნააღდგომევს საზოგადოებისა და კრებულისათვის სადილის გამართვაზე, სამაგიეროდ, ყოველ წელიწადს 300 მანეთს გზავნიდა სატუსაღოში პატიმართათვის სააღდგომო სადილის მოსამზადებლად

გაბრიელ ეპისკოპოსის გული ღია იყო ყველა გაჭირვებულისა და საჭირო საზოგადოებრივი საქმისთვის. ობოლი და ქვრივი, ღარიბი და სნეული, გასათხოვარი და თვალცრემლიანი დედა, დამწვარი და ბრმა, ბერი და მღვდელი — ყველა თანაგრძნობას პოულობდა მღვდელმთავრის გულში. აგერ, ხიდი ჩანგრეულა და გაკეთება უნდა, იქ ეკლესიას სამკაული, ან გუმბათზე ჯვარი აკლია, იქ სკოლას კონცერტი გაუმართავს საქველმოქმედო მიზნით, ყველა ამ მოვლენის ერთგული ნუგეში გახლდათ გაბრიელ ეპისკოპოსი. ის ხან ეკლესიას აშენებდა, ხან სკოლას, ხან მასწავლებლებს მუდმივ ჯამაგირს უნიშნავდა, ხან ომში დაჭრილებისთვის ფულს სწირავდა, ხიდების გაკეთებაში მონაწილეობდა.

მოსწავლეების მთელი დასი იზრდებოდა მის სახლში. მათ ცალკე ოთახები ჰქონდათ. წმინდა მღვდელმთავრის შემწეობითა და დახმარებით მრავალმა ღარიბმა მოსწავლემ მიიღო განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დეკანოზი ი. ჭეიშვილი ჟურნალ „მწყემსში" წერდა: „იგი მრავალ მოსწავლე ყმაწვილს ხელს უწვდიდა, მრავალს თავის სახლშივე ინახავდა. აბარებდა მათ სასწავლებელში და სწავლის ქირასაც

მათ მაგიერ იხდიდა. ისე სიყვარულით და უბრალოდ ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან ბაასობდა და ხალისობდა იმ მიზნით, რომ მათში გაელვიძებინა ყოველივე კეთილშობილური აზრი, დაეწერგა მათ ნორჩ გულში სიყვარული სიმდაბლისადმი".

ერთხელ, როცა ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში მოგზაურობდა, გზაზე ავაზაკი დაესხა თავს და გაძარცვა მოუნდომა. წმინდა გაბრიელმა ჯვარი გადასახა ჭაბუკს და უთხრა: — შვილო, მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სადა მაქვსო. ეს სახელი თურმე ავაზაკსაც ჰქონდა გაგონილი და შეკრთა. ეპისკოპოსმა განაგრძო: — ასეთი საუცხოო ყმაწვილი, სიცოცხლით და მშვენიერებით სავსე, ავაზაკად როგორ გავარდი, რამ მიგიყვანა მაგ ზომამდე? წამოდი ჩემთან და თუ რამე გჭირდება, მე გიპატრონებო. ჭაბუკმა ჯერ უარი თქვა: „მე რაღა მეშველება აწი, ბატონო, ჩემი საქმე წასულია, ავაზაკობის მეტი აღარა დამრჩენიაო", მაგრამ მღვდელმთავარი არ მოეშვა, თან წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განაწესა. 1896 წლის იანვარში ეს მასწავლებელი სკოლაში გაკვეთილს ატარებდა და ამ დროს ფოსტამ გაზეთი მოუტანა. შეაჩერა სწავლა, გაშალა გაზეთი და ახალ ამბებს დაუწყო ცქერა. უეცრად თვალი მიაპყრო შავ არშიებს და შიგ დიდ ჯვარს. ჯვრის ქვეშ მასწავლებელმა ამოიკითხა: „გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა". გაზეთი ხელიდან გაუვარდა და ტირილი დაიწყო. მოსწავლეები გაოცებულები შეჰყურებდნენ მტირალ მასწავლებელს. მან ნაღვლანად ამოიოხრა: „მე ის მატირებს, რომ მამაჩემი, ჩემი კაცად გამომყვანი, მომკვდარაო".

ხშირად ზამთარში, ღამღამობით გორაზე მცხოვრებ ქვრივ-ობლებს ჩუმად შეშასა და ფულს უგზავნიდა. ქუთაისში ეპისკოპოსი არქიელის გორაზე ცხოვრობდა.

ერთ ზამთარს მისმა მორჩილმა შენიშნა, რომ ღამლამობით შეშა იკარგებოდა. ადგა და დაუდარაჯდა. შუაღამისას მართლაც გამოჩნდა კაცი, რომელმაც შეშა აიღო და გაპარვას აპირებდა. მოსამსახურემ ზურგში სდრუზა „ქურდს". ნელა, შე ოჯახაშენებულო, — წამოიყვირა კაცმა... გაოგნებულმა მორჩილმა იცნო გაბრიელ ეპისკოპოსის ხმა. აღმოჩნდა, რომ მღვდელმთავარი ერთ ღარიბ მრავალშვილიან ოჯახს შეშას უზიდავდა. ერთგულებისათვის არ დაგსჯიო, — სიცილით უთხრა მორჩილს გაბრიელმა.

მისი მოძღვარი, იკონომოსი, იღუმენი გრიგოლ (ჩხაიძე) იგონებს ასეთ ფაქტს: „ერთხელ მიხმო ბატონმა და დამავალა წასვლა ბერიძე თერგთან, რათა მისთვის იმდენი წყვილი საცვლის შეკერვა დამევალებინა, რამდენი ტუსაღიც აღმოჩნდებოდა ქუთაისის სატუსაღოში. მე შევიტყვე ტუსაღთა რიცხვი და იმდენი საცვალი დავამზადებინე. როცა მოვახსენე, მზად იყო ყველაფერი, მაყიდინა ორი საპალნე თეთრი პური და საცვლებთან ერთად გამატანა სატუსაღოში, თანაც მიბრძანა, რომ ჩემი ხელით დამერიგებინა საცვლები და პური ტუსაღებზე. დიდი წვალება გავიარე სატუსაღოში შეშვებაზე, ზედამხედველი არ მიშვებდა. ყველაფერი გამიჩხრიკეს. როგორც იქნა, დამიჯერეს, რომ ეპისკოპოსის გაგზავნილი ვიყავი და შემიშვეს. აუწერელი სიხარული გამეფდა სატუსაღოში საჩუქრის მიღებაზე, შემომესივნენე ტუსაღები და მკოცნიდნენ ხელზე, ჩემი მიტანილი ეგონათ. როცა მე ვარწმუნე, რომ საჩუქარი ჩემგან არ იყო, ჩამაცივდნენ, გვითხარი, ვინ არის ჩვენი მწყალობელიო. მე გაფრთხილებული ვიყავი, არ მეხსენებინა ეპისკოპოსი და თხოვნა ვერ შევუსრულე".

რაჭველი ღარიბი გლეხი იგონებს: „დიდი ხანია მას აქეთ, ასე რომ, იმ დროს ვიქნებოდი ექვსი-შვიდი

ნლისა. დღესაც გონებიდან არ მშორდება მისი მადლიანი სახე. მისი შემბრალე სიტყვები მუდამ ყურში წამჩურჩულებენ. მას აქეთ ორმოცი წელიწადია, როდესაც ჩვენი სოფლის შტატის ეკლესიის აშენებენ. ეკლესიის ამშენებელი კომიტეტი მეტად შეუბრალებლი იყო. არავის არ ინდობდა, ვისაც მუშაობა ან ფულის გადახდა არ შეეძლო, ულელ ხარს გაუყიდდა და ტაძარს ახმარდა. კარგად მახსოვს, სამ სოფელში (სამი სოფელი ერთი შტატის უნდა გამხდარიყო) ჩვენზე ულარიბესი არავინ იყო, შვიდი წლის სნეული მამაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი, რვა სული წვრილი შვილი მხოლოდ მაცადინი დედის სარჩენად ვიყავით. მაგრამ გვყავდა კიდევ ერთი დიდი იმედი და მარჩენალი გიშერა ხარი, რომელსაც საცოდავი დედაჩემი ისე უვლიდა, რომ ზედ აკვდებოდა. ან კი რატომ არ მოუვლიდა საწყალ გიშერას! ის ხომ დედაჩემის მარჯვენა ხელი იყო! სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ გიშერასთან ერთად ბევრი წვა და დაგვა გამოუცდია საწყალ დედაჩემსაც. ის მეზობლიდან მეზობელში მუდამ დაძრწოდა ცალი ხარის საშოვნელად, ასე რომ, საბრალო დედაჩემი ხვნით ვერა ხნავდა, თვარა სხვა ვაჟკაცი საქმე აღარ დარჩენია რა გაუკეთებელი გიშერას შემწეობით. მაგრამ მოულოდნელად უკუღმა შეტრიალდა ჩვენი ბედის ჩარხი და ეკლესიის ასაშენებლად ფულში კალოში შებმული ხარი გამოუშვეს წასაყვანად. როდესაც ოთხი მოკანტრახტე ხარს შემოეხვია, ჩვენ წივილი-კივილი შევქენით. გამწარებულმა დედაჩემმა ხარს რქებში სტაცა ხელი და არ ანებებდა. პატიოსანი პირუტყვი გიშერა თითქო მიგვიხვდა: ადგილიდან არ იძროდა, მაგრამ ერთი მოკანტრახტის მათრახმა მწარედ გაიტკაცუნა დედაჩემის ზურგზე... ამ სურათის მნახველი სნეული მამაჩემი, იქვე ფარდულში წამოწოლილი, დაჭრილი დათვივითა

ღრიალებდა. გულქვა მოკანტრახტეებზე არ გასჭრა
არც ჩვენმა ტირილმა, არც დედაჩემის ხვეწნა-მუდა-
რამ... გიშერა მაინც წაიყვანეს და იმ დღეს კალოც
გაულენავი დაგვრჩა, როდესაც სულზე მოველოდნ
ქერის გალეწვას, რადგან მუჭის ოდენა არ გაგვაჩნდა
რა საჭმელი! როგორც იქნა, ჩვენი ეკლესია უკვე მზად
იყო და სოფელშიც გაისმა ყველასათვის სასიამოვნო
ამბავი: მღვდელმთავარი გაბრიელი მობრძანდებაო. ამ
ამბავმა ყველა გაახარა (უფრო კი ჩვენი ოჯახი); ყველას
რაღაცა სიამოვნების ღიმილი მოსდიოდათ სახეზე.
რასაკვირველია, ყველას გაგებული ჰქონდა მღვდელ-
მთავრის ქება-დიდება, მისი ღვთაებრივი მოძღვრება
და გაჭირვებულთ შემბრალებლობა. ხალხს მით უფრო
უხაროდა, რომ თავისი თვალით ნახავდა საყვარელ
მოძღვარს და თავისი ყურით მოისმენდა მის ბრძნულ
ქადაგებას. ამ დროს რაჭაში რამდენიმე ეკლესია უნდა
ეკურთხებია და პირველად სხვა სოფელში მოუხდა მი-
ბრძანება. ეს რომ გაიგო მამაჩემმა, ბავშვივით აიჩემა
იქ წასვლა. ვინათხოვრეთ მეზობლის ხარ-ურემი, ჩა-
ვსვით ხვირში სნეული და შევუდექით გზას. როდესაც
სოფელში მივედით, წირვა უკვე გაეთავებია დიდებულ
მოძღვარს და საყდრის გალავანში მაღლობზე შემდგარი
უქადაგებდა ხალხს... ჩვენ მოხერხებულ ალაგზე გავ-
ჩერდით. მღვდელმთავარმა ადრევე შეგვნიშნა, ურმით
რომ მივედით და ქადაგებას როგორც კი მორჩა, ჩვენს-
კენ გამოეშურა. როცა მოგვიახლოვდა, ჩემმა დედ-მამამ
ტირილი მორთეს და მეც ცრემლიან თვალებს ვისრესდი
ხელით. ჩვენი ნახვით ყოვლად მოწყალე მღვდელმთა-
ვარი მეტად დაღონდა, მაგრამ როდესაც გაიგო ჩვენი
გიშერას თავგადასავალი, აგრეთვე მოკანტრახტეების
საგმირო საქმენი, მეტად განრისხდა და წამოიძახა: „ოჰ!
ავაზაკები, ავაზაკები!!“ ამ სიტყვების შემდეგ ფიცხელი

წერილი მისწერა ეკლესიის ამშენებელ კომიტეტს, რომ საყვარელი გიშერა ჩვენთვის დაებრუნებინათ, აგრეთვე შეუთვალა ჩვენი სოფლის მღვდელმთავარ[illegible] ... ...

მეც, ჩემი დაკენკილი ტანისამოსით. მღვდელმთავარი მოგვიახლოვდა, გადაგვსახა ჯვარი და გვაკურთხა. შემდეგ დაიწყო გამოცდა ბავშვების ათ მცნება-ლოცვაში და პირჯვრის წერაში. ესენი უთუოდ უნდა გვცოდნოდა, თვარა ჯვარს ვერ ვეღირსებოდით. მე გული იმედითა მქონდა, რადგან ზეპირად ვიცოდი ლოცვები...

პირველ რიგში თავად-აზნაურთა ბავშვები იდგნენ, მე სულ ბოლოდან ვუცუცქურებდი, ვხედავდი, რაც ხდებოდა წინა რიგში: ზოგს პირჯვარს უწუნებდა, ზოგსაც ლოცვებს უსწორებდა. ჯერი მოდგა ჩემზე: „იცი, შვილო, ლოცვები?“ მკითხა მღვდელმთავარმა. „ვიცი, მამაო“, — მივუგე მე და ჩვეულებრივად ჩავარაკრაკე ათი მცნება, „მამაო ჩვენო“ და „მრწამსიც“ ზედ მივაყოლე. მღვდელმთავარმა თავზე ხელი გადამისვა და მკითხა: „ყოჩაღ, კარგად გცოდნია!“ ამ სიტყვებთან გადმომცა ჯვარი წითელი ლენტით და მკითხა: „ვისი შვილი ხარ?“. როცა მოახსენეს, ვისი შვილიც ვიყავი, რაღაცა მოაგონდა, ღიმილით შემომხედა და მითხრა: „გიშერა როგორ გყავს?“ მე გამიკვირდა, მაგრამ მაინც პასუხი მივეცი. ამ დროს მამაჩემიც მოგვიახლოვდა და მონიწებით თავი დაუკრა მღვდელმთავარს. მღვდელმთავარმა დაგვიბარა ეკლესიის მახლობლად მცხოვრები თავადის სახლში. ჩვენც მივედით. სადილი მიერთმია და აივანზე დასეირნობდა. როგორც კი დაგვინახა, მოგვაძახა: „მოდით, ბეჩავებო, ახლოს, ნუ მეკრძალებით!“ შევედით და თავი დავუკარით მიწამდი. დაგვაჯინა და უბრძანა სადილის აივანზე მოტანინება ჩვენთვის, რადგან შეგვატყო შიმშილი და სისუსტე. ვინემდი სადილს გავათავებდით, კრიალოსანით ხელში იქვე დასეირნობდა. ბოლოს, მოგვიახლოვდა და უთხარა მამაჩემს: „მე მისთვის დაგიბარე, ბეჩავო, რომ კიდევ დაგეხმარო რასმე. აგრეთვე, ჩემი სურვილია, რომ ეს ბავშვი გამომიგზავნო ქუთაისში შემოდგომაზე,

მე მინდა ჩემს სკოლაში გამოვზარდო, მანამდი, აი, გორში მჭადი უყიდე ბაღნებს!“ ამ დროს თვალით ანიშნა მსახურს და იმანაც რაღაცა გამოკრულ[illegible] ...ე.

მადლობა გადავუხადეთ მღვდ[illegible] ...ს და წავედით გახარებული სახლში, მით უფრო, რომ მღვდელმთავრის ნაჩუქარი ორი წყვილი საცვალი და სამი თუმანი ფული ჩვენთვის დიდი დახმარება იყო იმ დროს. აგრეთვე გავიგეთ ისიც, რომ გიშერას გამოსახსნელად ოცდათხუთმეტი მანეთი მღვდელმთავარს გადაეხადა...

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

სიმდაბლე

სიმდაბლე ყველა სხვა სათნოებათა სამკაულია; სიმდაბლის გარეშე არავითარი წარმატება არ მიიღწევა (წმ. ამბროსი მედიოლანელი), როგორც გონიერი სახლის მშენებელი ეძებს საძირკველს და სანამ კლდეს არ იპოვის, შენებას არ დაიწყებს, ასევე უნდა მოიქცეს ის კაცი, რომელსაც თვისი სულიერი სახლის აშენება სურს, და სიმდაბლის საძირკველზე უნდა აღაშენოს იგი. სიმდაბლე კაცის ცნობიერებისათვის ის არის, რაც ფესვი მცენარისათვის. თუ მცენარეს მთელი და მაგარი ფესვი აქვს, მისი რტოები მრავალგზის რომ მოჰკაფონ, ახალ რტოებს მაინც გამოიღებს. მსგავსადვე, თუ კაცს სულში მტკიცე სიმდაბლე აქვს, რაგინდ მრავალი ჭირი და განსაცდელი ეწიოს, იგი არ წარწყმდება. წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, სიმდაბლე არის დედა, ფესვი, საფუძველი, საზრდელი და კავშირი ყოვლისა სიკეთისა. ვინც სიმდაბლე ისწავლა, მან ისწავლა ბაძვა ქრისტესი. ვინც სიმდაბლე დაკარგა, მან დაკარგა ყველაფერი, თუგინდ სხვა მხრივ სრული და ღმრთისადმი დაახლოებული კაცი იყოს. თუ ლოცვას, მარხვას და სიწმიდეს შე-

ვაერთებთ, მაგრამ სიმდაბლეს დავაკლებთ, ყოველივე მალე განქარდება. თვით ზეციერნი ანგელოზნი, ოდეს სიმდაბლე დაჰკარგეს, დაეცნენ და ჯოჯოხეთში ჩავარდ-ცვივდნენ. სიმდაბლის შესაძენად პირველი საუკეთესო უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მისი თვისებების მარადის წარმოდგენა და მასზე დაფიქრებაა. თუ ძე ღმრთისა ზეცით გარდამოხდა, ხატი მონისა მიიღო, ყოველგვარი მწუხარება, დამდაბლება, გაკიცხვა, ნერწყვა, გვემა, ჯვარცმა და სიკვდილი დაითმინა, ჩვენ — მიწა და ნაცარი — როგორ არ უნდა ვიყოთ მდაბალნი, რით უნდა ვიამპარტავნოთ? თუ გინდა სიმდაბლე მართლა შეიძინო, ყოვლდღე დილით და საღამოს შენი ლოცვა დაამთავრე დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: გლახაკ და დავრდომილ ვარი მე, ღმერთო, შემეწიე მე.

მოწყალება

ჩვენი სჯულიც, რომელიც სიყვარულსა და მოწყალებაზეა დაფუძნებული, რომ არ გვასწავლიდეს, რომ მოწყალება პირველი ქრისტიანული სათნოებაა, თვით ჩვენი ბუნება და გული შეგვაგონებს, რა კეთილი და წმინდა გრძნობაა შებრალება საწყალი და უბედური კაცისა. ვის არ გამოუცდია ის ტკბილი, აღუწერელი შინაგანი კმაყოფილება, რომელსაც ჩვენი გული იმ შემთხვევაში გრძნობს, თუ ღმრთის შეწევნით, მოყვასი მწუხარებიდან დავიხსენით და გავახარეთ, რადგან მოწყალება საერთოდ ადამიანური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი, ამიტომ ვხედავთ, რომ სხვა სჯულნიც, მათ შორის, მაჰმადიანობა და კერპთაყვანისმცემლობა, რომელნიც ღმრთისგან კი არაა მიღებული, არამედ ადამიანებმა მოიგონეს, თავიანთ აღმსარებლებს მოწყალებას შეაგონებენ. მაგრამ ქრისტიანს სხვა სახისა და სხვა ხარისხის მოწყალება მოეთხოვება. სახარება

გვასწავლის: იყვენით თქვენ მოწყალენი, ვითარცა მამა თქუენი ზეციერი მოწყალე არს. ღმერთი თვითონ არის მოწყალება და სიყვარული, ამიტომ თუ ვინმეს, რომ ვინმეშმარიტი ღმრთიური მოწყალება გქონდეს, შენი ბუნება უნდა გაასწორო, გულიდან სიძულვილი, მრისხანება, შური განიშორო და ისეთი სიყვარული შეიძინო, რომ თავად შენი ბუნება გაიძულებდეს ადამიანის შეწყალებასა და შებრალებას. სახელდობრ, თუ მშიერს ნახავ, პურის ჭამა შენც არ უნდა გეამოს მანამ, სანამ მას არ გააძღებ, თუ შიშველს, უნდა შეგრცხვეს, რომ შენ კარგად გაცვია, მაშინ როცა ძმა შენი ტიტველია. ზეციერი მამის მოწყალება უსასყიდლო და უანგაროა. ამიტომ შენც უნდა ეცადო, რომ არც შენი მოწყალება იყოს ანგარიშიანი. ანუ იმიტომ კი არ უნდა იყო მოწყალე, რომ შეგაქონ და ან იმიტომ, რომ სამაგიერო მოგაგონ, არამედ სიყვარულითა და შეგნებით. ჩვენი ზეციერი მამა უმაღლესი სიბრძნე და გონებაა. ამიტომ მისი მოწყალებაც სხვადასხვა სახისაა იმისდა მიხდვით, ვისთვის რომელია უმჯობესი. ხშირად თვით სასჯელი, მწუხარება და უბედურებაც ღმრთის მოწყალების ნიშანია, რადგან მან იცის, რომ ზოგისათვის ესენი უფრო სასარგებლო იქნება. ამიტომ შენც უნდა ეცადო, რომ მოწყალება ბრძნულად და გონივრულად აღასრულო. იგი ორივე მხარისთვის სასარგებლო უნდა იყოს, შენთვისაც და მისთვისაც, ვისაც აძლევ. შენთვის იმიტომ, რომ თუ გულით აკეთებ, სათნოებას მიეჩვევი, ხოლო სხვისთვის მაშინ, თუ გამოიკვლევ და იმ სახის მოწყალებას მისცემ, რომელიც სჭირდება. ზოგი მოწყალეა და მოწყალების გაცემის საშუალებაც აქვს, მაგრამ მოცალეობა და გამოცდილება არა აქვს და მისი მოწყალება უსარგებლოდ იკარგება. ზოგჯერ კი, პირიქით, ზიანისა და ვნების მომტანიცაა. მოწყალება სხვადასხვაგვარად გაჭირვებულ

და ნაკლულევან მოყვასთა შემწეობას ნიშნავს და იგი ღმრთისათვის ყველა სათონებაზე უფრო სასიამოვნოა. მოწყალება ნაყოფია, რომელიც ყველა სხვა სათნოებას — სარწმუნოებას, სასოებასა და სიყვარულს ცხადყოფს. მაცხოვარი მოითხოვს, რომ მოწყალება შენი ხელით აღასრულო, და თან უნდა ეცადო, რომ შენი მოქმედება საიდუმლოდ დარჩეს. გაჭირვებულისა და გლახაკის დახმარება თვით ქრისტეს მსახურებას ნიშნავს. მოწყალება ქრისტესთვის მიცემული სესხია. ქრისტიანული მოწყალება კეთილი კაცის გულის ბუნებითი გრძნობაა, რომელიც განღვიძებული და გაღონიერებულია სარწმუნოების მიერ. თუ კაცს გული არა აქვს გაფუჭებული და ზნეობა დაცემული, როდესაც შეწუხებულ და უბედურ კაცს დაინახავს, თვითონაც უნებლიეთ წუხდება, მისი სული მოყვასს თანაუგრძნობს და რამეთი მისი მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობს. ქრისტიანმა ყველას მიმართ, განურჩევლად სჯულისა და ნათესაობისა, მოწყალება კუნდა ჰყოს. მხოლოდ ამის გარჩევა შეიძლება: ვინც უფრო გაჭირვებულია, პირველად მას შეეწიე. მოწყალება უანგაროდ, მხოლოდ კეთილი გულის გრძნობით, მოყვასის სიყვარულითა და უმეტესად სარწმუნოებით უნდა აღასრულო. მრავალი ქრისტიანი მოწყალებას უხვადაც გასცემს, მაგრამ ამასთანავე უყვარს, რომ ქვეყანამ შეიტყოს, მის მოქმედებაზე ბუკი დაუკრან და მისი მოღვაწეობის შესახებ გაზეთებში დაიბეჭდოს. ამით მისი მოწყალება ქრისტიანულ ხასიათსა და თვისებას კარგავს. როცა რაიმე მოწყალებას გაიღებ და კეთილ საქმეს გააკეთებ, ის აზრი ნუ გექნება, რომ ღმერთი გადამიხდის და მაგიერს მომაგებსო. მართალია, ღმერთი კეთილი საქმისათვის ყველას თავისას მიაგებს, მაგრამ თუ მოწყალებას სამაგიეროს მიღების აზრით აღასრულებ და არა ღმრთისა და მოყვასის სი-

ყვარულით, მაშინ შენი მოქმედება უფრო ვაჭრობას დაემსგავსება და იგი კათოლიკეთა ან მაჰმადიანთა მოწყალების სახეს მიიღებს, რომელნიც კეთილ საქმეს ფულის სარგებლის მსგავსად ანგარიშობენ.

ქველმოქმედება

ქრისტიანმა ყოველი კეთილი საქმე, ქველმოქმედება უსასყიდლოდ და უანგაროდ უნდა აღასრულოს. თუ კაცი კეთილ საქმეს იმისთვის იქმს, რომ სასყიდელს ან ჯილდოს მოელის, მაშინ მის კეთილ საქმეს ზნეობრივი მნიშვნელობა არა აქვს; ანუ თუ ქრისტიანი მარტო სასჯელის შიშით ერიდება ცოდვას და კეთილ საქმეს ამიტომ აკეთებს, მაშინ იგი სათნოების დაბალ საფეხურზე დგას და მისი კეთილი საქმე ანგარების ნაყოფია; ხოლო უმაღლესი ხარისხი სათნოებისა ის არის, როცა ქრისტიანი კაცი ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით აკეთებს კეთილ საქმეს და წმინდად ცხოვრობს. თვით ღმერთიც ყველაზე მეტად იმისთვის კი არ უნდა გიყვარდეს, რომ სასყიდელს აღგითქვამს, არამედ იმიტომ, რომ იგი უდიდესი და უკეთესია ყოველთა ზედა. მაშასადამე, კეთილი საქმისადმი თვით შენი ბუნება, ანუ ხასიათი და თვისება უნდა გიზიდავდეს. როგორც შენი სხეული ითხოვს საჭმელს, მსგავსადვე სული და გული უნდა იყოს მომთხოვნი კეთილი საქმისა. ამავე დროს, კეთილი საქმის აღსრულებისათვის კაცი თავმდაბალი უნდა იყოს. კეთილ საქმეთა შორის უფრო მეტად ის ფასობს, რომელიც ჩვენგან განსაკუთრებულ შრომასა და თავდადებას ითხოვს.

მოწყალე სამარიტელი

სჯულისმეცნიერი ებრაელის კითხვას — ვინ არს მოყვას ჩემდა, — მაცხოვარმა მოწყალე სამარიტელზე

იგავით უპასუხა. ავაზაკებისაგან დაჭრილ ცოცხალმკვ-
დარ ებრაელს, რომელსაც გვერდი გულგრილად აუარეს
მღვდელმა და ლევიტელმა, სამარიტელმა უპატრონა,
თუმცა ებრაელებს სამარიტელნი სძულდათ; წყლულები
შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შემდეგ სასტუმროში
მიიყვანა და მის პატრონს ჩააბარა იმ პირობით, რომ
იმაზე მეტს მისცემდა, რაც მის მოვლაში დაეხარჯე-
ბოდა. ამ იგავს მეორე მნიშვნელობაც აქვს. მოწყალე
სამარიტელი თვით ჩვენი უფალი იესო ქრისტეა, გზაზე
დაგდებული დაჭრილი კაცი მთელი კაცობრიობაა, რო-
მელიც, ვიდრე მაცხოვარი მოვიდოდა, ავაზაკებმა, ანუ
ეშმაკებმა და მათმა შხამიანმა ნაყოფებმა — ცოდვამ,
ვნებამ, სულიერმა ხრწნილებამ და სიკვდილმა ფრიად
სტანჯეს. მისი მკურნალობა თავს არავინ იდვა, არც
მღვდელთა და არც ლევიტელთა და აი, მოვიდა ქვეყნად
მოწყალე სამარიტელი უფალი იესო. მიეახლა ცოცხალ-
მკვდარს, წყლულები შეუხვია, სცხო მას ზეთი სიტყვისა
და ნუგეშისცემისა და დაასხა ღვინო ქადაგებისა და
თავისი მადლისა. თუმცა, მისი მოწყალების ღირსნი არ
ვიყავით, უფალი მაინც მოვიდა ჩვენთან და მიუხედავად
იმისა, რომ მისი მტერნი და მოძულენი ვიყავით, მაინც
გამოგვიხსნა, იცოდა რა, რომ ეს გზა გოლგოთამდე მიი-
ყვანდა. და ყოველივე ამის სანაცვლოდ რა მოგვთხოვა?
ურთიერთსიყვარული და ერთობა და ისიც არა თავის-
თვის, არამედ ჩვენი ბედნიერებისათვის.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან
გამოკრებილნი სწავლანი.
შემდგენლები: გვანცა კოპლატაძე და
გრიგოლ რუხაძე, თბ. 2002წ.

ლოცვა და გაბრიელ ეპისკოპოსი

გაბრიელ ეპისკოპოსის ხასიათის არაჩვეულებრიობა წირვა-ლოცვაშიც გამოიხატებოდა. მელიტონ კელენჯერიძე გადმოგვცემს: „ძნელია და შეუძლებელიც სიტყვით ამის გადმოცემა, რასაც გაბრიელის სახე და ხმა, მისი თვალები, მისი მიმიკა წარმოადგენდა ლოცვის დროს. მხოლოდ მხედველობას შეუძლია გადმოგცესთ ეს მომენტი. დიდი დანაკლისიცაა, რომ ამის ფოტოგრაფია არ შემონახულა. გული გვწყდება იმაზეც, რომ ჩვენი განზრახვა ამის შესახებ ვერ მოვიყვანეთ სისრულეში. ჩვენ გვსურდა და მეცადინეობაც არ დაგვიკლია, რომ გვქონოდა გაბრიელის სახის სურათი იმ მომენტში, როცა ის მუხლებზე მდგომი, ხელებ და სახე მაღლა აპყრობილი თვალცრემლიანი ესაუბრებოდა ღმერთს და მოშორებული იყო სულით მიწას და ყოველსავე ქვეყნიერს... საუცხოო და გულის სიღრმემდი ჩამწვდომი იყო გაბრიელის სახე იმ წუთს, როცა იგი სანთლებით ხელში დადგებოდა ამბიონზე სახით ხალხისკენ და ტკბილი, ციური ხმით, წყნარად წარმოთქვამდა თვალებ მაღლა აპყრობილი: „გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას, რომელი დაასხა მარჯუენამან შენმან“...

მღვდელი მარკოზ სხირტლაძე იგონებს: „ლოცვა იცოდა ყოველთვის მოუკლებელი და არა ხანგრძლივი. დილა-საღამოს ჩვეულებად ჰქონდა დადებული ძლიერი სასოებით ღვთისადმი მილტოლვა სალოცავად. რო-

ბიბლიოთეკა

გორც მშიერი, ანუ მწყურვალი მიისწრაფის საზრდოზე, ეგრეთ იგი დიდებული დილით ყოველთვის ხუთის ნახევარზე ადგებოდა ზამთარ-ზაფხულ და არაკუნებდა კვანჩხით კარზე თავის საწოლი ოთახიდან.

ვიცოდი ჩვეულება მისი და წინადვე გამზადილი მქონდა თუნგით პირის საბანი და ოთახში მდგომი ცივი წყალი. დაიბანდა, შეიმშრალებდა, ჩაიცვამდა ჩექმებს, მერე მიბრძანებდა, შენ წადიო და უნდა წამოვსულიყავ. მაგრამ როცა ახალი მისული ვიყავი, ძლიერ მსურდა შემეხედოს ყოველი მისი მოქმედებისათვის და კიდევაც ვუცქირე მეორე ოთახიდან. პირველად ოლარი დაიდო კისერზე და სამი, ძლიერ გულმოდგინედ, იატაკამდი მუხლებმოყრით და თავის იატაკზე დაკვრით მეტანია გადაიხადა. შემდეგ დაიწყო ლოცვა ხშირი მუხლმოყრით და ხელ-აპყრობით ლოცულობდა. თუ ამ დროს ვინმე შევიდოდა, ძლიერ შეწუხდებოდა და გაუჯავრდებოდა. მწიგნობრობა საღმრთო წერილებისა უყვარდა არა მოჩქარებული და გაგრძელებული, არამედ მძიმედ, გასაგონი ხმით, გამომეტყველებით, ცოტა ხალისიანად. ძლიერ ეჯავრებოდა მოჩქარებული კითხვა საღმრთო წერილისა"...

„გაბრიელი ლოცვის დროს იმ სახით დასდგებოდა, იმ სახეს მიიღებდა, თითქო პირდაპირ უზენაეს ღმერთს უმზერდა... ლოცვის დროს იქით-აქეთ მიხედვა და მუსაიფი შეუძლებელი იყო", — დასძენს მღვდელი სპირიდონ ბრეგვაძე.

„წირვა-ლოცვა ძლიერ სასოებით იცოდა, — მოგვითხრობს მღვდელი ალექსანდრე შარაშენიძე, — მაგრამ ცდილობდა, ყოველი კეთილი საქმე, როგორც ლოცვა, ისე ღარიბების შემწეობა საიდუმლოდ ყოფილიყო. ღვარდიის მღვდელმა ეგნატე ვაწაძემ მითხრა: „ერთჯერ ჩემსას გაათია ღამე ყოვლადსამღვდელო გაბრიელმა.

რომ დაღამდა, შევიჭვრიტე ოთახში, მინდოდა გამეგო, აბა თუ მოისვენა-მეთქი. ხატის წინ სანთელი ეწთო და ლოცულობდა. როცა დაიღლებოდა, ლოგინზე ჩამოჯდებოდა, შემდეგ კიდევ ადგებოდა და ლოცულობდა ჩუმად".

ერთხელ, აფხაზეთში მოგზაურობის დროს, გაბრიელ ეპისკოპოსი დეკანოზ დავით მაჭავარიანთან ერთად ყოფილა ეკლესიაში, სადაც დეკანოზს აუპყრია ხელი და დიდი სასოებით დაუწყია ლოცვა. სახლში მისულს, ეპისკოპოსს უთქვამს მასპინძლისთვის, როგორ სხვის დასანახად, ფარისევლურად გცოდნია ლოცვაო. დეკანოზს უპასუხია: ამას განგებ ვშვრები, ურჯულო აფხაზებს მაგალითს ვუჩვენებ. იქნებ მორჯულდნენო.

გაბრიელ ეპისკოპოსი თურმე ლოცვისას ხშირად ტიროდა. „ხშირად ტიროდა ლოცვის დროს, ერთხელ შეცდომით შევედი მის ოთახში, არ ვიცოდი, თუ ლოცვად იდგა. მუხლები მოეყარა, ხელები აღეპყრო და სტიროდა, სახე სულ დასველებული ჰქონდა ცრემლით. ეწყინა, შეწუხდა. მრისხანედ შემომხედა და მითხრა, რატომ არ მაცლით ლოცვასო," — წერს წმინდა გაბრიელის მოძღვარი იღუმენი გრიგოლი (ჩხაიძე). ეპისკოპოსის სწორ და ღრმა დამოკიდებულებას ლოცვაზე ნათლად ასახავს მისი ქადაგებებიდან გამოკრებილი სწავლანი ამის შესახებ.

გაბრიელ ეპისკოპოსი კრძალვით ეკიდებოდა ტაძარში ლოცვასაც. ქუთაისის საკათედრო ტაძრის ყოფილი მნათე ნაიტაკი იგონებდა, ეკლესიაში ხმას არ გაიღებდა, მაგრამ თუ უწესობას შეამჩნევდა რამეს, ხელებს მოჭუტავდა და თითებს იმტვრევდაო. მღვდელი კ. სოხაძე იგონებს: — „ღვთისმსახურებისას ჟამნი რომ ველარ გავარჩიე და ერთი სიტყვა მრუდედ ამოვიკითხე, ბრძანა, წაართვით წიგნიო, წამართვეს და სხვას წააკითხეს".

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვა

ფარისეველმა გრძლად ილოცა, მეზვერემ ხოლოდ ხუთი სიტყვა წარმოსთქვა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას, მაგრამ გამართლებული იგი გამოვიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი ლოცვა მრავალსიტყვაობით, მუხლმოდრეკით, ხელების აღპყრობითა და თუნდაც პირჯვრისწერით არ გამოიხატება. ჭეშმარიტი ლოცვა, უპირველესად, საკუთარი თავის, სულიერი მდგომარეობის შეცნობას გულისხმობს, როცა მისი აზრი და გონება თავისი თავისკენაა მიმართული და გრძნობს რა თავის უღირსებასა და ცოდვილობას, უნებლიედ ღმერთს მიმართავს შეწუხებული. მეორე, ჭეშმარიტი ლოცვა არის კაცის სულის მოძრაობა ზეციერი მამისაკენ, როცა სული თითქმის გამოდის სხეულიდან და ცათა შინა შედის. ამ დროს ადამიანი ღმერთთან არა მხოლოდ სიახლოვეს, არამედ ერთობას გრძნობს. როცა გულში ჭეშმარიტი ლოცვის მადლი გაჩნდება, იგი ვითარცა მშიერი და მწყურვალე პურისა და სასმელისაკენ, ისე ისწრაფვის ღმრთისაკენ: ამ მდგომარეობაში იყო დავით წინასწარმეტყველი, როცა ამბობდა: ვითარცა სახედ სურის ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო. ჭეშმარიტი ლოცვის დროს ადამიანის სხვა ორგანოები და გრძნობები დადუმებულნი არიან. იგი დგას ღმრთის ტახტის წინაშე და ერთი მხრივ თავის განუზომელ სიგლახაკეს გრძნობს, ხოლო, მეორე მხრივ, ღმრთის განუზომელ მოწყალებას. მესამე, ჭეშმარიტი ლოცვა კაცის სულს აცხოველებს და კეთილი საქმეებისაკენ იზიდავს. ადამინის გულში იგი კეთილ ზრახვებს აღძრავს, ხოლო უკეთურ აზრებსა და სურვილებს სპობს. იგი აიძულებს კაცს, საქმით ადიდოს

ღმერთი. თუ ადამიანის ხორციელ ცხოვრებას აზრი და მოქმედება შეადგენს, მისი სულიერი ცხოვრება ლოცვითა და საქმით შედგება. ლოცვა, რომელიც საქმედ არ გადაიქცევა, არ არის ჭეშმარიტი ლოცვა. ყოველი კეთილი საქმე, ჩვენგან აღსრულებული, იგივე ლოცვაა, რამდენადაც ნაყოფია ლოცვისა. ლოცვისას კაცს სული შემუსვრილი და დამდაბლებული უნდა ჰქონდეს. ლოცვაში თავის თავს თვითონვე უნდა ამტყუნებდეს, ცოდვებს ნანობდეს, ღმერთს თავის ულირსებას შეაბრალებდეს; ლოცვის დაწყებამდე სულისა და გულის მომზადებაა საჭირო. პირველ ლოცვისა დაწყებამდე განამზადე თავი შენი და ნუ იქმნები, ვითარცა კაცი გამომცდელი ღმრთისა (ზირ. 18,23). უნდა იფიქრო, რომ ერთი საწყალი, ყოველ სულიერ ღირსებას მოკლებული, სუსტი და მოკვდავი ცოდვილი ქმნილება ხარ. გახსოვდეს, რომ ლოცვისას ღმრთის წინაშე დგახარ, რომლის წინაშეც ძრწიან ქერუბიმნი და სერაფიმნი, მაგრამ ამასთანავე, წინაშე ყოვლად მოწყალისა მამისა, რომელიც ჩვენს გულს ხედავს და ელის, რა სულიერ ძღვენს მივართმევთ მას. ლოცვის დროს აუცილებელია, რომ ჩვენი გრძნობა, განზრახვა და სული ლოცვაში წარმოთქმულ სიტყვებს ეთანხმებოდეს. ლოცვის შემდეგ საჭიროა, რომ საქმით ვეძიებდეთ და ვასრულებდეთ იმას, რაც ღმერთს ლოცვაში ვთხოვეთ. ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ მაშინ, როცა ცუდად ვლოცულობთ, და ცუდად მაშინ ვლოცულობთ, როცა ცუდად ვცხოვრობთ; ჭეშმარიტად ის ლოცულობს, ვისაც ლოცვის დროს უნებლიედ ცრემლი მოუვა.

ეკლესიაში ლოცვისათვის

კაცი, რომელსაც ეკლესიაში მისვლა და წირვის მოსმენა სურს, ამ საქმისათვის უნდა მოემზადოს. კვირას, ეკლესიაში მისვლამდე, უნდა ეცადოს, რომ გული და

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

გონება ლოცვის მოსასმენად განაწყოს. თუ მან სოფლის საზრუნავი ეკლესიაშიც შემოიტანა, რასაკვირველია, კარგად და სასარგებლოდ ვეღარ ილოცებს. ტაძარში შესვლამდე ერთი წამით ჯერ ეზოში დაჯექი, გონებამ მოიკრიბე და შენს თავს ჰკითხე, სად მიდიხარ? ტაძარში ღმერთს უნდა წარუდგე, იქ შენი მოწმენი ანგელოზები და წმინდანები იქნებიან, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადო, რომ ტაძარში შესვლისას ყველასთან შერიგებული იყო და წყენა გულში არავისზე გქონდეს. თუ ტაძარში ამსოფლიური ამაო შფოთითა და საზრუნავებით შეპყრობილი შეხვალ, იქ შენი მხოლოდ ხორცი იქნება, სული და გული კი სხვაგან. არც თათრები და არც ურიები თავიანთ დღესასწაულებს არ შეაგინებენ. ტაძარში შესული წინ დგომაზე ნუ იფიქრებ, არამედ დუმილითა და კრძალულებით იდექი, ნუ დაგავიწყდება, სადა ხარ. ტაძარში ლაპარაკი, აქეთ-იქით ყურება (და, მით უმეტეს, სიარული), ერთმანეთის თვალიერება ცოდვაა. ტაძარში უნდა ეცადო, ის ლოცვები და წმინდა წერილის ადგილები მოისმინო, რომელსაც იქ კითხულობენ. ქრისტიანული სჯული და სწავლება იმ ლოცვებსა და საგალობლებშია გამოხატული, რომელთაც ეკლესიაში კითხულობენ და გალობენ. მაშასადამე, ვინც მათ გულისხმიერად ისმენს, შეიტყობს, რას წარმოადგენს ჩვენი სჯული და სწავლება. ამასთან, ეკლესიაში მლოცველს გული გრილი არ უნდა ჰქონდეს. მან ან შიში უნდა იგრძნოს თავისი ცოდვებისა და ულირსობისათვის, ან მწუხარება, ან სიყვარული ღმრთისა, ან სიტკბოება და ნუგეში, ან სხვა რომელიმე სულიერი გრძნობა. ვინც ეკლესიაში გულგრილად დგას და არაფერს გრძნობს, მისი ლოცვაც გრილი და უნაყოფო იქნება. ლოცვა ისე უნდა უყვარდეს კაცს, როგორც მშიერს — საჭმელი და მწყურვალს — სასმელი. ჭეშმარიტი და გულმოდგინე

ლოცვის შედეგი სულიერი წარმატება, გაუმჯობესებაა. ჭეშმარიტი ლოცვა ადამიანის გულს დაადნობს, ხასიათს გაუუმჯობესებს, იგი ბოროტი გულის ენებებს ისე დაალბობს, როგორც მზის სითბო თოვლსა და ყინვას, უკეთუ გული შენი ლოცვისაგან მოსვენებას და სიმშვიდეს იგრძნობს, უკეთუ ღმრთის და მოყვასის სიყვარული გაგეზრდება, მაშასადამე, კეთილად გილოცია. თუ მართლაც გულმოდგინედ და მადლიანად ილოცე, ტაძრიდან გამოსულს მტერიც კი შეგებრალება და მზად იქნები გადაეხვიო, ხოლო თუ მტრის მიმართ გულში კვლავ სიძულვილი და მტრობა იგრძენი, მაშინ იცოდე, რომ შენი ლოცვა ცრუ და უნაყოფო იყო. ხოლო იმ ქრისტიანებზე, როელნიც გამოვიდნენ თუ არა ტაძრიდან, უკვე მის ეზოში იწყებენ ჩხუბსა და ყვირილს, ვიტყვით, რომ მათ საერთოდ არ ულოციათ, რომ ტაძარში ისინი მხოლოდ რაღაც მოძრაობას აკეთებდნენ ხელებითა და საერთოდ, სხეულით.

ლოცვა და მარხვა

მარხვასთან შეერთებული გულწრფელი ლოცვა ყოველივე იმას გააღვიძებს და გააცოცხლებს, რაც კაცის გულში და სულში კეთილი, წმინდა, პატიოსანი და ღმრთიურია, ხოლო ყოველივე ბოროტ სურვილსა და მიდრეკილებას დათრგუნავს და მოსპობს. მყუდრო და წრფელი ლოცვის ჟამს ყოველი ვნება და ცოდვა კაცის გულში უნებლიედ დადუმებულია, ხოლო თუ კაცი ლოცვას მხურვალებით ხშირად გაიმეორებს, მაშინ მისი ყოველი ცუდი სურვილი და ყოველივე გულისთქმა სრულიად დაიძინებს და დაიმალება. ამავე დროს, გულწრფელი ლოცვა და მარხვა სიმდაბლისა და ღმრთის მორჩილების ნიშანია. ამპარტავანსა და თავხედ კაცს გულწრფელი ლოცვა არა შეუძლია. ჭეშმარიტი ღმრთიური ლოცვა

კაცს გულში გამოუთქმელ ნუგეშსა და სიხარულს გაუ-
ჩენს; ვინც იგრძნო ტკბილი გემო ლოცვისა, ცხოვრების
სიმძიმეს ადვილად იტვირთავს. ლოცვის კიდევ ერთი და
ამასთანავე უმაღლესი თვისება ისაა, რომ ამ დროს კაცი
ღმრთის წინაშე დგას; ლოცვა პირდაპირი და მჭიდრო
კავშირია, იგი კაცის სულის ღმერთთან შეერთებაა. თუ
ღმერთთან საუბარი ანუ ლოცვა ისწავლე და ღმრთის
პირის წინაშე კეთილი გრძნობით იქცევი, სული შენი
განიწმინდება და ამაღლდება, რაც კი შენში უკეთური,
უწმინდური და ხენეშია – ყოველივე დაჩვილდება და
დადნება, ხოლო შენ კეთილი, კაცთმოყვარე და ლმობიე-
რი შეიქნები. ლოცვას და მარხვას დიდი და ძლიერი კავ-
შირი აქვს, ერთი მეორეს აამაღლებს და განამტკიცებს.
ამიტომაც, მაცხოვარი არაწმინდა სულის განდევნის
საქმეში ორივეს თანასწორ მნიშვნელობას ანიჭებს:
ნათესავი ესე ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა
ლოცვითა და მარხვითა. როგორც საღმრთო წერილი,
ასევე წმინდა მამებიც მარხვასა და ლოცვას ყველგან
ერთად ახსენებენ, რადგან ერთი მათგანი საკმაოდ ნა-
ყოფიერი ვერ იქნება, თუ მეორეც არ შეეწია.

სინანული

ცრუ და უნაყოფოა, როცა კაცი გარეგნულად, სხ-
ვათა საჩვენებლად ნანობს, ასეთი ვინმე მაშინ სწუხს,
როცა მისი ცოდვა გამჟღავნდება. იმას კი არ განიცდის,
რომ ზეციერი მამის წინაშე შესცოდა, არამედ იმას, რომ
ქვეყანამ შეიტყო და საზოგადოებაში შერცხვა. ზოგ-
ჯერ კაცს სინანული მხოლოდ შიშისაგან უჩნდება, რომ
ღმერთმა ცოდვებისათვის არ დასაჯოს და ჯოჯოხეთში
არ ჩააგდოს, — დასაწყისში ესეც კარგია, მაგრამ უმე-
ტესად ნაყოფიერი და ჭეშმარიტი სინანული სიყვარუ-
ლისაგან იშვება, ანუ რომელიც ცოდვის გამო ზეციერი

მამისაგან განშორების წუხილით იბადება. სინანული სულიერი მწუხარება და შემუსვრილებაა ცოდვათა და ულირსებათათვის; თუ ღმერთი არ შეწყალებს კაცს და სინანულის კარი არ გაუღო, იგი ღმერთს ვერ ეზიარება. სინანულს ვერ მიართმევს. ჭეშმარიტი წმინდა სინანული დიდ ძალას მოითხოვს, ერთობ მძიმე და ძნელი სულიერი მოქმედებაა. მისი მოპოვება თითქმის მთელი სჯულის შესრულებას ნიშნავს. მაცხოვარი მხოლოდ ამას მოითხოვდა: შეინანეთ, მოახლოებულ არს სასუფეველი ღმრთისა! თუ ცხოველი სარწმუნოება, ცხოველი სასოება და ანთებული სიყვარული არ გააჩენენ კაცის გულში სინანულს, მაშინ სინანული ყალბი, ცრუ და უნაყოფო იქნება. თუ ატყობ, რომ გული გაგიცივდა, ეკლესიაში გონება გეფანტება და ცოდვა გერევა და გიზიდავს, შენს გულში ეს ლოცვა ხშირად გაიმეორე: მსწრაფლ განუხვენ სინანულისა ბჭენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო! როგორადაც ყოველი სხვა ნიჭი და მადლი კაცთა ზედა ღმრთისაგან გადმოდის, მსგავსადვე და უმეტესად, ყოველთა უდიდესი ეს ნიჭი და მადლი სინანულისა იმავე წყაროსაგან მომდინარეობს და მიეცემა კაცს; სანამ კაცი არ მოიძულებს და არ მოიძაგებს თავის ცოდვას, არ ითქმის, რომ იგი ჭეშმარიტად ნანობს და ჭეშმარიტად სურს საუკუნოდ გაყრა და განშორება ცოდვასთან. ამიტომ აღსარების თქმამდე შენი სულიერი მდგომარეობა კარგად განიხილე, ერთი კვირის განმავლობაში კი არ უნდა იყო გაფრთხილებული, არამედ მთელ შენს ცხოვრებაში, ე.ი. შენი ყოფაქცევა და ხასიათი სრულიად უნდა გამოიცვალო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბახვის ეკლესია

გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი მეთვალყურეობითა და სახსრებით 1867 წელს მის მშობლიურ სოფელ ბახვში აიგო ქვის ეკლესია, რომელიც თავისი სიდიადით ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა გურიაში. იგი ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აუშენებიათ.

ცისფერი, ლამაზი ქვით ნაგები ეკლესიის სამხრეთის კარზე მხედრული წარწერა გვამცნობდა: „1867 წ. შეწევნითა ღვთისათა შესრულდა ტაძარი ესე... აღშენებული საფასითა გაბრიელ ეპისკოპოზისა სოფლის ბახვის შემწეობითა, ხოლო ხელოვნებითა ლევან და მოსე ბერეკაშვილებისა". ეკლესია 1922 წლამდე მოქმედებდა.

ვახტანგ ჭელიძე

ჩვენი საუკუნის პარადოქსები

„ — ხვალ ეკლესიაში წაგიყვან, — გამომიცხადა ერთ დღეს ბაბუამ.

ჯერ არ მენახა ჩვენი ეკლესია, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ რბილად მოგუგუნე ბგერები, დილაობით ჰაერს რომ გაავსებდნენ ხოლმე, სწორედ იქიდან მოდიოდნენ. უფროსები ამ დროს რა საქმითაც უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, წამით შედგებოდნენ და პირჯვარს გამოისახავდნენ. ხშირად გამიგონია, რა თავმოწონებით იტყოდნენ, ჩვენი ეკლესიის ზარის ხმა აქეთ მთისპირისა და თავაკიჯვარს უწევს, იქით კი — ძიმითსა და აკეთსო. უყვართ გურულებს თავმოწონება, მით უმეტეს, როცა ამის საფუძველი აქვთ.

ვერ ვიტყვი, რა გრძნობა დამეუფლა, როცა პირველად შევავლე თვალი მწვანე ქვით ნაგებ ჩვენს ეკლესიას: ერთბაშად განვიცადე პატარა ბავშვმა მთელი ძალი სილამაზე, თუ ეს განცდა შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა. ბაბუა მაჩვენებდა ხატებს, მაგრამ ამით, ეტყობა, დიდად არ დავინტერესებულვარ. იმ პირველ დღეს სხვა რამემ უფრო გამაოცა.

ბაბუამ ამიყვანა სამრეკლოზე, რომელიც ეკლესიისავე გაგრძელება იყო, თავისი ღია გუმბათით. სწორედ აქ ეკიდა ის ზარი. ქვის საცალფეხო დახვეულ კიბეს რომ ავუყევით, ვერ დავფარავ, შემეშინდა. კიბე წრედ უვლიდა და ნახევრად ბნელოდა. როცა განათდა, უკვე სამრეკლოს გუმბათში ვიყავით. სწორედ აქ ვიხილე საოცრება, რამაც გამაოგნა. ასე, მეგონა, ჩემს წინ მთელი ქვეყნიერება გადაიშალა-მეთქი, და იმოდენა მეჩვენა ის, რომ ერთბაშად შემაკრთო. თვალსაწიერი შორს გაჭრილიყო. ცისა და დედამიწის შესაყართან მდინარე მიიკლაკნებოდა. ჯერ ვერც კი მივხვდი, რა იყო ეს დაკლაკნილი ზოლი, რომელსაც თხელი ნისლის თეთრი ლეჩაქი ებურა. ეს იყო დასავლეთი მხარე. ხვეული კიბით ასულს პირველად სწორედ დასავლეთი გადაგეშლებოდა. ჩრდილოეთითაც შორს იკარგებოდა თვალსაწიერი. ბაბუა იქაც მიმანიშნებდა მდინარეზე, მაგრამ მე იმას ვერ ვარჩევდი. ეტყობა, ისიც წარმოდგენაში ხედავდა ჰორიზონტზე გაფერმკრთალებულ მდინარე სუფსის ზოლს. აქეთ — აღმოსავლეთით და სამხრეთით — მთებს ისე მოეახლოებინათ ჰორიზონტი, ლამის ხელსაც მიუწვდენდი. აქ უკვე არა მარტო გარკვევით ვხედავდი, არამედ მესმოდა კიდეც მდინარე ბახვისწყლის ყრუ ხმაური. მდინარის გაღმა, ფერდობებზე, ოდა-სახლები შეფენილიყო. ეს იყო ორი ერთმანეთზე გადაბმული სოფელი, რომლებიც ბახვის თემში შემოდიოდნენ. ძალიან ლამაზი

სანახავი იყო დაბურულ ხეებში მზით დაფერილი კრამიტის სახურავები. სახლებიც ასეთივე ლამაზი აქვთ ამ სოფლებს: ოქროსქედი და მშვიდობაური. სამხრეთით დიდი მთა მოსჩანდა. ეს გახლდათ ბახმარო, რომელსაც მოწმენდილ ამინდში ჩვენი ეზოდანაც ვხედავდი, მაგრამ მხოლოდ მწვერვალის თეთრ ქუდს. აქედან კი მთელი სიდიადით წამოიმართა თოვლიანი მწვერვალი მაღალი მთისა. ეს ალბათ საყორნია იყო.

ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ სოფლის ჩვეულებრივი ხმაური, მდინარის ყრუ გრიალსა და ჰაერშივე წარმოქმნილ რიტმულ ზუზუნთან ერთად, თითქოს აქვე ახლოდან კი არ მოდიოდა, არამედ სადღაც ძალიან შორიდან, და რამდენადაც სასიამოვნო იყო ეს განცდა, იმდენადვე მაკრთობდა და მაშინებდა. ამის შემდეგ ბაბუაჩემისგან დამოუკიდებლადაც რამდენჯერმე ავსულვარ სამრეკლოზე, და მუდამ ასეთი განცდა მეუფლებოდა.

იმას, რის სანახავადაც მომიწევდა აქეთკენ გული, ყველაზე გვიან შევხედე. ეს იყო ვეებერთელა ზარი, ლამაზი ჩუქურთმებით ამოტვიფრული...

პირველი მსხვერპლი ეს ზარი შეიქნა. მე არ შევსწრებივარ, მაგრამ ძლივს ჩამოუხსნიათ და, იმსიმაღლიდან ზათქით წამოსულა, ისე ღრმად წასულა მიწაში, რომ მერე ველარ დაუძრავთ. ეს არც ეჩქარებოდათ, მთავარი იყო, რომ ჩამოხსნეს. დიდხანს იყო ასე, მიწაში ნახევრად ჩაფლული, უსამართლოდ შეურაცხყოფილი და დამცირებული, როგორც ნიშანი ადამიანური უმადურებისა და უგუნურებისა. მერე ამოიღეს და სადღაც წაიღეს. ალბათ გადაადნეს. კაცმა არ იცის, რაში გამოიყენეს. პატარა ზარებიდან კი ერთ-ერთი სკოლის ეზოში დაკიდეს. ამ ზარს უფრო წკრიალა ხმა ჰქონდა და განუწყვეტლივ ისმოდა მისი წკრიალი ჯერ ადრე დილით, როცა სკოლაში მოუხმობდა ბავშვებს, მერე

ყოველი გაკვეთილის დაწყებისა და დამთავრებისას. და სკოლის შემდეგაც ჩუმად მიდიოდნენ და რეკდნენ დაუსრულებლად. ენამ რომ ველარ გაუძლო [illegible] [illegible], რკინის ნაჭერი მოიტანეს და ახლა [illegible] [illegible] გარედან უწყალოდ, გამეტებით, სანამ ბოლოს არ გაიბზარა და ხმა არ ჩაეხრინწა...

ეკლესიის ვრცელ ეზოს ქვითკირის მაღალი, მტკიცე გალავანი ერტყა. მაღალი და ფართო ბჭის აქეთ-იქით, თითქოს გუშაგებად, დიდრონი ცაცხვები აღმართულიყო. ცაცხვისა და თელის ხეები აქა-იქ გალავნის გასწვრივაც იყო ჩარიგებული. დიდი სოფელი იყო და წირვის დროს, განსაკუთრებით დიდ უქმე დღეებში ხალხით გაივსებოდა ხოლმე ეს ვრცელი ეზო. დილიდანვე მოედინებოდნენ ეკლესიისკენ — სუფთად ჩაცმულები, კეთილად გაღიმებულები; ერთმანეთს მოწიწებით თავს უხრიდნენ, განუწყვეტლივ ისმოდა: „დილა მშვიდობისა, ბატონო," „მამაზეციერს შენს დღეგრძელობას ვთხოვ"...

მამაკაცები გალავანზე, ან ეკლესიის გარე კედელზე მიაყუდებდნენ ჯოხს, ზედ ყაბალახს ჩამოაცვამდნენ და პირჯვრისწერით შევიდოდნენ საყდარში. წირვა რომ გამოვიდოდა, ასევე პირჯვრისწერით, მშვიდად გამოლაგდებოდნენ და დიდხანს იდგნენ ეზოში ჯგუფ-ჯგუფად, გულითად საუბარში გართულნი. ძალიან უყვარდათ ამ დროს ერთმანეთი.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავის ქადაგებაში, ამ ეკლესიის კურთხევის დროს, სწორედ მაცხოვრის სიტყვებით მიმართა მრევლს: „ამით სცნან ყოველთა, რამეთუ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებდეთ ურთიერთას", და შემდეგ განაგრძო: „აჰა ქრისტიანობის ნიშანი! რომელს ქვეყანაშიაც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობ, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა, ერთგულება".

ასეთი ურთიერთსიყვარული ჰქონდათ მთელ სოფელში, და ამაში დიდი იყო ეკლესიის დამსახურება. გაბრიელი იმავე ქადაგებაში მრევლს მიმართავდა: „კაცი, რომელი ერთგულად და გულმოდგინედ ივლის საყდარში და ისმენს წირვა-ლოცვას, მხურვალითა გულითა და სასოებითა ევედრება ღმერთსა... ის კაცი ცოტ-ცოტად სრულიად გამოიცვლება და უმჯობესი და უკეთესი კაცი შეიქმნება. ჭკუა და გონება მისი განათლდება, რათგანაც ყოველს წირვაზე ესმის საღმრთო წერილისგან მრავალი ღვთიური აზრი და მცნება, რომელთა ასეთი ძალა და მადლი აქვსთ, რომ სრულიად შესცვლიან და გააკეთებენ კაცის ბუნებას. გული და ხასიათი მისი გაკეთდება“...

იმავე ქადაგებაში კიდევ ერთი საგულისხმო შეგონებით მიმართა მღვდელმთავარმა მრევლს: „ადამიანს, ძმანო ჩემნო, ისეთი ბუნება აქვს, რომელ, თუ ყოველს დღეს თავის თავს თვითონ არ უფრთხილდება, ანუ ერთი ვინმე სხვას ყოველთვის არ აღვიძებს, არ შეაგონებს, არ ასწავლის, მაშინ იგი თანდათან ფუჭდება, ბოროტდება და ბოლოს შეიქნება მონა ცოდვისა“.

ავი წინათგრძნობა ჰქონდა ბრძენ ადამიანს. ძალიან გვიან მიხვდნენ ამ შეგონების სიბრძნეს, ასე მარტივად და ყველასთვის გასაგებად გამოთქმულს.

ეს ქადაგება იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1867 წლის 8 (21) სექტემბერს წარმოთქვა. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე წელი და ის საშიშროება, რასაც ასეთი სიფრთხილით მიანიშნებდა ბრძენი მღვდემთავარი, სულ უფრო ცხადი და აშკარა გახდა, კონკრეტულად სახიფათო სახე მიიღო საზოგადოებისათვის. და ახლა უკვე, ერთ მერმინდელ ქადაგებაში მღვდელმთავარი უფრო მწვავედ აცხადებს თავის შიშს:

„ცუდი დროა ახლა! ხალხის ტვინში იბადებიან მრავალნი დამღუპველნი აზრნი და მისწრაფებანი, რომელნიც აქრობენ კაცში სარწმუნოებას!

ბიბლიოთეკა

რა შემაძრწუნებელი სიცხადით ვლწერს ყველაფერს, რაც ზედმიწევნით სიზუსტით ახდა ორმოცდაათი-სამოცი წლის შემდეგ... ეგზალტირებული ხალხი რევოლუციის გამარჯვებას ზეიმობდა და უბადრუკი გამარჯვების აღსანიშნავად ყველაფერს ანგრევდა, რაც ძველად შეექმნათ და რაც მშვენიერი იყო.

სწორედ იმ საშინელ წლებს შეეწირა ჩვენი დიდებული ტაძარიც, რომლის კურთხევაზეც წარმოთქვა ეპისკოპოსმა გაბრიელმა აქ მოტანილი ქადაგების პირველი ნაწყვეტი.

ერთი სიტყვით, 1867 წლის 8 (21) სექტემბერს აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა ჩვენი სოფლის ეკლესია და კურთხევის დროს ზემოთ რომ ვახსენეთ ის ქადაგება წარმოთქვა. ადვილი მისახვედრია, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო: 8 (21) სექტემბერი ხომ ღვთისმშობლის დაბადების დღეა. ეკლესია გაბრიელის თაოსნობითა და მისივე საფასურით ააშენეს. მშენებლობაში მთელი სოფელი — დიდი თუ პატარა — მონაწილეობდა. ურმებით მოჰქონდათ ვანისქედიდან და მთისპირიდან იშვიათი სილამაზის მწვანე ქვა, და აქ ხელით ამუშავებდნენ...

სხვა ღვაწლიც დასდო სახელოვანმა ადამიანმა მშობლიურ სოფელს...

ადრევე უნდა მეთქვა: იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ერობაში გერასიმე ქიქოძე) ამ სოფლის შვილი გახლდათ. ქიქოძეების გვარმა, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული შუა სოფელში, სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც მისცა ქვეყანას, საკმარისი იქნება გავიხსენოთ ჩვენი დიდებული მწერალი გერონტი ქიქოძე

და მისივე ბიძაშვილი, ნიჭიერი მხატვარი შალვა ქიქოძე, რომელიც სრულიად ახალგზარდა გარდაიცვალა...

მშობლიური სოფლისთვის ეპისკოპოს გაბრიელს ბევრ-ჯერ გაწეულ ღვაწლზე ვსაუბრობდით. თითქმის იმავე ხანებ-ში, როცა გაბრიელი გარდაიცვალა, ესე იგი 1896 წელს, თედო სახოკიამ იმოგზაურა გურიაში და ეს სოფელიც მოინახულა, მოგზაურობის შთაბეჭდილებები ჟურნალ „მოამბეში" გამოაქვეყნა 1897 წელს.

სოფელი უწყლო იყო... ეპისკოპოს გაბრიელის თაოსნობითა და მისივე საფასურით ზედა ვაკიჯვრი-დან არხი გაიყვანეს — ეს საკმაოდ დიდი მანძილია — და მდინარე ნატანებიდან ტოტი გადმოაგდეს. მაცოცხლებელი წყალი მიუვიდა არა მარტო ბახვს, არამედ სხვა სოფლებსაც. ამის შემდეგ სოფელში სულ მალე გაშენდა ხილის ბაღები, ვენახები. რა თქმა უნდა, ერთიათად გაიზარდა მოსავალი. სწორედ ამაზე წერს იმავე შთაბეჭდილებებში თედო სახოკია, მთელი მიდამო წალკოტად იქცაო.

არც ამით ამოწურულა დიდი ადამიანის ღვაწლი მშობლიური სოფლისადმი. გაბრიელ ეპისკოპოსმა დაუარსა სოფელს სკოლა — ჯერ პირველდაწყებითი, მერე კი ორკლასიანი სასწავლებელი. ზემოთ რომ ხი-ლის ბაღები ვახსენეთ, სწორედ ამ სკოლაში აღზდილი ახალგაზრდების გაშენებული იყო. სკოლის ვრცელ ეზოში, რომელიც, სხვათა შორის, უშუალოდ ეკვრის ეკლესიის გალავანს, მოსწავლეთათვის ერთგვარი საცდელი მეურნეობა იყო მოწყობილი. საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლები, ამ საქმის სპეციალის-ტები, ბავშვებს ასწავლიდნენ ვაზისა და ხილის გა-შენებასა და მოვლას, მყნობას, მეფუტკრეობას... ამ დიდ ეზოში ყოველგვარ ხილს შეხვდებოდით, რაც კი გურიაში ხარობს. აქვე იყო რამდენიმე ოჯახი ფუ-

ტკარი, ვაზი... სკოლაში მიღებული ცოდნით ბავშვები საკუთარ ეზოებში აშენებდნენ ბაღებს, გაიჩიჩეს ფუტკარი. ერთი სიტყვით, თედო სახოლიას, მთელი კუთხე წალკოტად იქცა.

ბიბლიოთეკა

სკოლაში რომ შემიყვანეს, ჯერ კიდევ დარჩენილიყო ნაშთი იმ საოცარი ბაღისა, რაც რამდენიმე ათეული წლის წინათ მოსწავლეებს საკუთარი ხელით გაეშენებინათ. ჩვენ უკვე აღარ გვასწავლიდნენ არც ახლის გაშენებას და არც გაშენებულის მოვლას. ეს ალბათ წარსულის „მავნე გადმონაშთად" მიაჩნდათ. ყველაფერი კარგი და ადამიანური „წარსულის მავნე გადმონაშთი" იყო. მტკიცედ დამკვიდრდა ეს გამოთქმა, სულ პირზე ეკერათ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე გავიხსენებ იმ მოხუცკაცს, რომელსაც ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი სოფლის წინაშე. გასული საუკუნის 80-იანი წლების გაზეთებს თუ გადავათვალიერებთ, ხშირად შევხვდებით კორესპონდენციებს გურიიდან, რომელსაც ხელს აწერს სოფლის სკოლის გამგე გიგო შარაშიძე. ეს გახლავთ მისი სახელი და გვარი. კორესპონდენციებში მარტო სწავლა-განათლების საკითხებზე კი არ არის საუბარი, არამედ სოფლის ყოფაზე, მის ჭირ-ვარამზე. იგი ერთ დროს გერონტი ქიქოძის მასწავლებელი ყოფილა და მწერალი ძალიან ტკბილად იხსენებს თავის მემუარებში: „ახლაც თვალწინ მიდგას სოფლის მასწავლებლის, გიგო შარაშიძის მონუმენტური ფიგურა, მისი თმის და წვერის თეთრი აბრეშუმი, მისი შავგვრემანი სახე და ოდნავ ირონიული ტუჩების მოძრაობა. რა შრომისმოყვარე და სამართლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნობა ჰქონდა! და ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ: იგი იყო... პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი".

ჩემს დროს უკვე ღრმა მოხუცი იყო ეს კაცი. ჩვენს ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ხშირად მოინახულებდნენ ხოლმე, მოიკითხავდნენ, უფროსებს ზოგჯერ პატარა ბავშვებიც დავყავდით. როგორც ამ ხნის კაცს შეეფერება, სულ შინ იყო, მეუღლესთან ერთად, რომელიც ძმისშვილი გახლდათ ეპისკოპოს გაბრიელისა. ცხოვრობდნენ სკოლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადაღმა, მგონი, გაბრიელისავე მამულში. რამდენჯერ მივსულვარ, ეზოში იჯდა, სახლის წინ, კოხტად და პეწენიკად ჩაცმული, თითქოს სადმე მიემგზავრება და საგანგებოდ გამოწყობილაო; წიგნს კითხულობდა, გაზეთებს ათვალიერებდა. გადადებდა ხოლმე მოხუცი წიგნს გვერდზე — იქვე პატარა წნული მაგიდა ედგა — და გულითადად მომიკითხავდა. სახლში მოფუსფუსე ცოლს გასძახებდა, სტუმარი მოგვივიდაო, და ისიც გამოცუხცუხდებოდა პარმაღზე. ისიც ალერსით მომიკითხავდა, თუ ვინმე ავად გვყავდა ოჯახში ან მეზობლად, იმის ამბავსაც მკითხავდნენ. ყველაფერი იცოდნენ: ვის რა უჭირდა, ვის რა ულხინდა — უფროსი თაობის ადამიანები სოფელში სულ მათი ნამოწაფრები იყვნენ, ყველანი კარგად ახსოვდათ, ყველას ამბავი აინტერესებდათ.

დიდი ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ ჩემს მახსოვრობაში ამ ორი მოხუცის გარდა შინ არავინ იყო. ერთი შვილი — დავითი, დამფუძნებელი კრების წევრი — 1921 წელს მთავრობას გაჰყვა ემიგრაციში და აღარც დაბრუნებულა, იქვე გარდაიცვალა. მეორე — ცნობილი მწერალი და იუმორისტი შალვა, „თაგუნას“ ფსევდონიმით ცნობილი — თბილისში ცხოვრობდა და სოფელში ჩამოსული არც მახსოვს. უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ქალები: თამარი და ქრისტინე“...

გიგო შარაშიძე

გიგო შარაშიძე — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი წმინდა ეპისკოპოსთავარ გაბრიელის თანამებრძოლი იყო. ალბათ, მეთხვევით არ შეაჩერა არჩევანი მასზე ეპისკოპოსმა, როცა საკუთარი სახსრებით გახსნილი ბახვის სკოლა ჩააბარა, რომელზეც გაზეთი „დროება“ წერდა: „გურიაში ყველა სასოფლო შკოლებზედ და ვგონებ, სხვა უეზდების სასოფლო სკოლებზედაც დაწინაურებულა ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა“. ამ დიდ მამულიშვილს — გიგო შარაშიძეს ეკუთვნის „გურული ლექსიკონი“, მნიშვნელოვანი მასალები სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, გურული ვაზის ჯიშების შესახებ, რომლითაც უსარგებლია ივანე ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაზე“ მუშაობის დროს. ის არა მარტო წერდა ამ თემაზე, სკოლის ბაღში დარგო და გაახარა კიდეც მივიწყებული ჯიშები გურული ვაზისა. მისი ქალიშვილის, ცნობილი ისტორიკოსის ქრისტინე შარაშიძის არქივში დაცულია მამის — გიგო შარაშიძის მოგონებები. მათი გარკვეული ნაწილი ბევრ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ.

გიგო შარაშიძე

ჩემი მოგონებები

„ორი თვის განმავლობაში, სანამ ახალ ადგილზე გადავიდოდი, მთელი ჩემი გულისყური, ფიქრები და საზრუნავი ჩემი მომავალი მუშაობისა და ბახვის ახალი სკოლის გარშემო ტრიალებდნენ. ათასი თავსატეხი საკითხი მებადებოდა. ვგრძნობდი, რომ მარტო წერა-კითხვის სწავლებით და სკოლის მასწავლებლის როლით არ უნდა განსაზღვრულიყო ჩემი მომავალი მეცადი-

ნეობა, რომ მდგომარეობა ბევრ სხვა რამეს მავალებდა და ვცილობდი ნათლად გამერკვია ჩემი მისია ახალ ადგილზე და ახალ საქმეში. აქ ხელი შემიწყო პეტრეს „სასოფლო გაზეთმა“ და ზოგი კითხვების გადაჭრა გამიადვილა. მახსოვს ერთი წერილი, რომელიც არკვევდა სოფლის მასწავლებლის მოვალეობას სოფელში და, სხვათა შორის, იმ აზრსაც გამოთქვამდა, მასწავლებელი უნდა ეცადოს, გარდა ზოგადი საგნების სწავლებისა, შეძლებისდაგვარად სასოფლო მეურნეობის სფეროშიაც დახმარება გაუწიოს სოფელსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის ოფიციალური მოწერილობის თანახმად, მე 8 ნოემბერს, 1874 წ. გამოვცხადდი ბახვს, სადაც გაბრიელ ეპისკოპოსი (სკოლის დამაარსებელი) მის ძმასთან, მღვდელ ათანასე ქიქოძესთან დაბინავებული იყო.

როგორც საზოგადოდ მოხელე კაცს, მეც ძლიერ მეძნელებოდა მასთან მისვლა: მისი ხასიათის შესახებ ბევრი რამ ისეთი გამეგონა, რაც მის პიროვნებას ჩრდილს აყენებდა და არა სიმპატიურ კაცად გამოიყვანდა. ასეთი არასასურველი ხმების გავრცელებას გაბრიელზე, როგორც შემდეგში შევიტყვე, გურიის სამღვდელოება და თავადაზნაურობა ცდილობდა, რადგან პირველს (სამღვდელოება), ეშინოდა, გურიის ეპარხია არ შეეერთებიათ ქუთაისის ეპარხიასთან: სამღვდელოება ნამეტანი ჩამორჩენილი იყო და გაბრიელი ხომ უვიც მღვდლებს არ დაინდობდა. თავადაზნაურობა კი იმიტომ ემტერებოდა გაბრიელს, რომ უბრალოდ და უცერემონიოდ ეპყრობოდა „წარჩინებულებს“ ისე, როგორც სხვა წოდების ხალხს. მასთან თავის ქადაგებაში დაუზოგავად ამხილებდა თავადაზნაურობის ცუდ ყოფაქცევას და გლეხის განთავისუფლების დიდი მომხრე იყო.

გიორგობისთვის წარვსდექი მის წინაშე; აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: აივანზე რამდენიმე მღვდელი იჯდა, ეპისკოპოსი არსად ჩანდა, ყველას უბრალო შლიაპები ეხურა. დამინახა თუ არა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მღვდელმა, მომკიდა ხელი და მიმიყვანა ერთ მღვდელთან. თურმე ეს იყო ეპისკოპოსი, იმასაც უბრალო შლიაპა ეხურა თავზე და უბრალო ძველი ანაფორა ეცვა; ამის გამო ძნელი გამოსაცნობი იყო სხვებში. გაბრიელი წამოდგა, ოთახში შემიყვანა, სკამი მომაწოდა, მითხრა: „უთუოდ გეტყოდათ ტროიე ჯამაგირის რაოდენობას — ჯერჯერობით 300 მანეთი გექნებათ წელიწადში, ბინა, შეშა და მოსამსახურე. შემდეგში ვეცდები მოგიმატოთ. ახლა წადით, დაათვალიერეთ სკოლის შენობა. თუ რამე აკლია, მითხარით და გავაკეთებ“. იქვე მღვდელს უბრძანა, წამოყოლოდა და ეჩვენებია ყველაფერი სკოლის შენობაში.

ეკლესიის გალავანში აეშენებინათ შენობა სკოლისთვის. გალავნის ცოტა ნაწილში, რომელიც თავისუფალი იყო, გაბრიელს ეყიდა და გადაემიჯნათ გზად, დანარჩენზე კი მიცვალებულებს ასაფლავებდნენ — სკოლა სასაფლაოზე დაედგათ. გაბრიელს სოფლისთვის წინადადება მიეცა, სკოლის დასადგამი მიწა დაეთმოთ, მაგრამ მღვდლებს საუმჯობესოდ დაენახათ ეკლესიასთან ერთად ყოფილიყო სკოლაც, რადგან ეკლესიის შენობაც გაბრიელის ხარჯით იყო აშენებული.

სკოლის შენობა იყო ორსართულიანი, ყავრით დახურული, ქვედა სართული, რომელიც ორი დიდი დარბაზისგან შესდგებოდა, ქვის იყო, ფანჯრები ცოტა ჰქონდა. ბნელოდა შიგ. ზედა კი ხის მასალისგან აეშენებიათ და შესდგებოდა ერთი მოზრდილი დარბაზიდან და ორი უფრო პატარა ოთახიდან, ზედა სართულის ოთახები უბუხრო იყო, იატაკი და ჭერი ფარღალალა. ეს

ადგილი მასწავლებლის ბინათ იყო დანიშნული. კლასის ავეჯეულობა საკმაო იყო, მარა ძალიან უხეირო. სკოლას არც სამზარეულო ქონდა და არც ფეხის ალაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც აუცილებელი და შესაძლებელი იყო. ეტყობა, და, თვითონაც სწყინდა სკოლის ასე უხერხულ ადგილზე და სრულიად უგეგმოდ აშენება, მაგრამ გვიანლა იყო, გამოსწორება ძნელი იყო, ფული კი ბევრი დაეხარჯა ამ უხეირო შენობის აგებაში მეთვალყურეს.

მეორე დღეს, ორშაბათს, ბავშვები უნდა მიგველო. სკოლაში ღამის გათევა შეუძლებელი იყო: მე ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა გლეხმა, მასიკო ანდღულაძემ, გამათევია ღამე. დილას ადრე ამოვედი სკოლაში, სადაც უკვე შეკრებილი იყვნენ მშობლები თავიანთი შვილებით. სანამ გაბრიელი მოვიდოდა, მე იქ მყოფი ბავშვების სია შევადგინე — ვინც მოისურვა ჩაწერილიყო — ჩავწერე. 200 მსურველი აღმოჩნდა სკოლაში შესვლის. ამასობაში გაბრიელიც მობრძანდა. სკოლის ეზო რო სავსე ნახა ბავშვებით, გაუკვირდა და თქვა: — ძალიან გაჭირვებული ყოფილან უსკოლოდ, ძლიერ სწყურებიათ სწავლაო.

ცოტაოდენი თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, სკოლაში მიგველო 8-15 წლის ორივე სქესის ბავშვები. წლოვანება მშობლების დაკითხვით უნდა შეგვეტყო და თუ რომ მოცემული ცნობები საეჭვო იქნებოდა, მეტრიკა უნდა მოგვეთხოვა, მარა აღარ დარჩა საჭირო, რადგან მშობლებმა და მეზობლებმა დაახლოებით სწორი ცნობები მოგვცეს. ორასი ბავშვიდან 41 არ დარჩა სასკოლო ასაკის. მივიღეთ 129 კაცი. ამდენი მოწაფის გაძღოლა ერთი მასწავლებლისთვის ძლიერ საძნელო იყო, მით უმეტეს, რომ ერთ ოთახში ვერ მოთავსდებოდნენ. ნამეტანი შეწუხდა გაბრიელი. მე მოვახსენე: ბატონო, შევიტყოთ, რამდენია მიღებულ ბავშვებში სკოლაში ნამყოფი, რომელ განყოფილებაში სწავლობს და მაშინ

შეიძლება დაიყოს ჯგუფებად და ორ ოთახში მოვათავსოთ. თუმცა ერთი მასწავლებელი ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ორ ოთახში მოთავსებულ ბავშვთან, გაბრიელს მოეწონა ეს აზრი. შევეკითხეთ მონაფეებს, ვინ სად სწავლობდა და რომელ განყოფილებაში. აღმოჩნდა 56 სხვადასხვა სკოლაში ნასწავლი. ამგვარად, საშუალება მოგვეცა მონაფეთა მთელი რიცხვი ორად გაგვეყო და ორ ოთახში მოგვეთავსებია, ხოლო სკოლაში ნამყოფს წერა-კითხვის მცოდნე ბავშვებს მე თვითონ გავანაწილებდი გამოცდების შემდეგ.

გაბრიელი ერთ კვირას დარჩა ბახვში. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე შევხვდებოდი მას. იგი სკოლაშიც შემოვიდა სამხელ, გაკვეთილებს დაესწრა და ბავშვების დანაწილებაში დამეხმარა. სულ ვფიქრობდი და მიკვირდა: რატომ არის ადამიანი ასე ბოროტი, რომ თავის საკუთარ სარგებლობისთვის არ დაინდობს სხვას, ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააშავოს მის მიერ ნიშანში ამოღებული კაცი, რაც კარგი ღირსებით, ზნეობით უნდა იყოს იგი დაჯილდოებული; თუ არა, რა ხელი ქონდათ ამ ყოვლად პატიოსანს, სპეტაკს და სულ უბრალო, მარა იმავე დროს, დიდ კაცთან! რატომ აძულებენ ქვეყანას შეთხზული ჭორებით გაბრიელს.

იგი ცხოვრობდა სულ უბრალოდ და ზედმიწევნით კეთილი ადამიანი იყო. მახსოვს, ერთხელ ბახვში მასთან მოიყვანეს პატარა ბავშვი, რომელსაც გულის ავადმყოფობა ჰქონდა და იტანჯებოდა. მოიყვანეს გაბრიელთან, იმიტომ, რომ ფულით დახმარება აღმოეჩინა. ბავშვი გაფითრებული იყო, ჩქარი სუნთქვა ქონდა და კვნესოდა. ეს რომ დაინახა გაბრიელმა, მივარდა მას, ჩაიკრა გულში, დაუწყო ტარება ეზოში, ეფერებოდა და შეწუხებული სახით ამბობდა: რა ვქნა, რით შეუმჩატო ამ უბედურს ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაჭირვებაო. მერე ბავშვი უცბად დედას გადასცა, აჩუქა საექიმო ფული და უთხრა:

— ექიმთან, ექიმთან, ჩქარა, ეგებ რამე უშველოს ამ საწყალსო!

დავუბრუნდეთ სკოლას. ის 129 ახალი მიღებული ბავშვი 3 ჯგუფად გავყავი: I ჯგუფში მოხვდნენ წარა-კითხვის სრულიად უცოდინარები — 73 ბავშვი, II-ში — 40 წერა-კითხვის სუსტად მცოდნე, III ჯგუფში კი 16 ბავშვი წერა-კითხვის და ანგარიშის მცოდნენი, რომელიც სოფლის სკოლის პროგრამის მიხედვით II განყოფილებას მიუდგებოდა. პირველი ჯგუფი დიდ ოთახში მოვათავსე, მეორე და მესამე — უნცროსში. ეს ოთახები კარებით იყო შეერთებული... სკოლის არსებობის პირველ წელიწადში დიდ გაჭირვებაში ჩავვარდი — 129 ბავშვის, ორ ჯგუფად გაყოფილის, ორ ოთახში მოთავსებულის სწავლება, კლასის ოთახების მოუწყობლობა და უსინათლობა, სათამაშო ეზოს მოუწყობლობა, ორ თვეზე მეტით სწავლის დაწყების დაგვიანება, თითქმის ყველა საგნების რუსულათ შესწავლა შეუძლებელს ხდიდნენ ერთი მასწავლებლისთვის პროგრამის გავლას. მაგრამ რაღა გზა მქონდა, გადავსწყვიტე, ჩემი ძალ-ღონე არ დამეზოგა და რამე მაინც უნდა გამეკეთებია, რომ სირცხვილში არ ჩავარდნილიყავ ასეთი დიდი კაცის წინაშე, როგორც გაბრიელი იყო და არც დირექტორი გამეწბილებია: გურიის ყველა მასწავლებელში მე ამირჩია მასწავლებლად.

გაბრიელის (ბახვის) სკოლის დაპატრონება, თავის უწყების სკოლად მონათვლა განეზრახა გურიის სამღვდელოებას. ამისთვის დელეგაციაც კი გაეგზავნათ გაბრიელისთვის ქუთაისში, იმას ცივი უარი ეთქვა დელეგაციისთვის: „სასულიერო უწყებას ვერ მივაბარებ ჩემს სკოლას: ვიცი, კარგ ხელმძღვანელობას ვერ

გაუწევს იგი. ამ საქმისთვის სამოქალაქო უწყება უფრო მომზადებულია, შედარებით მეტი და კარგი პედაგოგები ყავს, მეტი საშუალებაც აქვთ და ამიტომ ჯობია ამ უწყებას უნდა ჩავაბაროთო".

ქუთაისს სწავლისას გაბრიელმა დირექტორის გამოგზავნილი მოზრდილი ამანათი გადმომცა. ამ ამანათში კარგა ბლომათ წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების გარდა აღმოჩნდა სკოლის პროგრამა, რომელშიაც შედიოდა, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: გეომეტრიული სხეულების განხილვა, თვალსაჩინო სწავლა, სამშობლოს შესწავლა და მოკლე ცნობები მსოფლიოზე.

ჩემდა საბედნიეროდ, იმ წლის ზამთარი ერთი იმ ზამთართაგანი გამოდგა, რომელიც გურიაში ხშირია: მისი ამინდი თბილისს და წყნარ გაზაფხულის ამინდებს წააგავს და ზოგჯერ მცენარეებიც კი აყვავდებიან ხოლმე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჩემს მეცადინეობას, ბევრ დაბრკოლებას ამაცდინა: სკოლის კარები და ფანჯრები მეცადინეობის დროს ყოველთვის ღია იყო, მაგრამ სიცივეს ნახევრად შიშველი ბავშვები მაინც არ გრძნობდნენ. თებერვლის ბოლო რიცხვებში პირველი ჯგუფის მოწაფეთა დიდმა უმეტესობამ ქართული წერა-კითხვა იცოდა, დანარჩენები რუსული კითხვის დროსაც შეისრულებდნენ, რაც აკლდათ.

რუსულ კითხვას შედარებითი მეთოდის საშუალებით ვასწავლიდი: ვსწერდი ქართულად კლასის დაფაზე სიტყვებს და წინადადებებს სტამბური ხელით და იქვე თითოეულ ქართულ ასოს მივუწერდით ქვეშიდან რუსულ ნაბეჭდის მსგავს ასოებს. ამ ასოებს ადარებდნენ ერთმანეთს მოწაფეები, თვითონაც სწერდნენ და ამრიგად, რუსულ წერა-კითხვასაც სწავლობდნენ და ქართულსაც იმეორებდნენ.

მაისში დირექტორი მესტუმრა, თუმცა თვიურ ანგარიშს ყოველთვის დაწვრილებით ვსწერდი სკოლის შესახებ, მაგრამ გაუკვირდა, როცა თავის თვალით ნახა ამოდენა ბავშვი და სკოლის მდგომარეობის ცოდნა-ხულობა, გაუკვირდა ისიც, რაც იცოდენ ბავშვებმა და მირჩია, მომავალ აკადემიურ წელში ახალი მოწაფეები არ მიმეღო, მიღებულებისთვის იმავე განყოფილებაში მესწავლებია, რადგან, თუ ეს განყოფილებები კარგად არ იქნებოდენ მომზადებული, სკოლა ყოველთვის სუსტი დარჩებოდა. ამასთან დასძინა: — მიმართეთ ეპისკოპოსს, რომ მან მალე ინებოს მეორე მასწავლებლის დანიშვნა და აუხსენით: ასეთ მრავალრიცხოვან სკოლაში საეჭვოა, რომ ერთი მასწავლებლის სწავლებამ რამე ნაყოფი გამოიღოს".

ს. ბახვი, 1928 წელი

არქიმანდრიტი გრიგოლ ჩხაიძე

გრიგოლ ბესარიონის ძე ჩხაიძე, ჯრუჭის მოასტრის არქიმანდრიტი, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომი გახლდათ. მას, როგორც წმინდა ეპისკოპოსთან დაახლოებულ პიროვნებას, რამდენჯერმე იხსენიებს მელიტონ კელენჯერიძე თავის წიგნში „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა". ერთგან იგი მოხსენიებულია როგორც გაბრიელ ეპისკოპოსის „პირველი მესაიდუმლე, მოძღვარი და ეკონომი". ფაქტია, რომ მამა გრიგოლი გაბრიელ ეპისკოპოსთან დაახლოებული პირი იყო. თავიდან ის კაცხის მონასტერში მოღვაწეობდა, შემდეგ ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი გახდა. 1912 წლის დასაწყისში გარდაიცვალა ქუთაისის საავადმყოფოში. ინფორმაცია ამის შესახებ მოთავსებულია გაზეთ „შინაური საქმეების" 1912 წლის მეექვსე ნომერში: „ამ თებერვლის თვეში ქალაქ ქუთაისის საავადმყოფოში

გარდაიცვალა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გრიგოლი. გვამი გელათში დაკრძალეს... ახლადგარდაცვლილი... ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსს გაბრიელს მსახურობდა როგორც ეკონომოსი.

არქიმანდრიტ გრიგოლის თორმეტი დედმამიშვილიდან რვა სასულიერო პირი ყოფილა. მათგან აღსანიშნავია მღვდლის, სერაპიონ ჩხაიძის მოღვაწეობა, რომელიც აფხაზეთის სოფელ ჯგერდაში ჯერ მედავითნე, შემდეგ კი მღვდელი ყოფილა. სასულიერო პირი გამხდარა გრიგოლისა და სერაპიონის ძმიშვილი არტემ შევარდენის ძე ჩხაიძე, რომელიც 1907-1909 წლებში სოფელ ბახვში დასახლებულა. როგორც ჩანს, ერთი ოჯახის წიაღში აღზრდილი პიროვნებები შემდგომში გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმით გახდნენ სასულიერო პირები და მის გვერდით მოღვაწეობდნენ. მამა არტემი სხვადასხვა დროს აცანის, ოქროსქედის, ბოლოს კი სურამის, იტრიის ეკლესიაში მსხურობდა და 1941 წელს სწორედ აქ დააპატიმრეს და 80 წლისა მეტეხის ციხეში ჩასვეს. ციხიდან გამოსულმა ვერ გაუძლო შვილის, შალვას გარდაცვალების ამბავს და გარდაიცვალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენის დასაცავად

1890 წლის 21 ნოემბერს იაკობ გოგებაშვილის წარდგინებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", რომელსაც ამ დროს წმინდა ილია მართალი თავმჯდომარეობდა, გაბრიელი ქართველ ხალხში განათლების შეტანის საქმეში დიდი დამსახურების გამო თავის საპატიო წევრად აირჩია. მღვდელმთავრის დამსახურებებს შორის ჩამოთვლილი იყო: ორკლასიანი კეთილმოწყობილი სკოლის დაარსება საკუთარი ხარჯით სოფელ ბახვში, სამრევლო სკოლების გახსნა იმერეთში, ყველასთვის გასაგები ენით წარმოთქმული ქადაგებები, რომელთაც ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდათ ხალხის სარწმუნოების საკითხებში გაცნობიერებისათვის და ბოლოს, ფულადი დახმარება, რომელსაც იგი ამ საზოგადოებას უწევდა.

იმ სიყვარულსა და მადლიერებასთან ერთად, რომელსაც ეპისკოპოსი ხალხისგან გრძნობდა, ხშირად მას მწარე შეურაცხყოფაც უგემია და ცილისწამებითაც სტკენია გული. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1875 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს გელათისა და ქუთაისის ეკლესიების სიძველეთა მოპარვა დააბრალეს და, რაც განსაკუთრებით ცინიკურად ჟღერს, ამ საქმის გამოსაძიებლად კომისიებიც კი შექმნეს. მაგრამ წმინდა მღვდელმთავარი ასეთ ამბებსაც ისე ხვდებოდა, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს შეშვენის — ცილისმწამებლებსა და შეურაცხმყოფელებს ისეთი დიდსულოვნებით პასუ-

ხობდა, რომ ბევრ მათგანში სინდისის ქენჯნა გაალვიძა და ამით მათი სულები საუკუნო წარწყმედისაგან იხსნა. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, რომელთა სულსა და გონებაზე წმინდა გაბრიელის კეთილშობილური საქციელი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა.

ხონელის უზნეო საქციელი ქართველ ინტელიგენციას შეუმჩნეველი არ დარჩენია. მას პასუხი ილია ჭავჭავაძემ გასცა გაზეთ „ივერიაში". საინტერესოა, რომ ძმებმა ბახტაძეებმა ცილისწამებათა დაკანონება მრავალი წლის შემდეგაც სცადეს და მსგავსი წერილი 1916 წელს ჟურნალ „ცხოვრების" მე-17 და მე-18 ნომრებშიც გამოაქვეყნეს.

საბედნიეროდ, ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც ამის გამო არა მხოლოდ წერილის ავტორები, არამედ ჟურნალი „ცხოვრებაცა" და მისი რედაქტორიც შერისხა. ჟურნალ „ცხოვრების" რედაქტორი რომანოზ ფარცხავა ლუკა ბახტაძისადმი მიწერილ წერილში წერდა: „საშინელი შედეგი იქონია შენმა წერილმა გაბრიელზე. ვინც კი იწერდა „ცხოვრებას", ყველამ უკან გამომიბრუნა, არა, ჩვენ ოჯახში ამისთანა ჟურნალს ვერ შევიტანთო".

ცალკე აღნიშვნის ღირსია წმინდა მღვდელმთავრის ღვაწლი ქართული ენის უფლებათა დაცვის საქმეში. 1876 წელს წმინდა გაბრიელმა სასულიერო პირისათვის შესაფერისი თავშეკავებითა და სიდინჯით ამხილა გადაგვარებული ქართველის, გიორგი მუხრანსკის თეორია იმის თაობაზე, რომ პატარა ხალხის, ე. ი. ქართველობის დიდ ხალხში ათქვეფა ისტორიულ კანონზომიერებასა და აუცილებლობას წარმოადგენდა. ამგვარი ათქვეფა, ცხადია, პატარა ხალხების ენათა გაქრობასაც გულისხმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანსკის საწინააღმდეგოდ წმინდა გაბრიელი წერდა: „ქართველის და სომხის ენანი თუმცა მცირე ხალხების ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, საღმრთო წერილი, წმინდა მამათა წერილნი ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის. მათ აქვთ ორი ათას წელზე მეტი ისტორია. ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით, აქვთ მათ ყოველი ელემენტი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისთვის მათი ენის განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია“.

ხოლო კავკასიის ოლქის განათლების საქმეთა მზრუნველის იანოვსკისა და მისთა მსგავსთა საპასუხოდ, რომლებიც სკოლებიდან ქართული ენის სრულ განდევნას ცდილობდნენ, ამტკიცებდა, რომ ბავშვმა ცოდნა არა მხოლოდ დაბალ კლასებში, არამედ გიმნაზიაშიც აუცილებლად მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს. მისი ღრმა რწმენით, მშობლიურ ენაზე, უპირველესად, სწორედ საღმრთო სჯული უნდა ისწავლებოდეს, რისი შთამაგონებელი მაგალითიც თავად მაცხოვარმა მოგვცა. უფალმა თავის მოწაფეებს სხვადასხვა ხალხთან საქადაგებლად მხოლოდ მაშინ მოუწოდა, როცა მათ ამ ხალხის ენაზე მეტყველების უნარი უბოძა. ასე რომ, როგორც წმინდა ილია მართალი წერდა, წმინდა გაბრიელი „ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად“.

ასევე დიდი უთანხმოება ჰქონდა გაბრიელს ეროვნულ ნიადაგზე ეგზარქოს ევსევისთანაც, რაც შემდგომში განხეთქილებამდეც მისულა. ზემდგომ დაწესებულებებსა და პიროვნებებთან ამგვარ დაპირისპირებას ხშირად მათი გულისწყრომაც მოჰყვებოდა ხოლმე. დროდადრო გაბრიელზე საიდუმლო მეთვალყურეობაც

ყოფილა დაწესებული, რადგანაც ის მთავრობისათვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი თ. გიორგი კონსტანტინეს ძისა ბუ-ხრან-ბატონის მიმართ

„მოწყალეო ბატონო კნიაზო გიორგი!

შენი წიგნი კვ-სა ოქტომრიდან მე გვიან მივიღე, რადგან შეცდომით ადრესი გურიის ეპისკოპოსთან დაგეწერა, მაგრამ პირი მისი კარგა ხანია წამიკითხა კ-ზ გრ. დადიანმა. ამ შენმა წიგნმა, კარგი ქართული ენით დაწერილმა, გაამტყუნა ზოგიერთნი შენი ბროშურის წამკითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: უთუოთ მან თვითონაც კარგათ არ იცისო ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სხვათა შორის უწინასწარმეტყველა მოსპობა და გაქარვება. მე კი აქვე ბოდიში უნდა მოგიხადო, რომ ეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წიგნი. ამასაც დავუმატებ: პასუხის წერას შევუდექი არა უსარგებლო ცილობის და ამაო თავისმოყვარეობისა გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ამ ჩვენი ურთიერთ შორის ბაასით ჭეშმარიტება აიხსნას უმჯობესად. მე მაქვს სახეში, ვის ვწერ ამ წიგნს. ვიცი წინათვე, რომ ის მაღლად განათლებული პირი, რომელსაც ამ წიგნს ვწერ, საწყენად არ მიიღებს ჩემს წერილს, თუმცა-ღა იგი არ ეთანხმება მის აზრებს. მაღალს და ვრცელს მნიშვნელობას აძლევ ენას, როდესაც იტყვი: „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოთ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“. სხვა ვისმესთან, არა ისე განათლებულთან და ლოღიკის მცოდნესთან, რომ მქონდეს ბაასი აქ, მე ამ სახით ვუპასუხებდი: თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისათვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შე-

კეთებას, გავრცელებას, დამარხვას და არა დაკარგვას
და აქვე მოვიყვანდი სამლთო წიგნისაგან ამ სიტყვებს:
„რა სარგებელი არის შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველი
და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად
სულისა მისისა?“ მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე
შენთან არ გამივა. შენ მაშინვე სიტყვას გამიწყვეტ და
მიპასუხებ: „თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ
მცირე ხალხის ენა მოისპოს და დიდი ხალხის გავრცელ-
დეს, რაც გინდა იწუხოს და იზრუნოს პირველმა, ბუნება
მის წესზედ ვერ გადავა“. მართლა, თუ ის აზრი, რო-
მელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში — ბუნების კანონი
არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა
და ლაპარაკი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი,
სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია
— მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ
შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება)
არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ
მარტო ლოლიკური თეორიით, მართალია ღრმათ მო-
საზრებული და ღონივრად გამოთქმული თეორიით,
მაგრამ მაინც თეორიით. იმ შენი თეორიის თავსაკი-
დური აზრი ეს არის: „სახელმწიფო არის და უნდა იყოს
ერთი ორგანიზმი, ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა
ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა, მაშასადამე, ერთი
ენა უნდა იყოს სახელმწიფოში; წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში, სახელმწიფო არ იქნება მაღალი და მკვიდრი. ეს
აზრი თეორეტიკულია, შედარებით ანუ დამსგავსებით
შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო ორგანიზმი
არის, მაგრამ ასო-ასოდ არ მიიღება ეს დამსგავსება.
მართლა, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა გან-
ყოფილთა ორგანიზმთა, ესე იგი ადამიანთა. რაც გინ-
და მჭიდროთ და მაგრათ იყვნენ იგინი შეერთებულნი
ასო-ასოდ, ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა,

გამოცდილება ამტკიცებს თუ არა ამ შენ თეორიას? შენ ჩემზე უკეთ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა; ესე იგი, ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წიგნში კი მოიყვან რომელთამე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა (იმათ განვიხილავ ქვემოდ), მაგრამ ბროშურაში ფაქტები არ მოგყავს; მხოლოდ ამბობ: ისტორიული განხილვა მეორე ნაწილში იქნებაო. თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერაოდეს ვერ ახსნის მრავალ-ფეროვანსა, მრავალ კერძოსა, დაუცხრომელად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივს ისტორიულ ცხოვრებასა. ახლა გადავალ იმ ფაქტების განხილვასაზედა, რომელთა შენ მოიყვან წიგნში. მაგრამ წინაპირველად ჩემი მხრით მოვიყვან აქ ერთ შესანიშნავს, საზოგადო ფაქტს: დედამიწის ზურგზე, დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და ახლაც ჩვენ დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით: ყოველ დიდ-დიდ სახელმწიფოში ყოველთვინ და ყოველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილ-წვრილნი ენები: გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია, არც დაუსუსტებია. შენს წიგნში მოყვანილი ფაქტები, ჩემი შეხედვით, არ ამტკიცებენ შენი ბროშურის თეორიას, არამედ იმის წინააღმდეგს. შვეიცარიას უჩვენებთ და იტყვით, რომ აქ სამი ენა არისო, და ამისთვის აქ ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო. შვეიცარია დიაღ მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთვლი? ნუ თუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწი-

ფო და რესპუბლიკა — არა? ვგონებ შვეიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, ავსტრია, რომელსაც შენ მოიყვანდ-დგომ შვეიცარიისა მაგალითად, თითქოს შენს აზრს ამართლებს. ავსტრიაში სამი თესლი, ანუ ენაა: ნემეცური, მადიარული, სლავიანური ერთმანეთში უთანხმოდ და სიძულილით სცხოვრებენ; მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ შვაში არის, არამედ სხვანი ისტორიულნი მიზეზნი და გარემოებანი. ზემოხსენებულნი სამნი თესლნი მახლობელ დროებაში შეადგენდნენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა. მერმე ხელოვნებით, და არა ბუნებითის წესით, იქმნენ შეერთებულნი ერთ ხელმწიფის ქვეშე. საუბედუროდ მათდა, მართებლობა სწორი სამართლით არ ეპყრობა ყოველ თესლებს: ნემცები და მადიარები ავიწროებდნენ ჩეხებს და სხვა სლავიანებთა; ბოლოს ერთმანეთშიც აქვთ შური და ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა (გეგემონია), ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი.

ისტორია, მართალია, იხსენებს მრავალთა თესლთა და ენებთა, რომელნი თითქმის განქარდნენ ისტორიულ ასპარეზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტერებისაგან შევიწროება, იძულება, ამოწყვეტა! თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებ შენ ისტორიულ კანონად და წესად, მაშინ წინააღმდეგს ვერავინ დაგიმტკიცებს. ამ სახით მოისპო გალლების თესლი და ენა, რომელსაც შენ ახსენებ წიგნში. გალლების ნახევარი ამოწყვიტეს და დაფანტეს რომაელებმა, ნახევარი — ფრანგებმა; მაგრამ ამბობენ, რომ ფრანციაში, ესე იგი, ნორმანდიის პროვინციაში ახლაც არიან ნაშთნი მათის თესლისა (კელტები), რომელთაც ენაც აქვთ შენახული მათი

ძველი. რადგანაც ფრანციას შეეხო სიტყვა, აჰა ერთი შესანიშნავი ჩვენი საგანის ასახსნელად ფაქტი: სუველანი ამბობენ, რომ ფრანციასთანა ერთ-გვარეანი და ერთ-ენოვანი საახელმწიფო არ არისო ევროპაში; მაგრამ აქაც, სამხრეთის კერძო, ისპანიის საზღვრებთან ახლაც ცხოვრობს ერთი ძველი იბერეთის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველს ენას ხმარობს, ასე, რომ სასამართლოებში მათ ფრანციული მეთარგმანე უნდებათ. გაშინჯე, რომ ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ველური, ძველი ენა, რომელსა ხმარობს ერთი მუჭა ხალხი ორიათასი წლის განმავლობაში! რასაც შენ ამბობ მეორე ნაწილში შენის ბროშურისა იმაზედ, რომ მცირე ხალხისათვის მოუცილებელი საჭიროება და სარგებლობა არისო შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენით მიღება განათლებისა — ეს ყოველი დიაღ პატიოსანი და ჭეშმარიტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონიც არის. ბუნებაში ყოველიფერი სუსტი და მცირე ეძიებს შეერთებას და განძლიერებას ულონიერესის და უძლიერესის შემწეობით; სხვა საბუთი და დამტკიცება რომ არ იყოს ამ აზრისა, მარტო ჩვენ ქართველთა მაგალითი და გარემოება ცხად-ჰყოფს ამას. ჩვენი ხალხი და ქვეყანა რომ არ შესულიყო ძლიერი რუსეთის ხელმწიფის ხელში, ახლა ჩვენ შთანთქმულ ვიქნებოდით მაჰმადიანობის სიბნელეში. ამის წინააღმდეგს ვინ იტყვის, გარდა ჭკუით დაბნელებულისა? და თუ მართლა ბუნებას ისეთი წესი და კანონი აქვს ღვთისაგან მიცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთანთქმულ იქნეს დიდი ხალხისაგან, კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმან არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებისა და ყიზილბაშებისა, წყეულთა და შეჩვენებულთა (იმათ ეგოდენ სტანჯეს, აწვალეს და განრყვნეს

ჩვენი უბედურნი მამები, რომ შემენდება მათი დანყევლა!). დეე ისევე შთავინთქათ ვრცელ რუსეთის ზღვაში! მაგრამ არა! შეერთება სხვა არის და შთანთქმა-სხვა. ყოველისფერით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება, და არც არაფერს დააშავებს, ანუ დაუშლის ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავის ღარიბი ენის საშვალებით ვერ მიიღებს ცივილიზაციასო... განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიშალა შენ ქართული ენის ცოდნამ? დიდი განათლება მაინც მიგიღია რუსული, ფრანციული და სხვა ენების საშუალებით, და შენი ენაც არ დაგიკარგავს. ამ სახითვე იქცევიან ყოველნი პირნი, დიდი განათლების მეძიებელნი. ხალხის ხალხთან ერთობა მარტო ენით არ მოხდება, არც დაბრკოლდება; ამას გვიმტკიცებს ისტორია ცხადად. ენაზე უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრად ხალხთა და ტომთა: შინაგანი კაცის და ხალხის გრძნობა, აზრი, ხასიათი ენაზე უდიდესია; ენა არის მხოლოდ გამომთქმელი, გარეგანი სახე. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქს, და სუყველა ამაზე უდიდესი, გაუწყვეტელი კავშირი ხალხთა შორის, ჩემი აზრით, არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმეტესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის.

შენი ბროშურის აზრს, თუ უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით, ის ავნებს, რომ იგი არის გამოთქმული კატეგორიულად, ანუ აკსიომის მგზავსად, ე. ი. არა აქვს განსაზღვრება. აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოი-

პოვებიან ისინი. მართლა, პირველად მცირე ხალხები სხვა-და-სხვა ნაირი არიან. მათშიც დიდი განსხვავება არის. ჩვენც, ქართველნი და სომეხნი, მცირე ხალხნი ვართ ერთი მხრით; მეორე მხრით — აფხაზნი, ოსნი, ლეკნი ანუ, ვთქვათ, რუსეთში — მორდვა, ჩერემისი და სხვანი — მცირე ხალხნი არიან; მაგრამ ნუ თუ ორივე ამ ღრუპპა ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახებ მათი ენისა? მეორე ღრუპპის ენები არიან უკიდურესად მართლა ღარიბნი, მათი ენით არც ერთი განყენებული აზრი არ გამოითქმის; ანბანი და წიგნობრობა მათ არ აქვს, ლიტერატურა მით უმეტესად; თითქმის „მამაო ჩვენო“ ხეირიანად ვერ გადითარგმნება აფხაზურ ენაზე. ისტორიული თავის ცნობა მათ არ აქვთ, ერთი სიტყვით, არც ერთი ელემენტი არა აქვს მათ ენას მყოფობისა, ანუ არსებისა. ამისთანა ხალხებზე მარტო რომ გეთქვა ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცის გონებას მიღება მისი; მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენათა ზედაცა თუ გაავრცელეთ ის აზრი, მაშინ არავინ არ შეიწყნარებს მას. ქართველის და სომხების ენა თუმცა მცირე ხალხის ენები არის, მაგრამ არა ღარიბი; ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამლთო წერილი და მრავალნი წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია; ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით, აქვთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებისა და სიცოცხლისა, ამისთვის მათი განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისთვის, რომ შესაძლებელია და მრავალ გზის მომხდარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად, გადასვლა მისი ერთ გვაროვანის, მაგრამ განსხვავებულის დიდი ხალხის ენასთან; მაგა-

ლითებრ, მალოროსიული ენის დიდ როსიულ ენასთან, მეგრულ ენის ქართულთან და სხვა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და არა განქარვება. თვით პოლონური, ბოლღარული, ჩეხური, გალლიჩანური და სხვა ენა-ენა ვიანების ენები რომ გადაკეთდნენ რუსულ ენად, ესეც გასაკვირებელი არ იქნება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მოვლენაც ძვირად მოხდება. უფრო შესაძლებელია და უფრო ხშირად ამისი წინააღმდეგი მომხდარა, ე. ი. ერთი ძირი დედაენის მრავალ შტოებად განყოფა, გარნა ორი, სრულიად სხვა-და-სხვა გვარის ენა შეერთდეს, ანუ მცირე ხალხის სრულიად სხვა გვარის ენა რომ თავის-თავად, გარეშე ყოვლის იძულებისა განქარდეს და მის მაგიერად სრულიად სხვა გვარის ენა რომ მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ხალხი, ეს შეუძლებელია. მომეტებული ცენტრალიზაცია, როგორც ყოველგან მავნებელია, ისე ენებშიაც მომეტებული დეცენტრალიზაციაც არა არის კარგი; მაგრამ ისევ ეს სჯობია პირველს, ე. ი. ცენტრალიზაციას. ამისათვის მე ვგონებ, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხების სულ განქარდეს, და დიდი ხალხების დარჩეს. მესამე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისთვისა, რომ მცირე ხალხში ყოველნი დაწინავებულნი პირნი, თავად-აზნაურნი, სამღვდელონი ხშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ, და არა მთელი ხალხი მასსით. ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი, მაგალითებრ, დიღომი, ანუ კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება, სიცოცხლეს ატარებს თავის ოჯახში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით დაივიწყებს ის მის ენას? შკოლები მოაშლევინებენ მათ ენას? შკოლა სოფლისა ვერაოდეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაივიწყოს. სხვა არის, როდესაც ღიმნაზიაში, აკადემიაში,

უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებენ თავის ენას; მაგრამ ამისთანა მაღალი სასწავლებელი არაოდეს არ ყოფილა მთელი ხალხისათვის გახსნილი, არამედ ათასში ერთისთვის. მე მგონია, რომ რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული გაქვს დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამისათვის ნამეტანი ფიცხელი იდეალი (მლეთოტ) შეგიყენებია სახელმწიფო მკვიდრობაზე და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანდაზა, რომელსა ამბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე: pereat munlus, fiat justitia (ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ სამართალი კი აღსრულდეს). ქვეყანა თუ დაიქცა, სამართალი ვისთვის იქნება საჭირო. შენ ერთი მხრით ასე ამბობ: სუყველა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ (ოღონდ) სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავად არ ვიქნები ამის კითხვაზე, წაგიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფოსის დჟონ სტიუარტი მილლის თხზულება თავისუფლებაზე, მესამე თავი, სადაც ის უცხოდ ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობა, ესე იგი ყოველი საკუთარი, განმასხვავებელი თვისება, ხასიათი საჭირო არის ყოველ კაცის (მაშასადამე ხალხისათვის) კეთილ დგომისათვის და ბედნიერებისათვის? ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რაიმე მცირე მაინც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინაალმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე; როგორც რომ კარგ მუშა, მშრომელს

ოჯახს ეშვილოს ულონო ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს გარდა მისა, რომ ოჯახის ნაოფლარ პურს შესჭამს. მცირე ხალხი, მოკლებული თავისებურებანი იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალური ხასიათისა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვინაცა, როგორადაც კერძო პირი, არა მექონი პირადი თვით-მდგომარეობისა, ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ამ ჩვენ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერას ვგონებ შენ არ აძლევ არავითარსა პოლიტიკურ მნიშვნელობასა, ვითარცა მეც არ ვხედავ მას შინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასსა, ახლა ისეთი დრო დადგა, რომ თვით უბრალო მეგობრულ ლაპარაკში ეძიებენ ზოგიერთნი პირნი პოლიტიკურ განზრახვას, ამისთვის ჩავთვალე საჭიროდ ამისი თქმა. ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოვიხდი. გძელი წიგნით თავი მოგაწყინე; მაგრამ ისეთ საგანზე ვლაპარაკობ, რომელიც შენ გიყვარს და რომელზე ბაასი არ მოგეწყინება. ამისთვის გავბედე გძელი წიგნის მოწერა. უკაცრავად ვარ, აგრეთვე, რომ ცუდი ხელთ-ნაწერი არის ეს ჩემი წიგნი.

შენი ერთგული, კეთილის და სიმთელის მსურველი
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასაოცარი და საზარელი მკვლელობა

1885 წელს ვერაგულად მოკლეს გაბრიელის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი). ამ ფაქტის გამო მღვდელმთავარს ერთხანს სამშობლოდან წასვლაც კი გადაუწყვეტია, და ამ გადაწყვეტილების მიზეზი ისევ მშობელ ხალხზე ზრუნვა ყოფილა, რაც კარგად ჩანს სიტყვებში, რომელიც მან გაზეთ „დროების" კორესპონდენტს უთხრა: „მე ერთი ხნიერი კაცი ვარ, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე გაიმეტაო.

* * *

„მაისის რვას, დილით, ცხრა საათის ნახევარზე მოჰკლეს ესტატე სიმონის ძე მჭედლიძე, იმერეთის ეპარქიის კანცელარიის სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებელი. მჭედლიძეს ბინა ჰქონდა ფრანგების ეკლესიის სიახლოვეს, ქალაქს ქუთაისში. რვა მაისს, საათის რვაზე გამგზავრებულა მჭედლიძე კანცელიარიისკენ; როდესაც ახალ გაკეთებულ ხიდზე მისულა, იქ დაწევია კაცხის მონასტრის წინამძღვარს იღუმენს ნიკიფორეს; ამ იღუმენს თან ხლებია ერთი ბერი და ერთი დიაჩოქი და ყველა ერთად წასულან კანცელარიისკენ. როდესაც მიახლობიან ეპარქიის კანცელარიას სამოც საჟენზე, უკანიდან მიმავალი ცხენოსანი მიახლოვებია

მჭედლიძეს და რევოლვერი დაუმიზნებია ბეჭებში და კიდეც დაუცია. რევოლვერის გავარდნა და ამ ცხენოსნისგან ცხენის გაჭენება წინ — ერთი ყოფილა. ცხენოსანი გაქცეულა აგურის ქარხნებისკენ. ... ასავალ-დასავალი დღესაც დაკარგულია. საწყალი ესტატე მჭედლიძე კანცელარიის სიახლოვეს დეკანოზის გიგაუროვის სახლში შეიყვანეს სისხლში გასვრილი; მაშინვე მოიყვანეს ექიმები, მაგრამ ვერაფერი საშუალება ვერ აღმოუჩინეს. ტყვია ბეჭებში მოხვედრილი მკერდში გამოვარდა და, როგორც ეტყობოდა, ფილტვები იყო გახვრეტილი. პირველად მჭედლიძეს თითქმის გრძნობა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ბოლოს ცოტა აზრში მოვიდა. იცოცხლა სულ რამდენიმე საათი.

ე. მჭედლიძე იყო ერთი ღარიბი მღვდლის შვილი სვირის სოფლიდამ. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გათავებისა, ის შევიდა თბილისის სემინარიაში, მაგრამ სემინარიის მეოთხე კურსიდან გამოვიდა; იმას სურდა სამთო ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ საჭირო იყო ატესტატი აეღო გიმნაზიის კურსის ცოდნისა და მოწიფულობისა. თუმცა ბევრი ეცადა საწყალი, მაგრამ ვერ დაიჭირა ეკზამენი და ვერ მიიღო ეს ატესტატი. ბოლოს, დაანება თავი სამთო ინსტიტუტში შესვლას და განიზრახა შესვლა ტექნიკურ სასწავლებელში. წავიდა კიდეც მოსკოვში და თითქმის ორი წელიწადი ემზადებოდა ეკზამენის დასაჭერად, მაგრამ საცოდავი ვერც ამ სასწავლებელში შევიდა. დაბრუნდა მოსკოვიდამ და კარგა ხანი უსაქმოთ იყო. ბოლოს, სააზნაურო სკოლაში მიიღეს და თითქმის საქმე ისე მოირთო, რომ უნდა დამტკიცებულიყო, და ამიტომ უადგილოთ დარჩა.

ამ დროებაში ესტატე მჭედლიძე მიიქცა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის სეკრეტარ განსვენებულ თეიმურაზ ლეჟავასთან. ამას ძლიერ შეებრალა მჭედ-

ლიძე და ურჩია, თხოვნა შეეტანა მის თანაშემწეობაზე ეპისკოპოსთან და ასეც მოხდა. ის დაინიშნა საეპარქიო კანცელარიის სეკრეტარის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ ლეჟავას გარდაცვალებისა ის დაინიშნა ამ ხსენებული კანცელარიის სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებლად.

განსვენებულს არ აკლდა ნიჭი და ენერგია სამსახურისა, მაგრამ ასე უდროოდ მოუსპო საწყალს სიცოცხლე ბოროტმა სულმა რვა მაისს.

განსვენებულს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. დაბადებიდამ იყო 32 წლისა.

ე. მჭედლიძე იღებდა მონაწილეობას მწერლობით „შრომის“ და „დროების“ რედაქციებში. „დროებამ“ ამ წლის 98-ე ნომერში გამოაცხადა, რომ „ბოსლეველის“ და „გარეშე მაყურებლის“ ფსევდონიმები ეკუთვნოდა ე. მჭედლიძესო.

„ჭირისუფლებმა განსვენებული თავის სოფელში წაასვენეს, სადაც ექმნებოდათ, ადგილობრივ ჩვეულებისამებრ, ტირილი და დაასაფლავებდენ სვირის ეკლესიაზე.

ამისთანა ურიცხვი, შეუპოვარი და საზიზღარი მკვლელობა, ვგონებ, არ მომხდარა ჯერეთ მთელს საქართველოში და ყველანი დაიმედებულნი არიან, რომ მართლმსაჯულებას არ გაუსხლტება ხელიდამ ეს მკვლელი“.

„მწყემსი“, 1885, 10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ

1888 წელს საქართველოს, უფრო ზუსტად კი, იმხანად, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის პროვინციებს — თბილისისა და იმერეთის გუბერნიებს — იმპერატორი ალექსანდრე მესამე ეწვია. თბილისში პომპეზური დახვედრის შემდეგ იმპერატორი ქუთაისში ჩავიდა. „პროტოკოლი" საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვაზე დასწრებასაც ითვალისწინებდა. შეაბიჯა ალექსანდრე მესამემ ტაძარში და ამბიონისკენ გაემართა. „შესდექ, ხელმწიფევ!" — მიმართა მისკენ მიმავალ იმპერატორს ამბიონზე მდგარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა. ხელმწიფე წამით შეყოვნდა, შემდეგ კვლავ დაიძრა, მაგრამ ეპისკოპოსის სიტყვებმა კვლავ შეაჩერა: „ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, სხვა ყურადღებისა და ზრუნვის ღირსია და სხვა მოპყრობას იმსახურებს, ვიდრე იმას, რომელსაც ადგილი აქვს". ამ სიტყვებმა ისე გაუფუჭა გუნება ალექსანდრე მესამეს, რომ მისი ხასიათზე მოყვანა საღამოს გამართულ ნადიმზეც ველარ შეძლეს მოლხენის იქაურმა დიდოსტატებმა.

წმინდა მღვდელმთავარი ქადაგებებში ყოველთვის უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ერთხელ ქუთაისის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ბატონყმობა დაგმო. ამ ამბით განაწყენებულმა თავადაზნაურობამ შუა ქადაგების დროს ეკლესია დატოვა. ისინი ტაძრის ეზოში გავიდნენ

და საკმაოდ მძაფრად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ერთი მდიდარი აზნაური, გვარად კანდელაკი, იქამდე მივიდა, რომ ხმალი იშიშვლა, ტაძრის [illegible] დადგა და გაიძახოდა: ამ ლეკურით [illegible] დაღუპვის მოსურნესო. ვერა და ვერ დაამშვიდეს. უბედურება რომ აერიდებინათ, წირვის დასრულების შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსთან მივიდნენ და სთხოვეს: გარეთ კანდელაკი დგას და მოკვლას გიპირებთ, იქნებ ცოტა ხნით ტაძარში შეყოვნდეთ, სანამ ბრაზი გადაუვლისო. ეპისკოპოსი წამითაც არ შეყოვნებულა, მაშინვე გასასვლელისკენ გაემართა და მშვიდად ჩაუარა ხმალამოწვდილ კანდელაკს, რომელსაც აღმართული მახვილი ხელში შეაცივდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი ქართული გალობის სამსახურში

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამღვდელო და სამღვდელმთავრო მოღვაწეობის ხანა იმ წლებს ემთხვევა, რომელიც ერთობ მნიშვნელოვანი იყო ქართული გალობის, როგორც ეროვნული ფენომენის, შენარჩუნების საქმეში.

როგორც უკვე მოგითხრეთ, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი იზრდებოდა მღვდლის ოჯახში, სადაც სხვებთან ერთად სწავლობდა წერა-კითხვას, ხუცურს, გალობას და სხვადასხვა საეკლესიო წესს. გაბრიელის მამა, მღვდელი მაქსიმე ქიქოძე იყო მოძღვარი გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელისა, რომელიც განთქმული ყოფილა როგორც გალობის დიდი მოამაგე და დამფასებელი. ამიტომ, ბუნებრივია, მისი კარის მოძღვარი საეკლესიო გალობის კილოების ზედმიწევნით მცოდნე იყო.

ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ხალხური კულტურა უკვე გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა. ამ კულტურის მთელი სისრულით მტვირთველი უხუცესები კი თანდათან აკლდებოდნენ წუთისოფელს. დადგა პერიოდი, როდესაც იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის მიერ იდევნებოდა ეროვნული ნიშან-თვისებები, რის შედეგად ქართული საეკლესიო გალობაც ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ხელოვნურად შეამცირეს ეპარქიათა რიცხვი. გაუქმდა

სამღვდელმთავრო გუნდები. სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში აიკრძალა ქართული გალობა. თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეთა ერთ-ერთი გახმაურებული გაფიცვის მიზეზიც ის იყო, რომ რექტორმა მათ ურჩია, სლავური პარტიტურის ნოტების ქვეშ ქართული სიტყვები მიეწერათ და ისე ეგალობათ, ხოლო ქართული გალობა, როგორც არაჰარმონიული, დაევიწყებინათ. ერთადერთი რგოლი, რომელიც ამ უნიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნებას ცდილობდა, სასულიერო პირთა ოჯახები და ცალკეული მგალობელ-მომღერლებიღა იყვნენ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.), ზეპირგადმოცემის ტრადიციის სირთულიდან გამომდინარე, ქართული გალობა გაქრობის საფრთხის წინაშე დგებოდა. ეგზარქოსებს სურდათ, წირვა-ლოცვის დროს სლავური საგალობლები ეგალობათ. ღვთის განგებით, სწორედ ასეთ გადამწყვეტ და რთულ პერიოდს დაემთხვა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის მსახურება და მოღვაწეობა.

„ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი", რომელიც 1860 წელს თბილისში შეიქმნა, საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებას ისახავდა მიზნად. კომიტეტში წლების მანძილზე გადაუწყვეტლად რჩებოდა ის საკითხი, თუ უპირველესად რომელი კუთხის საგალობლები უნდა დაეფიქსირებინათ — იმერულ-გურული თუ ქართლ-კახური. ამ საკითხზე დავამ დიდხანს გასტანა. ვიდრე ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ (ოქროპირიძე) არ შემოიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფდა ქართლ-კახური კილოს საგალობლების ნოტებზე გადატანას. ხოლო რაც შეეხება იმერულ-გურული კილოს საგალობლებს, მათზე ზრუნვას ეპიკოპოსი იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებას სთავაზობდა.

ეს შეთავაზება გაბრიელ ეპისკოპოსს 1884 წლის 17-18 ნოემბრის კრებაზე წარუდგენია სამღვდელოებისათვის. გაბრიელ ეპისკოპოსმა ბრძანა: „მოიფიქრეთ ამ საგანზედ კარგად და დანიშნეთ კომიტეტი, რომ ამ საქმეს წაუძღვეს და ყველასთვის საგულის-გულო საქმე აღსრულდეს“. მცირე ხნის სჯა-ბაასის შემდეგ ქალაქ ქუთაისში ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომლის თავმჯდომარედაც მღვდელი დავით ღამბაშიძე დაინიშნა. კომიტეტი ექვსი წევრისგან შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის პირველი სხდომა 1885 წლის 30 იანვარს ჩატარებულა. მცირე ხნით ადრე ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორმა დავით ღამბაშიძემ თბილისში ინახულა ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ევროპაში მიღებული ჰქონდა ბრწყინვალე მუსიკალური განათლება და ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საკითხისადმი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის დაინტერესება შეატყობინა. ამ საქმის თავადაც დიდად მოსურნე ფილიმონმა წერილით მიმართა ეპისკოპოსს და ქუთაისში ჩასვლისა და იქ საქმიანობის ნებართვა ითხოვა. წერილმა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად გაახარა და მაშინვე მისწერა ფილიმონს: „დიდად მოხარული ვიქნები, პირიქით, იმ დროისთვის, ბევრ გამოჩენილ პირსაც დავისწრებო“.

ფილიმონ ქორიძე ქუთაისში საკუთარ გუნდთან ერთად ჩასულა და წირვაზე უგალობია. ქორიძეს ეპისკოპოსმა გაბრიელმა ცნობილი მგალობლები დაახვედრა: ჯაბა და ტელემაკ გურიელები, ანტონ და დავით დუმბაძეები, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე (გურიიდან); დიმიტრი ჭალაგანიძე (მარტვილიდან); ნიკო მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, რაჟდენ ხუნდაძე, ტარასი ტყეშელაშვილი, ივლიანე შოთაძე,

დეკანოზი ვასილ ქუთათელაძე (ხონიდან). გაბრიელ ეპისკოპოსს საქები და სადიდებელი სიტყვები მოუხსენებიათ ფილიმონისთვის: „გმადლობთ ჩვენს დიდ მოთავე ქართველებს, რომლებმაც ჩვენ ნიჭიერ ერის შვილს, ფილიმონს დახმარება გაუწიეს და უცხო ქვეყნებით სწავლა დაასრულებიეს, და მერე მობრუნდა თავის საყვარელ ქვეყანაში. მათი სწავლა-განათლება ჩვენს ხალხსა და ერს ძღვნად მოუტანა. ჩვენი ხალხის სიმღერა-გალობას მძლავრის ხმით დასძახა: „აწი უნდა აღსდგეო, და ჩვენი ხმათა სიშვენიერე და სიდიადე სხვათა სამეფოთა შორის უნდა იდიდებოდეს“.

წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელის თხოვნით, 1884 წლის მარტის პირველ რიცხვში ქუთაისში გაიმართა სასულიერო კონცერტი: გაბრიელ ეპისკოპოსს სურდა, ფილიმონის ნამუშევარს გასცნობოდა, რათა უფრო იმედიანად მიენდო მისთვის გალობის ნოტებზე ჩაწერის საქმე. კონცერტი წარმატებული გამოდგა. საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია იმ ფაქტს, რომ ქართული გალობა-სიმღერის ნოტებზე ჩაწერა შესაძლებელია.

ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ დაეწყოთ გურიასა და იმერეთში მცოდნე მგალობლებისაგან საგალობლების ნოტებზე ჩაწერა.

ეპისკოპოს გაბრიელის შეწევნითა და ლოცვა-კურთხევით ქართული გალობის ნოტებზე გადაღების სამუშაოების შესასრულებლად 4000 მანეთი შეუკრებიათ. ფილიმონ ქორიძემ ნოტებზე გადაიღო ბასილი დიდისა და იოანე ოქრიპირის წირვის საგალობლები. სულ ჩაიწერეს 400 საგალობელი, რომელიც კომიტეტმა შეამოწმა და მოიწონა.ნოტებზე გადაღებული გალობა ორჯერ იგალობეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელ მარტვილში — პეტრეპავლო-

ბას. გახარებული სამღვდელოება მადლობას უძღვნიდა ამ საქმის მოთავეებს: „პირველად ქება და დიდება იმას ეკუთვნის, ვინც გამოიწვია სამღვდელოება ამ კეთილ საქმისათვის, ე.ი. ყოვლადუსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა". მართლაც, წმინდა გაბრიელის ღვაწლითა და იმერეთის სასულიერო პირთა თანადგომით აღესრულა ის საშვილიშვილო საქმე, რისი წყალობითაც ჩვენამდე მოაღწია საეკლესიო მუსიკის ასეულობით უნიკალურმა ნიმუშმა.

„იშვიათია, რომ ამ საუკუნის მეორე ნახევარში იმოდენა ღვაწლი შეეტანოს კაცობრიობის სარწმუნოების, განათლებისა და ზნეობის სალაროში, რამდენიც ყოვლადუსამღვდელოეს გაბრიელს", — აღნიშნავდა დეკანოზი ერმალო კანდელაკი.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის უდიდესი დამსახურებაა ამ საშვილიშვილო საქმის მტკიცე საფუძველზე დამყარება, რომელიც შემდგომ წარმატებით გააგრძელეს წმინდა ექვთიმე კერესელიძემ, მაქსიმე შარაძემ, ფილიმონ ქორიძემ და დეკანოზმა რაჟდენ ხუნდაძემ.

ქართული გალობის მოყვარულები ლოცვით მოვიხსენებთ წმინდა მღვდელთმთავრის სახელს და მეოხებას გამოვითხოვთ ამ დიდი საქმის შემდგომი აღდგინებისა და წარმატებისათვის.

გაზეთი „ქართული გალობა", 2, 2006 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის მომოწერა

წინამძღვარს ათონის ახალ-ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანის მონასტრისას

გაძლევ თქვენ ცნობას ჯეროვანის თქვენის მხრით განკარგულებისათვის, რომელ წარმოდგენილი თქვენ მიერ 5 წარსულის სექტემბრიდან მცირე სქემონაზონი დოსითე ჩემ მიერ აღკვეცილ არს იეროდიაკვნად 25 გავლილს სეკტემბერს, ხოლო მღვდელ-მონაზვნად 2 ამა ოკტომბერს, რომელსაც ვგზავნი ზემო ხსენებულს მონასტერშიდ

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა,
1894 წ. 3 ოკტომბერი

თავნაკლული წერილი ბენედიქტე წინამძღვართან

„...უსამართლოება ბერძენთა ვერ იდღესასწაულებს — ეს კი არის, რომ ნამეტან ბეური ითხოვე მათგან და მით შეაშინე და გაამწარე. ზომიერად რომ გეთხოვა, იქნებ უფრო მშვიდობით გათავდებოდა საქმე. ფულების პაკეთები და წიგნები მე დავიტოვე და ჩემგან მიიღებ.

ეპისკოპოსი გაბრიელი
1895წ. 1 ივლისი

ღირსო მამაო ბენედიქტე!

თანახმად თხოვნისა შენისა გიგზავნი, რაც აქამომდე მოვიდა ფული შენს სახელზედ, სულ ას ხუთი მანეთი, გარდა ფოსტისა, რაც ერგება.

ძლიერ კარგათ მიდის შენი მეცადინეობა, მაგრამ არ გადააჭარბო, ზომაზე ნუ გადახვალ.

კურთხევა უფლისა იყოს შენ ზედა.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

1883წ 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსო მამაო ბენედიქტე!

თანახმად თქვენი წიგნისა ივნ. 22-დან გიგზავნი, რაც ფული შენ სახელზე მიმიღია. აქედან ასი მანეთი კულაში ერთმა მღვდელმა მომცა. კნეინამ 276 მან. ორასსამოცდათექვსმეტი — საკუთრად ჩემ ძმის ბესარიონის განკარგულებაში, თუმცა უთხარ, რომ ჩემი ძმა მწირველი არ არის-მეთქი, მაგრამ მაინც იმის განკარგულებაში იყოსო. გიგზავნით ამასაც იმისთვის, რომ საჭირო ყოფილა შენთვის ამჟამად და მერმე უთუოდ გადაეცი ჩემი ძმის მოსახსენებლად და საწირველად კნეინა პარასკევა მიქელაძის ასულსა. ცუდ დროს მოგიხთა შენ წასვლა პეტერბურღს, ზაფხულში იქ რას მოახერხებს კაცი. მადლობა ღმერთს, რომ ბერძნის ძალადობისაგან და მზაკვარებისაგან გიხსნა. მრავალი დაბრკოლება და ბრძოლა შეგხთა, მაგრამ ღმერთი შეგეწევა და დედა ღვთისა...“

წერილები ძმის ბესარიონისადმი ათონის მთაზე

„უსაყვარლესო ძმაო ბესარიონ! პირველად შენს მშვიდობას და სულიერ წარმატებას ღმერთს ვთხოვ, ვიცით, რომ ჩემს ამბავს ისურვებ შეიტყო. მე ახლა ვარ იმერეთში, ქუთაისის ეპისკოპოსად. თქვენც გაიგონებდით, მე მგონია, ჩემს აქ ყოფნას. თუმცა ღვთის მადლით, ხორციתა კარგათ ვარ და მთელათ, მაგრამ სულითა კი ვარ დამძიმებული მრავალთა ზრუნვათა და

საქმეთაგან. ვიცი, რომ შენ არ დასცხრები ვედრებად ღვთისადმი, რათა შემეწიოს მე ცოდვილსა და მისგან მონდობილი სამწყსო კეთილად დამამწყსოს. ... მე და დიდი თვირთი ძევს ჩემს მხრებზე, გთხოვ, ... ერთგულად ილოცევდე ჩემთვის. ეს ბერი გელათის, ამ წიგნის მომტანი, წამოვიდა იერუსალიმს ქრისტეს საფლავის ტაყვანის საცემლად და აქაც უნდა მოსვლა მთაწმინდას. ამის პირით მე შემატყობინე შენი ამბავი, აგრეთვე ახვლედიანი რომ წამოვიდა შენთან, იმის ამბავი რამე შეგვატყობინეთ. მისი ჭირისუფალნი ძლიერ სწუხლარიან. თუ თვითონ არ უნდა მოწერა, ცოცხალია თუ არა, თქვენ მაინც მოგვწერეთ. ჩვენი ძმები, ღვთის მადლით, კარგათ არიან, მათი ბალნები აქ არიან ქუთაისს და სწავლობენ სასწავლებელში. ათანასეს, ანუ თეოდოსეს შვილი ერთი რუსეთიდამ მოვიდა ახლა ნასწავლი და თბილისში ემსახურება. მშვიდობით. ღმერთს ვსთხოვ შენს მშვიდობას. შენი ძმა, ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელი 1861-სა წ. დეკ. 21."

„ყოვლად პატიოსანო ძმაო ბესარიონ! პირველად თქვენი მშვიდობის ამბავს ვიკითხავ; მერე გამოვითხოვ თქვენგან ლოცვას და კურთხევას. ვიცი, რომ გახსოვარ და სიყვარული გაქვს ჩემზე, რადგანაც შენი უნცროსი ძმა ვარ, და ამისთვის გთხოვ, რომ ბეჯითად ილოცო ჩემთვის, რომ ამისთანა დიდ საქმეში, შფოთში და სოფლის ამაოებასა შინა მყოფი არ წავწყდე, ცოდვა არ მომერიოს.

გურიაში შენი ნათესავები სხვაფერ მშვიდობით არიან; მხოლოდ საწყალი ჩვენი მამიდა თათიკოს შვილი კონსტანტინე მგალობლიშვილი გარდაიცვალა და დარჩა უბედურს ცხრა ობლები პატარები საწყლად და უნუგეშოდ. ათანასე ჩვენი ძმის ცოლის ქრისტიანას გარდაცვალებას თქვენც კი შეიტყობდით აქამდინ.

სხვა, პატიოსანო ძმაო ბესარიონ, რომელიც იქ ახლა არიან, იოანე ღვთისმეტყველის კინოვია რომ იყიდეს, ნოდია და ბარკალაია და მათი ამხანაგები, იმათი ამბავი მაცნობეთ, როგორ არიან. მე მრავალი პირთა მომცეს შესაწირი ფულები — არის ბარე ექვსას მანეთამდის და არ ვიცი, რა ვუყო, ვის მივცე. თუ არ მოიკითხეს, ივერიონის მონასტერში გავგზავნი. შემატყობინეთ, რა დაემართა. ამას წინეთ აქ ერთი მორჩილი გამოეგზავნათ, ერთი კი ვნახე და მერე არ ვიცი, სად არის, რა დაემართა. ამბობენ, ავათ იყოო და მერე მე არ ვიცი, აქამდინ სად დაიკარგა. სხვებრ დავრჩები კიდევ შენი ძმების ლოცვა-კურთხევის მთხოვნელი, ცოდვილი ეპისკოპოსი გაბრიელ. 1871წ. 22 ოკდ."

„საყვარელო ძმაო ბესარიონ! დიდი ხანია, რაც თქვენგან არ მომსვლია არაფერი ამბავი. მომწერეთ, როგორ ხართ, როგორ სცხოვრობთ აქაურები, ვინც იქ იმყოფებით. ჩვენ აქ ღვთის მადლით და თქვენი ლოცვით ვიმყოფებით მშვიდობით. ძალიან გრძელ და ცივ ზამთარმა შეაწუხა ყველანი. გთხოვ, ძმაო საყვარელო, არ დასცხრები, ყოველთვინ ლოცვასა და ვედრებას ჩვენთვინ, ამაო სოფლის ცხოვრებასა შინა მყოფთა. რაღაცა ტყუვილი ამბავი გაგიგონიათ, ვითომც ქურდებმა ხელი მოჭრესო. ქურდები კი დაეცნენ გურიის ეპისკოპოსს, მაგრამ მას არ შეხებიან, ფული წაართვეს ცოტა და ნივთები. მამა სერაპიონი, ვენედიქტე და სხვანი მშვიდობით არიან. თქვენი ძმა ეპ. გაბრიელი, 1888 წ. 26 იანვ. ქუთაისი. თუ საჭიროებთ რამეს, მაცნობეთ. ეპ. გაბრიელი".

„საყვარელო ძმაო ბესარიონ! მოწამეთის მღვდელ-მონაზონის თქვენკენ წამოსვლით ვისარგებლე და

გწერ მცირე ბარათს. თუ ჩემს ამბავს იკითხავ, ღვთის მადლით და შენის ლოცვით, ვარ მშვიდობით, თუმცა მრავალი შრომა, სოფლის ამბოხი, ცუდი ზოგიერთი პირების უწესო ქცევა დიდს ტვირთს და [illegible] ხარებას ყოველ დღე შემამთხვევენ. შენი ნათესავები, ძმისწულები, ბიძაშვილები მშვიდობით არიან, გარნა ზოგიერთი მათი გულგრილობა და განშორება ეკლესიისგან და ქრისტესგან სამწუხაროდ მიმაჩნია. გთხოვ, ღირსო ძმაო და მამაოც, ნუ დასცხრები ლოცვად მოწყალისა ქრისტესადმი და მისი ყოვლად წმიდისა დედისა, რომ არ დამაგონ მე უღირსი, არ შეარცხვინონ მსახურება ჩემი ეკლესიისა და მათ მოვიკითხავ და ლოცვა-კურთხევას ვუძღვნი შენთან მცხოვრებთა წმ. მამათა და მსგავსადვე იოანე მახარებლის სავანესა შინა მყოფთა ძმათა. შენი უღირსი ძმა, ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელ. 1884 წ. 16 ნოემბ.“

„საყვარელო ძმაო და მამაო ბესარიონ! ამით გაცნობებ, რა მწუხარება და უბედურობა გვეწვია ჩვენ ყოველთა შენთა ძმებთა და ბიძაშვილებთა — საბრალო ჩვენი ძმა დეკანოზი სიმონ გარდაიცვალა დეკემბრის 8 წარსულ წლისას და ამ წლის იანვრის 8 გარდაიცვალა ათანასე ჩვენი ძმა. ამას გწერ იმისთვის, რომ ბეჯითად და ხშირად და გულსმოდგინედ ილოცოთ მათთვის, რათა განუსვენოს სასუფეველსა შინა. ჩემი ცოდვილი თავისათვის გთხოვ არ დასცხრებოდე ლოცვას, რომ მოხუცებული შევიქმენი, ღმერთმან მადლით ამისითა განმამხნეოს, იქნებ რამე სათნო მისი საქმე აღვასრულო. თქვენი ამბავიც მომწერეთ. სად არის ბენედიკტე, როგორ ხართ იქ თქვენ მონასტერში. აქაურები, ღვთის მადლით, სხვებრ კარგათ ვართ, გარდა იმ მწუხარებისა, რომელიც შეგვემთხვია. არქიმანდრიტი სერაფიონი

(მამიდაშვილი გაბრიელისა) მშვიდობით არის, მაგრამ ძლიერ მოხუცდა. მისი ძმა გიორგი დეკანოზი უფრო მხნეთ არის. ალექსი მათი ძმა ლოცვა-შენდობას ეხვეწებ ლობს თქვენგან. შენი ძმა გაბრიელი, ეპისკოპოსი ... რეთისა. 1892 წ. იანვ. 18."

წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმარტება ანუ აღხსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხთა მოძღვრებათა შინა, რომელნიც თქმულან ოსეთში და სვანეთში

მოძღვრება პირველი

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმოწვლილველობისასა, მთავრობის-მოყვარებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

„განმავლობასა შინა დიდისა მარხვისასა, ყოველ-დღე წირვაზედ, ლოცვაზედ, მწუხრზედ და ცისკარზედ არა ერთ-გზის გესმისთ თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, მოკლე ლოცვა: უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო... ამ ლოცვას ასე ხშირად წმინდა ეკლესია მისთვის განიმეორებს წირვა-ლოცვაზედ, რომელ იგი არს ფრიად საჭირო და სასარგებლო ყოველთა ქრისტიანეთათვის. ვინც კარგად გაიგებს აზრსა ამ ლოცვისასა და ეცდება, რომ შეითვისოს იგი და მერმე აღასრულოს თავის ცხოვრებაში, ის მიიღებს დიდს სულიერ სარგებლობას. ამისთვის მსურს განგიმარტო ანუ აღგიხსნა, ძმანო ჩემნო, ეს მოკლე ლოცვა.

სამ ნაწილად ანუ სამ მუხლად არის გაყოფილი ეს ლოცვა: პირველს მუხლში ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა, რათა განაშოროს ჩვენგან ოთხი ცოდვა: უქმობა, მიმომწვლილველობა, მთავრობის-მოყვარეობა და ცუდად-მეტყველება. უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმოწვლილველობისა-

სა, მთავრობისმოყვარეებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე. მეორესა მუხლსა შინა ვევედრებით ღმერთსა, რათა, ნაცვლად ოთხთა ამათ ცოდვათა, მოგვცეს ოთხი სათნოება: სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული: ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა. ბოლოს მესამესა მუხლსა შინა ვსთხოვთ ჩვენ ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩვენ ცნობა თავისა ჩვენისა და არა განკითხვად მოყვასთა ჩვენთა: ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დღეს ვსთქვათ, ძმანო, პირველ მუხლზედ. რა არის, ძმანო ჩემნო, სული უქმობისა? სული უქმობისა ის არის, როდესაც კაცს არ უყვარს შრომა და მუშაკობა, არამედ უყვარს ცუდად ყოფნა, ანუ უსაქმოდ გატარება თავის დროებისა. მაშასადამე, სული უქმობისა აქვს ზარმაც და მცონარე კაცსა. დიდი და საშინელი ცოდვა არის, ძმაო ჩემო, ზარმაცობა ანუ ცუდად დროების დაკარგვა. ღმერთმან შექმნა კაცი შრომისა და მუშაკობისათვის. საღმრთო წერილში თქმულ-არს: ვინც არ მუშაკობს, იმან პურიც არ უნდა სჭამოსო. მართლა, ვინც არ მუშაკობს, იგი არ არის ღირსი, რომ სჭამოს პური, მისთვის რომელ ყოველმან კაცმან თავის ხელით უნდა შეიძინოს თავისი საზრდო; მაშასადამე, ვინც არ მუშაკობს, იგი სჭამს სხვის ნამუშაკევს და ამით დაემზგავსება ქურდსა. მეორე მიზეზი, რომლისათვისცა უქმობა არის საშინელი ცოდვა, მდგომარეობს მას შინა, რომელ უქმი კაცი უადვილესად შთავარდება ყოველსა ცოდვასა შინა, ვიდრე კაცი შრომის-მოყვარე. მოხუცებულნი და გამოცდილნი კაცნი ესრეთ იტყვიან: უქმობა არის დედა ყოველთა ცოდვათაო. რა სახით? ესრეთ რომელ კაცი,

რომელიც ყოველთვის არის გაბმული საქმეში, ყოველ დღე შრომობს, მუშაკობს და არაოდეს არა აქვს მოცალება, ესრეთი კაცი ვერ მოიფიქრებს რომელსამე ცუდსა საქმესა, ვერც აღასრულებს, მისთვის რომელ-დროს არა აქვს, მოცლილი არ არის, გარნა კაცი უქმი ადვილად შთავარდება ყოველს ცოდვაში, ვინაითგან მოცლილი არის და ადვილად გაუჩნდება გულში ცუდი რომელიმე აზრი, ადვილად აცდუნებს მას სულიერი მტერი და ადვილად მიიზიდავს ყოველი ბოროტი კაცი ცუდს საქმეში. მაშასადამე, ეცადენით თქვენ, ძმანო ჩემნო, რომ ცუდად არ დაკარგოთ არცა ერთი წამი. თუ გსურს, ძმაო, შეიტყო, რა კარგი და საქები არის კაცი შრომის-მოყვარე, წარმოიდგინე: ოდესცა შენ კარგად იმუშავებ დილითგან საღამომდის, მაშინ გიხარიან და მადლობ ღმერთსა, და თუ რომელიმე დღე უქმად გაატარე, იმ დღეს შენ თვითონ მოწყენილი ხარ; მაშასადამე, ეცადე და შეიყვარე შრომა და მუშაკობა. მართალი უნდა გითხრა: თქვენ, ამ მთებში მცხოვრებთ, არ გიყვარსთ მუშაკობა და შრომა ისრე, როგორც სხვა ხალხთა უყვარსთ. თქვენ მრავალ დღეს კარგავთ უქმად; დასხდებით და დაიწყებთ გრძელს საუბარს, რომელიც ყოვლად უსარგებლო არის, ვგონებ, ამისთვის ხართ ესრეთ ღარიბნი, ცოლ-შვილი შიშვლად გყავსთ, ხშირად საჭმელი გაკლიათ. გარნა კარგად რომ მუშაობდეთ, უქმად დროს არ კარგავდეთ, მაშინ დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, — არ იქმნებოდით ისრე ღარიბნი.

მეორე ცოდვა, რომელიც იხსენება პირველს მუხლში, არის მიმომწვილველობა, ანუ, სხვა-ფერ ვსთქვათ, მოწყინება. მოწყინება ის არის, ოდესცა კაცს მოეწყინება ანუ მოსძულდება თავის თავი, ანუ რომელიმე კეთილი საქმე. ეს ცოდვა, ძმანო ჩემნო, კაცს ხშირად დაემართება ეშმაკის მანქანებისაგან; მაგალითებრ: ზოგჯერ კაცს

მოეწყინება ლოცვაზედ დგომა, ანუ მარხვის შუნახვა, ანუ ნიადაგ შრომა და მუშაობა. ხანდისხან კიდევ ზოგერთს კაცს მოეწყინება თავის სიცოცხლე, იფიქრებს: რა სიცოცხლე არის ჩემი სიცოცხლეო; ამაზედ იწყებს მწუხარებას და დრტვინვას. ესეც დიდი და მავნებელი ცოდვა არის, ძმანო ჩემნო; პირველად მისთვის, რომელ ქრისტიანე ყოველთვის უნდა იყოს მღვიძარე, ფრთხილ, სულგრძელ. კაცს ღმერთმან მისცა ყოველივე, რაც საჭირო არის მის ბედნიერებისათვის, ესე იგი ჭკუა, სიმართლე, ქვეყანა. ვინც კარგად მოიხმარს ღვთის ნიჭსა, ესე იგი ვინც კარგად ირჯება, ცდილობს, მუშაობს, — ის არ შთავარდება მოწყინებაში. თუ შეემთხვია მას რომელიმე ზარალი, ანუ უბედურება მაინც სულგრძელ არს და მალე გამოვა იმ ზარალითგან. მაშასადამე, მოწყინება დაემართება მხოლოდ იმ კაცს, რომელიც არის ზარმაცი, ცუდი ხასიათისა და ცუდი ყოფა-ქცევისა. მეორედ, მოწყინება მისთვის არის ცუდი და მავნებელი ცოდვა, რომელ იგი კაცს შთააგდებს კიდევ სხვათა ცოდვათა შინა: ვისაც გულში აქვს მოწყინება, იგი ხშირად დტრვინავს ღმერთზედ და ამით დიდად სცოდავს; მას დაეკარგება სასოება ღმერთზედ. რადგანაც ესრეთი ცუდი და მავნებელი ცოდვა არის მოწყინება, მაშასადამე, ოდესცა გულში გაგიჩნდება იგი, მაშინვე ეცადე და განაგდე გულისა შენისაგან. ქრისტიანე ყოველთვის უნდა იყოს მღვიძარე, ყოველთვის ღმერთზედ სასოება უნდა ჰქონდეს. — ამინ.

მოძღვრება მეორე

სულსა მთავრობის-მოყვარეებისა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

მესამე ცოდვას, რომელზედაც არის თქმული ამ ლოცვაში, ეწოდება მთავრობის-მოყვარეება. მთა-

ვრობის-მოყვარეება ის არის, ოდესცა კაცი ეძიებს უფლებასა ანუ ბრძანებლობასა სხვათა კაცთა ზედა. ეს ცოდვა ხშირად დაემართება დიდთა ანუ უფროსთა კაცთა, რომელნიც არიან მთავრობაზე მიჩვეულ. თუ მთავრობის-მოყვარეება ცოდვა არის, მაშასადამე, ვინც არიან მთავარნი ანუ უფროსნი, მაგალითებრ: ჩინოვნიკი, ცოდვაში არიან? — არა, ძმაო ჩემო, აქ ორგვარად უნდა იფიქრო: თუ ვინმე კაცი მთავრობას ანუ ჩინოვნიკობას ეძიებს მხოლოდ მისთვის, რათა თავის თავს მისცეს სარგებლობა, გამდიდრდეს, პატივი და დიდება შეიძინოს, თუ მარტო ამას ფიქრობს ვინმე და სხვა არაფერი ახსოვს, იგი დიდ ცოდვაში არის; გარნა ვინც მთავრობას ეძიებს მისთვის, რომ მოყვასთა მისთა მისცეს სარგებლობა, დაიცვას მშვიდობა და მყუდროება სოფელში, სიმართლე და მართლ-მსაჯულება მიანიჭოს ყოველსა კაცსა, ქვრივი, ობოლი და საწყალი დაიფაროს უმართლო და მძლავრთა კაცთაგან, ამისთანა კაცი არ არის ცოდვაში, არამედ კეთილს და მადლიანს საქმეს ეძიებს. გარნა ვისაც ახსოვს, რა დიდი და ძნელი საქმე არის მთავრობა, რა დიდს და საშინელს პასუხის გებაში შთავარდება ღვთის წინაშე ის კაცი, რომელიც უმართლოდ ხმარობს მთავრობას, — ამისთანა კაცს არც ექმნება გულში მთავრობის-მოყვარეება, არამედ კიდეც ეშინის, რომ მთავრობის-მოყვარეებით სული არ წარიწყმიდოს. ახლა თქვენზედ ვიტყვი: თუმცა თქვენ, ამ მთებში მცხოვრებნი, ხართ მდაბალნი და ღირსნი ხალხნი, გარნა ერთს შემთხვევაში თქვენც გაქვსთ ეს ცოდვა, ესე იგი მთავრობის-მოყვარეება. რა სახით? ესრეთ, რომელ თქვენ შორის დედა-კაცნი არიან ფრიად დაღონებულნი და შეწუხებულნი მამა-კაცთაგან, ხოლო მამა-კაცებს აქვსთ ნამეტნავი მთავრობა ანუ უფლება დედა-კაცებზედ. ამ საქმეში თქვენი ჩვეულება და თქ-

ვენი ყოფა-ქცევა არის ფრიად ცუდი და ქრისტიანობის წინააღმდეგი. ქალები თქვენ არაფრად არ მიგაჩნიათ და ძლიერ აწუხებთ. ზოგიერთს სოფელში თითქმის ასრე არის, რომელ მამა-კაცები მრთელი დღე არაფერს არ აკეთებენ და უქმად არიან, დედა-კაცები კი დილითგან საღამომდის არიან მუშაობაში და ტანჯვაში, ასრე რომ თითქოს ესენი არჩენენ თავის ქმრებს და შვილებს. ეს დიდად შემარცხვენელი და უსჯული საქმე არის, ძმანო ჩემნო. ღმერთმან დედა-კაცი იმიტომ შექმნა სუსტი და მამა-კაცს მისთვის მისცა უმეტესი ღონე, რომ პირველი შინ, სახლში უნდა იყოს, სახლს უნდა უვლიდეს და შვილებს უნდა ზრდიდეს, ხოლო მეორე გარეთ უნდა მუშაკობდეს, რაც უმძიმესი საქმე არის, იმას აკეთებდეს. საღმრთო წერილიც ისრე შეგვაგონებს ჩვენ, რომელ ყოველს ადამიანს უნდა ცოლი თვისი უყვარდეს და ისრეთს პატივში უნდა ყავდეს, როგორც თავისი თავი. ყოველს განათლებულს სახლში დედა-კაცს აქვს დიდი პატივი, გარნა თქვენ შორის დედა-კაცები არიან უპატიოდ და საწყლად. კიდევ გეტყვი, არ ვარგა, რომ ეს ასრე იყოს და ასრე დაშთეს. ოდესაც ღვთის მადლით თქვენშიც შემოვა სწავლა და განათლება, ეს საქმე მაშინ გამოიცვლება, გარნა ახლაც კი უნდა გახსოვდესთ, ძმანო, და ეცადნეთ, რომ უმჯობესად იქცეოდეთ დედაკაცებთან.

უკანასკნელ, მეოთხე ცოდვა, რომელსა ახსენებს პირველი მუხლი, არის ცუდად-მეტყველება. ცუდად-მეტყველება არის ყოველი უქმი, უსარგებლო, უშვერი სიტყვა, გამომავალი პირისაგან კაცისა. ღმერთმან ენა ჩვენ მისთვის მოგვცა, რათა ვაკურთხოთ, ვადიდოთ და ვილოცოთ იგი; დავლოცოთ, დავარიგოთ მოყვასი ჩვენი. გარნა ჩვენ, ნაცვლად ამისა, ენას ხშირად ვხმარობთ ცოდვისათვის: ენითა ჩვენითა ვიტყვით სიცრუეს, გინებას, ცილის-წამებას, უშვერს სიტყვას. მდაბალს ხალხში

უმეტესად იციან გინება და უშვერი სიტყვის თქმა. ენა თავის თავად არ სცოდავს, არამედ იმას იტყვის, რაც გულში აქვს კაცსა; მაშასადამე, ვინც ლაპარაკობს ყოველთვის გონიერად, მშვენიერად და ძლიერად, იმას უთუოდ გულიც და ხასიათიც კარგი აქვს, გარნა, ვინც ხშირად იტყვის უშვერს სიტყვას, ხშირად აგინებს თავის მოყვასს, სჩანს, იმას ხასიათიც ცუდი აქვს. მეორესა და საშინელსა მოსვლასა იესო ქრისტესსა ყოველი კაცი მისცემს პასუხს არა თუ მხოლოდ საქმეთა, არამედ ყოველთა სიტყვათა თვისთათვის. ეცადეთ, ძმანო ჩემნო, არა სცოდოთ ენითა თქვენითა, არამედ ჭკუიანად და მშვიდად ეტყოდეთ ერთი მეორესა ყოველთა თქვენთა საქმეთა. ახლა ვსთხოვთ ღმერთსა, რათა შეგვეწიოს ჩვენ და განაშოროს ჩვენგან სული უქმობისა, მოწყინებისა, მთავრობის-მოყვარეებისა და ცუდად-მეტყველებისა. — ამინ.

მოძღვრება მესამე

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა.

ამას წინათ მე აღგიხსენი თქვენ პირველი მუხლი ეფრემ ასურის ლოცვისა. დღეს ვეცდები აღგიხსნა მეორე მუხლი ანუ მეორე ნაწილი. აქ ჩვენ ვთხოვთ ღმერთსა, რათა ჩვენ მოგვცეს ოთხი სათნოება, ესე იგი: სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა.

სიწმიდე, ანუ სული სიწმიდისა არის ორ-გვარი: გარეგანი, ანუ ხორციელი ის არის, როდესაც კაცს უყვარს წმინდად ჩაცმა, წმინდად ჭამა და სმა და წმინდად ცხოვრება თავის სახლში. კარგი, გონიერი და სასარგებლო საქმე არის, თუ კაცი ცდილობს ხორციელსა

ეკლესიური ბიბლიოთეკა

სიწმიდესა ზედა. იქმნება თქვენგანმან ვინმემ იფიქროს: სად შეუძლიან საწყალს და ღარიბს კაცსა, რომ წმინდად ჩაიცვას, წმინდად სჭამოს, სიწმინდე შეინახოს თავის სადგომში? ესრეთ ფიქრი არ იქმნება საფუძვლიანი: სიწმინდის შენახვა არ მოითხოვს სიმდიდრესა. იქნება შენც გამოგიცდია და გინახავს, ძმაო, რომელ ზოგიერთი კაცი საკმაოდ მდიდარია და შეძლებაც აქვს, გარნა მაინც უწმინდურად ცხოვრებს; და სხვა თუმცა იმაზე ღარიბია და შეუძლებელი, გარნა წმინდად და სუფთად ცხოვრებს. ეს შეძლებაზედ არ არის დამოკიდებული, არამედ ჩვეულებაზედ და ჭკუაზედ. თუ გინდ ბევრი არაფერი გქონდეს შენ, ძმაო ჩემო, მაგრამ, რაც გაქვს, ის სუფთად და წმინდად შეინახე. თქვენ ამ მთებში მცხოვრებთა არ გიყვარსთ წმინდად და სუფთად ცხოვრება, რაიცა დიდად დასაძრახი არის. იქმნება რომელიმე თქვენგანი ყოფილა სხვა ქვეყანაში, ვსთქვათ — ქართლში და იმერეთში. ქართლში თუმცა უფრო შემძლებელი ხალხი არის, გარნა უწმინდურად ცხოვრებენ; იმერეთში, თუმცა შეუძლო ღარიბი ხალხია, გარნა მოგეწონება, როდესაც შეხედავ, როგორ წმინდად და სუფთად სახლობენ. ან იქნება ვინმემ თქვენგანმან იფიქროს: რა დიდი რამ სათნოება არის ქრისტიანეთათვის ხორციელი სიწმინდე, ოღონდ ცოდვას მოერიდოს და კარგის ყოფა-ქცევისა იყოს! ესრეთ უნდა ვიფიქროთ, რომ ვისაც უყვარს გარეგანი და ხორციელი სიწმინდე და სისუფთავე, ის სულიერისა სიწმინდისათვისაც უფრო ცდილობს. გარდა ამისა, ვინც უწმინდურად ცხოვრებს, ის უფრო მალე გახდება ავად და მალე დაკარგავს სიმრთელესა, რაიცა დიდი ცოდვა არის, ვინაითგან თვით ღმერთი გვიბრძანებს ჩვენ, რათა დავიცვათ და შევინახოთ ჩვენი სიცოცხლე. ამისთვის, ძმანო ჩემნო, რადგან ახლა მე თქვენ გიჩვენე, რა სასარგებლო არის ხორციელი სიწმინდე და სისუფთავე, ამას

იქით ეცადეთ, რომ სუფთად და წმინდად იყოს თქვენი ცხოვრება.

მეორე სათნოება, რომელსა ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა ამ ლოცვაში, არის სიმდაბლე. სიმდაბლე აქვს იმ კაცს, რომელიც თავის თავზედ დიდს არაფერს ფიქრობს, ესე იგი თავის თავი არ მიაჩნია დიდად. ამ სათნოებას კაცი შეიძენს მაშინ, როდესაც კარგად იფიქრებს თავის ცოდვებზედ. ჩვენ ყველანი, ძმანო ჩემნო, ცოდვილნი ვართ ღვთის წინაშე; არ გავა არა თუ მრთელი დღე, არამედ ერთი საათიც, რომ არ შევცოდოთ ღმერთსა ანუ გონებით, ანუ სიტყვით, ანუ საქმით; მაშასადამე, ყოველთვის უნდა სიმდაბლით და მონანებით ვთხოვდეთ ღმერთსა შენდობასა. ნუ იფიქრებ, ძმაო, იმასაც, რომ, ვინაიდგან შენ ხარ დაბალი სოფლის კაცი, მაშასადამე, უიმისოდაც გაქვს სიმდაბლე. რაც გინდა ღარიბი და საწყალი კაცი იყოს ზოგიერთი, შეიძლება, რომ გულში არ ქონდეს სიმდაბლე, არამედ დიდად მიაჩნდეს თავის თავი; ამისთვის თქვენც ეცადეთ, ძმანო ჩემნო, გულში ყოველთვის იყოთ მდაბალნი და წყნარი.

მესამე სათნოება არის მოთმინება. რა არის მოთმინება, ეს თქვენც იცით, ძმანო ჩემნო. მოთმინება მეტად საჭირო არის ყოველთვის კაცისათვის, ამისათვის რომელ ქვეყანაზედ არ არის იმისთანა კაცი, რომელსაც არ შემთხვეოდეს ვითარიმე უბედურება და უკმაყოფილება. მრთელი ჩვენი სიცოცხლე ისე არის ამ ქვეყანაში დაწყობილი, რომელ თუ მოთმინება არა აქვს კაცსა, ვერ გასძლებს ქვეყანაზედ. ყოველს საქმეში და ყოველს შემთხვევაში საჭირო არის კაცისათვის მოთმინება. მოთმინება უნდა გქონდეს შენ, ძმაო, როდესაც მუშაობ ყანაზედ; მოთმინება უნდა იხმარო, როდესაც კაცთან საქმე გაქვს და საქმეს არიგებ; უმეტესი მოთმინება უნდა გქონდეს შენ სახლში: ცოლთან, შვილებთან,

ძმებთან. თუ მოთმინება არა გაქვს, ერთი კაციც ვერ გასძლებს შენთან და საქმეს ვერ გააკეთებს; გარნა ყოველთა უმეტესი მოთმინება ქრისტიანეს უნდა ჰქონდეს თავისი სჯულის აღსრულებაში. თუ დიდი მოთმინება და სიმტკიცე არა აქვს ქრისტიანესა, ვერ წინააღუდგება ცოდვასა და განსაცდელსა, ვერ იქმნება კეთილი ქრისტეს მოწაფე. როდესაც შენ, ძმაო, შეგემთხვევა რომელიმე უბედურება, ანუ განსაცდელი და გაგიჭირდება ცხოვრება, მოიგონე უფალი იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი. რა არ მოითმინა მან ჩვენი გულისათვის? განკიცხვა, გინება, შეურაცხ-ყოფა, დევნა, ტანჯვა, ჯვარცმა. თუ მაცხოვარმან ესოდენი მოითმინა შენთვის, შენც ცოტაოდენი მაინც მოითმინე მისთვის, თუმცა, თითქმის ყოვლის ჭირისა და უბედურებისა, რომელიც შენ გემართება, მიზეზი შენვე ხარ, გარნა თუ სულგრძელად მოითმენ, ღმერთი ისრე მიიღებს, ვითომც იმისთვის მოგითმენია.

დასასრულ, ძმანო ჩემნო, ვსთქვათ მეოთხე სათნოებისათვის, ესე იგი სიყვარულისათვის. სული სიყვარულისა ანუ შეყვარება ღვთისა და მოყვასისა არის ყოველთა უდიდესი, უმაღლესი და უსაჭიროესი სათნოება. თითქმის მთელი ჩვენი სჯული ამაში მდგომარეობს: შეიყვარე უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა და სულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, ესრეთ რომელ, ვისაც გულში არა აქვს ღვთის და მოყვასის სიყვარული, იგი არ არის ქრისტიანე. თუ-გინდ კაცმა სხვა ყოველი სათნოება შეიძინოს, ყოველნი მცნებანი აღასრულოს, გარნა თუ არა აქვს მოყვასისა და ღვთის სიყვარული, იგი ქრისტიანე არ არის. რაში გამოჩნდება ღვთის სიყვარული? იმაში, როდესაც ჩვენ ვისმენთ სიტყვასა და ბრძანებასა ღვთისასა, რომელიც ღმერთმან ჩვენ გამოგვიცხადა საღმრთო წერილში და რომელსაც

ჩვენ მარადის გვასწავლის წმინდა ეკკლესია, და აღვასრულებთ მას. მოყვასის სიყვარულისათვის გვასწავლა ჩვენ უფალმა იესო ქრისტემან ამ სიტყვებით: ყოველი, რომელი გინდესთ თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა-მიმართ; რაც შენ გინდა, რომ გიყონ შენთა მოყვასთა, შენც ის უყავ მათ. რასაკვირველია, შენ გსურს ყოველმა კაცმა შეგიყვაროს, პატივი გცეს, გაჭირვების დროს ნუგეშ-გცეს; შენც ისრედ მოიქეც ყოველთა შენთა მოყვასთა.

თქვენ, ძმანო ჩემნო, აქ მცხოვრებთა სხვათა უმეტესად უნდა გახსოვდეთ, რომ ვისაც არ აქვს სიყვარული ღვთისა და მოყვსისა, ის არ არის ქრისტიანე. თქვენ ხშირად იცით ერთმანეთში ჩხუბი, სიძულვილი; მცირედი არის თქვენ შორის სიყვარული და ერთობა; გარნა, რადგანაც მოინათლენით და მიიღეთ ქრისტეს სჯული, უნდა ეცადოთ, რომ ქრისტეს სიყვარული შეიტყოთ და შეიძინოთ. უფალმან იესო ქრისტემ ესრეთ ასწავლა მოწაფეთა თვისთა: ამით უნდა გიცნან თქვენ ყოველთა კაცთა, რომ სიყვარული და ერთობა იყოს თქვენ შორის. მონათლული კაცი მით უნდა განსხვავდეს მოუნათლავის, ურწმუნოს კაცისაგან, რომელ უნდა ქონდეს კეთილი და მოსიყვარულე გული და ხასიათი. ვევედროთ ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩვენი სული სიყვარულისა და ერთობისა. — ამინ.

მოძღვრება მეოთხე

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა.

დავაბოლოვოთ, ძმანო ქრისტიანენო, დღეს განმარტება ეფრემ ასურის ლოცვისა. ამ ლოცვის მესამე მუხლში ჩვენ ვთხოვთ ღმერთსა, რათა მან მოგვანიჭოს ჩვენ განცდა ანუ ცნობა თავისა ჩვენისა და არა განკი-

თხვად ძმისა ჩვენისა. განცდა თავისა ის არის, როდესაც კაცი გამოსცდის ანუ შეიტყობს თავის თავს, ესე იგი შეიტყობს, კარგად იქცევა, თუ ცუდად, კარგი ხასიათი აქვს, თუ ცუდი. ცნობა თავისა თვისისა არის საფუძველი კეთილისა ქრისტიანობრივის ცხოვრებისა. თუ კაცმან თავის თავი არ იცის, თუ არ შეიტყო, რა ცოდვა უქმნის, რა ნაკლულევანება აქვს გულში, რანაირად გაიმართავს იგი თავის თავს, რანაირად მოინანიებს და როგორ შეიქმნება უმჯობესი. გარნა ნუ ფიქრობთ, ძმანო ჩემნო, რომ ადვილი იყოს ეს საქმე: დიდი მეცადინეობა უნდა იხმაროს კაცმა, თუ სურს თვისის თავის შეტყობა; ყოველ კაცს თავისი ხასიათი აქვს; ყოველ კაცს თავისი საკუთარი ჩვეულება და თვისება აქვს. ზოგიერთი, მაგალითებრ, ანჩხლი ანუ გულფიცხელი არის და ამით ხშირად სცოდავს ღვთის წინაშე; ზოგიერთი არის ზარმაცი, ანუ მცონარე და ამით არისხებს ღმერთსა. სხვა არის გულ-დიდი, ანუ ამპარტავანი და ამის-გამო მრავალს ცოდვასა იქმს; ერთი არის ცრუ, მეორე არის მოშურნე; ერთი სიტყვით, ყოველ კაცს თავისი ხასიათი აქვს და თავისი ცოდვა სჭირს. დიდი სარგებლობა და სულიერი მადლი მოგვეცემა, როდესაც კარგად გასინჯავ შენ თავს და გულში იტყვი: მე სწორედ ამაში და ამაში ვარ დამნაშავე ღვთის წინაშე. თუ ესრეთ ქმენი, უთუოდ კარგად მოინანიებ შენს ცოდვასა და კარგი შეიქმნები; ხოლო კარგად თუ არ იცან შენი თავი, არა თუ ქრისტიანობაში, არამედ არც სხვა საქმეში გამოდგები.

ვინც კარგად თავის თავი იცნა, ის აღარც თავის მოყვასს განიკითხავს. მოყვასის განკითხვა ის არის, როდესაც კაცი თავის ცოდვას და ნაკლულებას არ ხედავს და სხვის ცოდვას და ნაკლულევანებას კი ხედავს და ზრახავს. ეს ცუდი ჩვეულება თითქმის ყოველ კაცსა აქვს; ყოველი კაცი იმას ცდილობს, რომ განიკითხოს

მოყვასის ცოდვა, გარნა კეთილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე უმეტესად თავის თავს განიკითხავს და არა სხვას. თქვენც ესრეთ ეცადენით, ძმანო ჩემნო, თუ ჭეშმარიტნი იყვნეთ კეთილნი ქრისტიანენი. ამინ". ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

მ. კელენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2006

ილია თავბერიძე, „წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“, თბ., 2006წ.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი. შემდგენლები: გვანცა კოპლატაძე და გრიგოლ რუხაძე. თბ., 2002წ.

ჯემალ გამახარია, „წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი“, თბ., 2007წ.

თამარ მალაზონიას სამეცნიერო დისერტაცია: „მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში“.

სარჩევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა გაბრიელის ბავშვობა, ყრმობა და ოჯახური ტრაგედია 5
ბერად აღკვეცა გაბრიელის სახელით და ეპისკოპოსად კურთხევა 18
წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ქალისა და ოჯახის შესახებ 32
ცდისეული ფსიქოლოგია 45
ეპისკოპოსი გაბრიელი როგორც პედაგოგი 74
სიმდაბლე და უბრალოება წმინდა გაბრიელისა 86
ლოცვა და გაბრიელ ეპისკოპოსი 102
ენის დასაცავად 129
გასაოცარი და საზარელი მკვლელობა 142
უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ 145
წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი ქართული გალობის სამსახურში 147
წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის მომოწერა 152
განმარტება ანუ აღხსნა ეფრემ ასურის ლოცვისა, ოთხთა მოძღვრებათა შინა, რომელნიც თქმულან ოსეთში და სვანეთში 158

უკვე გამოვიდა:

წიგნი 1 — ყოვლადწმინდა სამება

წიგნი 2 — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი

წიგნი 3 — ანგელოზები

წიგნი 4 — უფლის წინასწარმეტყველნი

წიგნი 5 — უფლის მოციქულები

წიგნი 6 — წმინდა გიორგი

წიგნი 7 — წმინდა ნიკოლოზი

წიგნი 8 — წმინდა ნინო და მეოთხე საუკუნის წმინდანები

წიგნი 9 — ცამეტი ასურელი მამა

წიგნი 10 — ღირსი შიო მღვიმელი

წიგნი 11 — წმინდა დავით გარეჯელი და მისი სავანე

წიგნი 12 — ღირსი გრიგოლ ხანძთელი

წიგნი 13 — ძველი საქართველო

წიგნი 14 — ათონელი მამები

წიგნი 15 — წმინდა გიორგი მთაწმინდელი

წიგნი 16 — სამხრეთ საქართველო

წიგნი 17 — მოწამენი

წიგნი 18 — წმინდა ილია მართალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი 19 — წმინდა ილარიონ ქართველი

წიგნი 20 — წმიდა დიმიტრი ყიფიანი

წიგნი 21 — ქრისტესთვის წამებულნი

წიგნი 22 — წმინდა ალექსი შუშანია

წიგნი 23 — წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე

წიგნი 24 — წმინდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე)

წიგნი 25 — საქართველოს სამოთხის ყვავილები

წიგნი 26 — წმინდა ქეთევან დედოფალი

წიგნი 27 — ქართველთა მეოხნი

წიგნი 28 — ქართველ წმინდანთა კრებული

წიგნი 29 — წმინდა მღვდელმთავარი აღმსარებელი
ამბროსი ხელაია

წიგნი 30 — მეოხნი ოდიშის მიწისა

წიგნი 31 — კრწანისის ყაყაჩოები

წიგნი 32 — წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

წიგნი 33 — სამშობლოს სიყვარულისთვის

წიგნი 34 — ჯვარცმული საქართველო

წიგნი 35 — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II

წიგნი 36 — წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი

წიგნი 37 — წმინდა არსენ იყალთოელი

წიგნი 38 — წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი *(წიგნი პირველი)*

წიგნი 39 — წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი *(წიგნი მეორე)*

წიგნი 40 — წმინდა პატრიარქი ანტონ II და წმინდა
ილარიონ ქართველი — საკვირველმოქმედი

წიგნი 41 — წმინდა თამარ მეფე *(წიგნი პირველი)*

წიგნი 42 — წმინდა თამარ მეფე *(წიგნი მეორე)*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარცხნივ – წმ. გაბრიელი (ქიქოძე), მარჯვნივ – წმ. ალექსანდრე (ოქროპირიძე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III

მოსე ათანასეს ძე ქიქოძე, წმინდა გაბრიელის ძმისწული

ესტატე მჭედლიძე, გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი

სიონის ტაძარი – აქ აღიკვეცა ბერად წმ. გაბრიელი

სოფ. ბახვის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იბეჭდება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და
უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

ISBN 978-9941-21-576-6

წიგნი ორმოცდამეოთხე:

წმინდა მღვდელმთავარი
გაბრიელი (ქიქოძე)
(ნაწილი II)

K297.803
3